

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

კვლევის დეპარტამენტი

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა

კონსტიტუციური წყობისა და საარჩევნო სისტემის გავლენა
პოლიტიკური პარტიების განვითარებაზე პოსტსოციალისტური
ევროპის დემოკრატიებში

ავტორი: ბაკურ კვაშილავა

სპეციალობა: პოლიტიკური მეცნიერებები

ხელმძღვანელი: არჩილ გეგეშიძე

თბილისი 2016

სარჩევნი

აბსტრაქტი	4
შესავალი	5
ლიტერატურის მიმოხილვა და მეთოდოლოგია.....	21
ლიტერატურის მიმოხილვა	44
საარჩევნო სისტემები.....	57
ემპირიული მონაცემები და კვლევის შედეგები	65
ალტერნატიული მიდგომები	83
შედეგების ანალიზი და დასკვნა.....	112
ბამოყენებული ლიტერატურა:	135

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა შეისწავლის სხვადასხვა საარჩევნო სისტემისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის გავლენას პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებაზე პოსტსოციალისტური ევროპის მაგალითის გამოყენებით. ამ საკითხის შესწავლა გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან დაიწყო, როდესაც ფრანგმა პოლიტოლოგმა მორის დუვერჟემ სამეცნიერო საზოგადოებას თავისი, დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი, *პოლიტოლოგიური კანონი* წარმოუდგინა. მისი მტკიცებით, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის არსებობა მოცემულ ქვეყანაში განაპირობებს ორპარტიული პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბებას. მართალია, ამ ჰიპოთეზას პირველ ეტაპზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ თანდათანობით ამ საკითხმა მეორე პლანზე გადაიწია. ცივი ომის დასასრულმა და ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში დაწყებულმა დემოკრატიულმა ძვრებმა ახალი ინტერესი გააჩინა ამ მიმართებით. ეს ბუნებრივიცაა, თუკი დავუშვებთ რომ საარჩევნო ინჟინერია შეძლებს სასურველი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება შეგვამღებინოს. სისტემის ჩამოყალიბებაზე ასევე დიდი გავლენა აქვს დემოკრატიული მმართველობის ფორმას და ხშირად მისი მნიშვნელობა საარჩევნო სისტემასთან ერთადაც განიხილება. ამ საკითხთან არსობრივ კავშირშია დისკუსია მრავალპარტიული და ორპარტიული პოლიტიკური სისტემების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. ეს კვლევა ყველა ამ საკითხს მიმოიხილავს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემის გავლენას პარტიების რაოდენობაზე. პოსტსოციალისტური ევროპის ქვეყნების მაგალითზე ჩვენი ვარაუდი დასტურდება; მართლაც, პროპორციული სისტემის დროს პარტიების რაოდენობა ერთი მესამედით მეტია, ვიდრე შერეული სისტემის შემთხვევაში.

შესავალი

შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ თანამედროვე საზოგადოების უდიდესი ნაწილი დემოკრატია მმართველობის ოპტიმალურ ფორმად მიიჩნევს. პოლიტიკური ფილოსოფიისა თუ ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით დემოკრატია ყველაზე მეტად უზრუნველყოფს თავისუფლებისა და აქედან გამომდინარე, ადამიანის შესაძლებლობების განვითარებას; ცივილიზაციური პროგრესის მიღწევა ინდივიდთა რეალურ თავისუფალ არჩევანს და ამ არჩევანთა შორის თანასწორ კონკურენციას მოაქვს. იდეების დაპირისპირებისას, თავისუფალი განსჯისა და ამ იდეათა გამოცდის საშუალებით არის შესაძლებელი კაცობრიობის ოპტიმალური განვითარება. დემოკრატია კი მმართველობის სხვა ფორმებთან შედარებით ამ პროცესის ყველაზე დაუმახინჯებლად და ოპტიმალურად განხორციელებას უწყობს ხელს (Dahl, 1971). მიუხედავად ამისა, დემოკრატიული მმართველობის ფორმები ერთმანეთისგან განსხვავდება. დღეს, დავისა და განსჯის საგანი სწორედ ის გახლავთ თუ როგორი დემოკრატიაა ოპტიმალური, ზოგადად, და/ან რა ისტორიულ კულტურულ კონტექსტში -- კონკრეტულად.

დემოკრატია აბრაამ ლინკოლნმა ისეთი მთავრობა უწოდა, რომელიც ხალხისგან შედგება, ხალხის მიერვეა შექმნილი და ამავე ხალხისთვის იღწვის. მართალია, თეორიულად ეს მოდელი იდეალურად ასახავს დემოკრატის მაღალ იდეალებს, მაგრამ პრაქტიკაში ბევრი დეტალი დაზუსტებას მოითხოვს და ამიტომაც, ყოველთვის არაა ნათელი რა ფორმა უნდა მიიღოს *ხალხის მმართველობამ ხალხისთვის*. ამიტომაც დემოკრატიები ერთმანეთისგან განსხვავდებიან და ზოგჯერ ეს განსხვავებები საკმაოდ მკვეთრია. ეს განსხვავებები გამომდინარეობს იმ

ფაქტიდან, რომ ხალხის მმართველობა დღეს შეუძლებელია პირდაპირი ფორმით განხორციელდეს, ანუ ისე, როგორც ეს ძველი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოებში ხდებოდა; თანამედროვე სახელმწიფოს მოსახლეობის რაოდენობა, ეკონომიკური და საზოგადოებრივი პროგრესი, ინსტიტუციებისა და გამოწვევების სიმრავლე და კომპლექსურობა, პირდაპირი დემოკრატიის იმპლემენტაციის რეალურ საშუალებას არ იძლევა. ამიტომაც თანამედროვე დემოკრატიები წარმომადგენლობითი ხასიათისაა -- მთავრობას ხალხი კონკრეტული ვადით ირჩევს, ეს უკანასკნელი კი, არჩევის შემდეგ, ვალდებულია ამავე ხალხისთვის იღწვოდეს. ხალხის წარმომადგენლის ფუნქციის შესრულება კი ცალკე აღებული ინდივიდებისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ლიბერალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად იწყება პოლიტიკური პარტიის, როგორც ხალხის ნების გამომხატველი ყველაზე ოპტიმალური ინსტრუმენტის, განვითარება.

პოლიტიკური პარტია თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის აღმოცენების პარალელურად გაჩნდა და ამიტომაც, მკვლევართა უმრავლესობისთვის თანამედროვე დემოკრატიული მმართველობა შეუძლებელია არსებობდეს პარტიების გარეშე (Daalder, 2001). უფრო მეტიც, თანამედროვე ავტორიტარული რეჟიმების აბსოლუტური უმრავლესობა იყენებს პოლიტიკურ პარტიას, როგორც მართვის აუცილებელ მექანიზმს. ეს განპირობებულია პოლიტიკური პარტიის შეუცვლელი როლით თანამედროვე სახელმწიფოში. პარტია პოლიტიკური ბრძოლის მთავარი ინსტრუმენტია მეტნაკლებად განვითარებულ პოლიტიკურ სისტემაში, რადგან მხოლოდ მას აქვს საშუალება შეასრულოს რიგი ფუნქციებისა, რომლებიც თანამედროვე სახელმწიფოს მოქალაქეს უადვილებს საკუთარი ინტერესების ეფექტიან დაცვას (Michels, 1996).

იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რაც წარმომადგენლობითი დემოკრატიის მმართველობის პირობებში დაგროვდა, დადგინდა რომ რიგ შემთხვევაში, ხალხის ნების სრულფასოვანი გამოხატვა ართულებს მთავრობის მიერ მართვის ეფექტიანად განხორციელებას. ასე მაგალითად, თუ საკანონმდებლო ორგანო პროპორციული წესით აირჩევა მოსახლეობის მრავალფეროვნება უკეთაა წარმოდგენილი და შესაბამისად უფრო მეტი პოლიტიკურ პარტია ახერხებს არჩევნებში გამარჯვებას. ეს ერთის მხრივ, უზრუნველყოფს მოსახლეობის ინტერესების მეტი სრულფასოვნებით წარმოჩენას, თუმცა ამავდროულად ამცირებს ერთპარტიული მთავრობის ჩამოყალიბების შანსს და აქედან გამომდინარე, როგორც წესი, მოითხოვს კოალიციურ მმართველობას (Norris, 2004). ეს უკანასკნელი კი გაცილებით არამდგრადი და შინაგანად სუსტი პოლიტიკური გაერთიანებაა, რომელიც უფრო ნაკლებად ახერხებს ეფექტიანი პოლიტიკის გატარებას. მაჟორიტარული სისტემა კი, როგორც ეს დუვერჟემ დაასკვნა გასული საუკუნის 50-იან წლებში, ხელს უწყობს ორპარტიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას (Duverger, 1972). ამგვარ სისტემაში მოსახლეობის ინტერესები შეზღუდულადაა წარმოდგენილი, სამაგიეროდ მთავრობა ძირითადად ერთპარტიულია და აქედან გამომდინარე, გაცილებით ქმედუნარიანი. ამგვარად, დემოკრატიები ერთმანეთისგან შინაარსობრივად განსხვავდებიან წარმომადგენლობითობისა და ეფექტიანობის მიხედვით. ამ სხვაობას, საბოლოო ჯამში, შედეგად მკვეთრად განსხვავებული პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბება მოაქვს.

საარჩევნო სისტემები, საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობა, პოლიტიკური პარტიები, ის თემებია, რომელთა კვლევა გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ინტენსიურად მიმდინარეობს. ამ მიმართებით დაგროვილია საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა და ბუნებრივია, რომ ეს ნაშრომი ვერ შეეხება ყველა იმ თემას, რომელიც ამ ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხებთანაა დაკავშირებული.

ამავდროულად, შევეცდებით განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ჩვენი კვლევისთვის ყველაზე მეტად რელევანტურ თემებს.

პოლიტოლოგთა უმრავლესობა თვლის, რომ საარჩევნო სისტემის ფორმასა და ქვეყნის კონსტიტუციურ მოწყობას დიდი გავლენა აქვს სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის ხასიათზე (Strom, 1990). ბევრი მათგანის აზრით, კონკრეტულად ეს პარამეტრები განსაზღვრავენ დემოკრატიული მმართველობის ფორმას, რომელიც უმრავლესობის მმართველობიდან კონსენსუალური მმართველობის დიაპაზონამდე შეგვიძლია მოვიაზროთ, როგორც ეს არენდ ლაიპჰარტმა (2012) თავის ფუძემდებლურ ნაშრომში *დემოკრატიის ფორმები* გააკეთა, როცა მან დემოკრატიები ამ ორ ძირითად ჯგუფად დაყო და 10 კრიტერიუმის მიხედვით შეაფასა. ბევრი სხვა მკვლევარიც იზიარებს დემოკრატიების ასე დაყოფას და ერთმანეთს უპირისპირებს კონტინენტური და ანგლო-საქსონური დემოკრატიების მოდელებს, რომელთა ძირითადი განმასხვავებელი სწორედ ეს ნიშანია (Almond, 1956). კონტინენტური დემოკრატიები უფრო კონსენსუალური ტიპის მმართველობის ფორმას წარმოადგენენ, სადაც არამარტო პარტიებს შორის თანამშრომლობა და კომპრომისი, კოალიციური მმართველობა და საარჩევნო ბლოკების შექმნაა გავრცელებული, არამედ სოციალურ ჯგუფებს შორისაც საზოგადოება კომპრომისსა და თანამშრომლობას უფრო მოეწონება, ვიდრე დაპირისპირებასა და კონკურენციას (Lijphart, 1977). ასე მაგალითად, დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში კორპორატიზმია გავრცელებული. ამ დროს მთავრობას, ბიზნესსა და პროფკავშირებს შორის დავები ძირითადად სამმხრივი მოლაპარაკების საფუძველზე წყდება და არა სასამართლოში. ბუნებრივია, გაფიცვები და სასამართლო დავები აქაც გვხვდება, მაგრამ გაცილებით მცირე რაოდენობით ვიდრე ეს ანგლო-საქსონურ დემოკრატიებშია. მეორეს მხრივ, განსხვავებული სურათი გვაქვს აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში, ისევე როგორც დიდი ბრიტანეთის

კოლონიების ძირითად ნაწილში; აქ იშვიათია კოალიციური მთავრობები, და საზოგადოებრივ სფეროშიც სახელმწიფოს როლი მცირეა -- პოლიტიკური კულტურა არ ითვალისწინებს და არ მოელის საზოგადოების სხვადასახვა ჯგუფებს შორის კომპრომისისა თუ თანხმობის მიღწევის აუცილებლობას. შესაბამისად, დავა დამქირავებელსა თუ დაქირავებულს შორის ძირითადად სასამართლოთი წყდება და სწორედ ესაა ამ ტიპის საზოგადოებაში მისაღები და მოსალოდნელი ფორმა კონფლიქტისა და აზრთა სხვადასხვაობის გადაწყვეტისა.

შესაბამისად, თუკი დუვერჟეს (1972), ლაიპჰარტის (2012), რაიკერისა (1986) და მათი თანამოაზრეების იდეას გავიზიარებთ, საარჩევნო სისტემას უკვე საშუალოვადიან პერსპექტივაში შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს მოცემულ ქვეყანაში კონსენსუალური ან კონკურენტული დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების საქმეში. ასე რომ, პრაქტიკულად შესაძლებელი ხდება ავირჩიოთ როგორი დემოკრატია გვსურს, შევქმნათ შესაბამისი საარჩევნო სისტემა და დაველოდოთ ლოგიკურ შედეგს. ბუნებრივია, ტრადიცია და ისტორიული კონტექსტი ხელს უშლის საზოგადოებრივი დაკვეთის შემთხვევაშიც კი მსგავსი რეფორმის გატარებას. უფრო მეტიც, თუკი დავუშვებთ, რომ საზოგადოებრივი დაკვეთაც ნაწილობრივ ტრადიციითა და ისტორიული კონტექსტით ყალიბდება, მხოლოდ კრიზისულ სიტუაციას თუ შეუძლია ამგვარი რეფორმის საკითხი დღის წესრიგში დააყენოს (Kitschelt, Mansfeldova, Markowski, & Tóka, 1999). ამიტომაც დრამატული ცვლილებები უკვე ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ ქვეყნებში შედარებით იშვიათია. სამაგიეროდ, ეს საკითხი მეტი აქტუალურობით დგას ახლად ჩამოყალიბებულ დემოკრატიებში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც „ისტორიის დასასრული“ (Fukuyama, 1989) დადგა და ყოფილმა სოციალისტურმა ქვეყნებმა არჩევანი დემოკრატიაზე და კაპიტალიზმზე გააკეთეს, ოპტიმალური საარჩევნო სისტემის შექმნამ, მისგან გამომდინარე

პოლიტიკური შედეგებით განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა. 1990 წელს ევროპის საბჭოს ფარგლებში შეიქმნა ვენეციის კომისია, რომლის ძირითად ფუნქციას სწორედ ახალი დემოკრატიების დახმარება წარმოადგენს, კონსტიტუციური მოწყობის, საარჩევნო სისტემისა და დემოკრატიის საკითხებში. ბოლო 10 წლის მანძილზე ამ ორგანიზაციის მოსაზრებებმა ცენტრალური მნიშვნელობა შეიძინა ქართულ რეალობაშიც. ამ დროის განმავლობაში, ქართულ პოლიტიკურ სისტემაში თანდათან პირველ პლანზე გადმოიწია არამარტო უშუალოდ სამართლიანი არჩევნების ჩატარების საკითხმა, არამედ საარჩევნო სისტემის სამართლიანად მოწყობამაც. 2010 წლის 4 ოქტომბერს 8 მთავარი ოპოზიციური პარტიისაგან შემდგარმა ჯგუფმა წარმოადგინა საკუთარი ხედვა საარჩევნო სისტემის რეფორმის შესახებ და ხელისუფლებას მოლაპარაკებებისკენ მოუწოდა (რვა ოპოზიციური პარტია., 2010). ხუთი საკითხიდან პირველს სწორედ საკანონმდებლო ორგანოს არჩევის წესის ცვლილება წარმოადგენდა. საქართველოს პარლამენტის 150 დეპუტატიდან 77 პროპორციული, ხოლო 73 მაჟორიტარული წესით აირჩევა; ოპოზიციურმა პარტიებმა მოითხოვეს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა, რომლის მიხედვითაც 75 დეპუტატი პროპორციული, ხოლო დარჩენილი 75 რეგიონალურ პროპორციული სისტემით აირჩეოდა. ოპოზიციური პარტიები ადრეც არაერთხელ გამოთქვამდნენ უნდობლობას საარჩევნო სისტემისა და არჩევნების მიმართ, მაგრამ მათი კრიტიკა ძირითადად უშუალოდ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობას შეეხებოდა; გაყალბება, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და წინასაარჩევნოდ უთანასწორო კონკურენცია წარმოადგენდა დისკუსიის ცენტრალურ საგანს. საფიქრებელია, რომ საარჩევნო სისტემაზე აქცენტის გაკეთება მნიშვნელოვანწილად ვენეციის კომისიის 2010 წლის 9 ივნისის დასკვნამ გამოიწვია (Venice Commission & OSCE/ODIHR, 2010). ამ დასკვნის მიხედვით, ქართული საარჩევნო სისტემა უმნიშვნელოვანეს ხარვეზს

შეიცავდა, კონკრეტულად კი მაჟორიტარული არჩევნებისას სრულიად უგულვებელყოფილი იყო ამომრჩეველთა ხმების თანასწორობის პრინციპი -- ამომრჩეველთა რაოდენობა ოლქიდან ოლქამდე 6,800-დან 140,000-მდე მერყეობდა. ამავე კომისიის დასკვნით, მართალია კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლებელია დასაშვები იყოს ამომრჩეველთა რაოდენობრივი განსხვავება, მაგალითად, მაშინ როცა საქმე გვაქვს გეოგრაფიულ ერთეულთან, რომელიც ისტორიულ-კულტურული კონტექსტიდან გამომდინარე მოითხოვს მისი ინტერესების წარმოდგენის უზრუნველყოფას. ასეთი შეიძლება იყოს ნაკლებ დასახლებული მთიანი რეგიონები, რომელთა პრიორიტეტები და დღის წესრიგი ბარის რეგიონთან გაერთიანების შემთხვევაში არასათანადოდ იქნებოდა გათვალისწინებული. ქართულ საარჩევნო სისტემაშიც განსხვავებათა უდიდესი წილი სწორედ ასეთ ოლქებზე მოდიოდა, თუმცა, ამავე დასკვნის მიხედვით გადახრა არ უნდა ყოფილიყო 15%-ზე მეტი. წარმოდგენილი მაგალითით კი მკაფიოდ ჩანს, რომ განსხვავება 95%-ს აღწევდა. კომისიის დასკვნაში მოყვანილი ეს მაგალითი, მართალია, უკიდურესობაა, მაგრამ სხვა ოლქებთან მიმართებაშიც განსხვავება ხშირად აღემატებოდა დასაშვებ 15%-ს (ცესკო, 2012); ერთი შეხედვითაც კი ნათელია, რომ ოლქების 2/3 ვერ აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნას. ამ საარჩევნო სისტემას მიკერძოებულად და უსამართლოდ თვლიდა ბლოკი ქართული ოცნებაც და ეს შეხედულება მათ საარჩევნო პროგრამაშიც გამოიხატა (საარჩევნო პროგრამა, 2012). 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ეს საკითხი კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. ოპოზიციური პარტიები კვლავ პროპორციულ სისტემაზე გადასვლას ითხოვდნენ, მმართველი კოალიცია კი ამ სისტემაზე გადასვლას მხოლოდ 2020 წლისთვის დათანხმდა. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს უკვე მმართველი ძალა ქართული ოცნება არ ჩქარობს საარჩევნო სისტემის რეფორმირებას, მიუხედავად 2012 წლის საარჩევნო პროგრამაში ამ საკითხის დაყენებისა, მიუთითებს რომ პოლიტიკურ წრეებში, საარჩევნო

სისტემის გავლენა არჩევნების შედეგებზე ექვს არ იწვევს. ქართული ოცნება დღეს ცდილობს მაჟორიტარული კომპონენტის მნიშვნელობასა და დადებით მხარეებზეც ისაუბროს და ამტკიცებს, რომ პროპორციულ წარმომადგენლობასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია თითოეული ოლქის კონკრეტული ინტერესებიც იყოს გამოხატული ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. მეორეს მხრივ, ოპოზიციურ პარტიათა დიდი ნაწილი საერთოდ უგულვებელყოფს იმ დადებით მხარეებს, რაც მაჟორიტარულ სისტემას გააჩნია და პროპორციულ სისტემას დემოკრატიისთვის მისაღებ ლამის ერთადერთ საარჩევნო სისტემად წარმოადგენს. მხოლოდ საქართველოს მაგალითზეც კი ჩანს, რამხელა მნიშვნელობა აქვს საარჩევნო სისტემას უშუალოდ პოლიტიკური შედეგებისთვის. ფაქტია, რომ მთავარი პოლიტიკური აქტორები -- პოლიტიკური პარტიები -- სწორედ ასე თვლიან. მათ ამ სფეროს ბევრი მკვლევარი ეთანხმება და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაცილებით შორსმიმავალ დასკვნებსაც აკეთებს; საარჩევნო სისტემას არამარტო კონკრეტულ არჩევნებზე აქვს გავლენა, არამედ ის მეტნაკლებად განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკურ სისტემასა და კულტურას, როგორც საშუალო, ასევე გრძელვადიან პერიოდშიც.

შესაბამისად, როგორც უკვე აღინიშნა, მკვლევართა მნიშვნელოვანი ჯგუფი მიიჩნევს, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა ხელს უწყობს ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას, პროპორციული კი მრავალპარტიული სისტემით ხასიათდება (Sartori, 2003). პირველი სისტემა კონკურენტულ დემოკრატიულ კულტურასთანაა ასოცირებული, როგორც ეს ანგლო-საქსონური გავლენის მქონე ქვეყნებში გვხვდება, ხოლო ქვეყნებში სადაც მეორე ტიპის საარჩევნო სისტემაა გავრცელებული ძირითადად კონსენსუალური დემოკრატიული კულტურა დომინირებს. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს რომ საარჩევნო სისტემის და შემდეგ უკვე ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის ზოგიერთი ასპექტი,

კონკრეტულად კი აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს შორის არსებული ძალთა ბალანსი, როგორც თეორეტიკოსების ასევე პოლიტიკოსების აქტიური ინტერესის საგანს წარმოადგენს; თუკი საარჩევნო სისტემის გავლენა ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტია, მაშინ ამ საკითხის მრავალმხრივ შესწავლას კონკრეტული შედეგები აქვს ქვეყნის სწორი დემოკრატიული განვითარებისთვის.

ამ კვლევის მიზანაც სწორედ ეს გახლავთ: ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნების მაგალითზე შეისწავლოს ახდენს თუ არა გავლენას დემოკრატიზაციის შემდეგ მიღებული საარჩევნო სისტემა და კონსტიტუციური მოწყობა ამ ქვეყნების პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე.

ჩვენი კვლევა ეყრდნობა ფრანგი პოლიტოლოგის მორის დუვერჟეს მიერ ჩამოყალიბებულ თეორიულ მოდელებს, რომლებიც დუვერჟეს *კანონისა* და დუვერჟეს *ჰიპოთეზის* სახელითაა ცნობილი (Riker, 2003). დუვერჟეს *კანონი* ამბობს, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლების/დეპუტატების ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქებიდან უბრალო უმრავლესობის პრინციპით არჩევა ხელს უწყობს ამ ქვეყანაში ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას. დუვერჟეს *ჰიპოთეზა* კი ამტკიცებს, რომ ერთმანდატიანი კვალიფიციური უმრავლესობისა და პროპორციული საარჩევნო სისტემები მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს. მართალია, ორივე მტკიცება მსგავსია, მაგრამ მათი გაიგივება არ შეიძლება. რაიკერის (2003) ინტერპრეტაციითაც, დუვერჟეც პირველს გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ამიტომაც მეორე მოსაზრებას იგი ჰიპოთეზას სწორედ ამიტომ უწოდებს. რა თქმა უნდა, დუვერჟეს არ ჩამოყალიბებია ზუსტი მექანიზმი, რომლის მიხედვითაც ზუსტად დათვლიდა ამა თუ იმ სისტემას ზუსტ გავლენას

პარტიული სისტემის ჩამოყალიბებაზე. ჩვენის მხრივ ვთვლით, რომ როგორც *კანონი*, ასევე *ჰიპოთეზა* ცხადად და ლოგიკურად ჩამოყალიბებული მტკიცებებია და ძირითადად ემპირიულ მონაცემებთან ისინი თანხვედრაში არიან, თუმცა მიგვაჩნია, რომ ერთმანდატიანი კვალიფიციური უმრავლესობის შემთხვევაში ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბების ტენდენციები მეტი უნდა იყოს, ვიდრე მრავალპარტიულისა. სხვა სიტყვებით, ჩვენი შეხედულებით, მართალია ეს სისტემა უფრო ნაკლებად მიმართავს სისტემას ორპარტიულობისკენ, ვიდრე უბრალო უმრავლესობის ერთმანდატიანი სისტემა, მაგრამ ორივე შემთხვევაში მიმართულება თანხვედრია.

ამავდროულად, მიგვაჩნია, რომ მოცემულ ქვეყანაში პარტიული სისტემის ჩამოყალიბებაზე საუბრისას, საარჩევნო სისტემის გარდა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქვეყნის კონსტიტუციურ მოწყობასაც. საქმე იმაშია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების არჩევის წესი და მისი მიმართება საკანონმდებლო ორგანოსთან ცენტრალური მნიშვნელობისაა ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში. დემოკრატიულ თეორიაში, მართალია, საკანონმდებლო ორგანო ხშირად ხალხის ნების გამომხატველ უმაღლეს ორგანოდ მიიჩნევა, აღმასრულებელ ხელისუფლებას თითქმის ყოველთვის უფრო მეტი ბერკეტი აქვს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებზე გავლენის მოსახდენად. აქედან გამომდინარე, ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში გადამწყვეტ მნიშვნელობას სწორედ აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის ბრძოლას ანიჭებენ; იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქმე საპარლამენტო რესპუბლიკას ან კონსტიტუციურ მონარქიას შეეხება, თითოეული პოლიტიკური ძალის მიზანია მოიპოვოს საჭირო ხმების რაოდენობა საკანონმდებლო ორგანოში აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის, ხშირად პრემიერ-მინისტრის, ასარჩევად. საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში კი, ცენტრალური მნიშვნელობის არჩევნებს

სწორედ პრეზიდენტის არჩევნები წარმოადგენს. აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის მოპოვება ქვეყნის მმართველობაში მოსვლას ნიშნავს და ამიტომაც პოლიტიკურ სისტემაზე გავლენას ახდენს თუ როგორ ირჩევენ ქვეყნის მთავრობის ხელმძღვანელს (Shugart & Carey, 2004). ვინაიდან საპრეზიდენტო არჩევნები თავისი შინაარსით მაჟორიტარული ტიპისაა, შეგვიძლია დუვერჟეს კანონზე დაყრდნობით ვივარაუდოთ, რომ საპრეზიდენტო მმართველობისას მეტია ორპარტიული ტენდენციები, ხოლო საპარლამენტო წყობისას, როცა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს საკანონმდებლო ორგანო ირჩევს, ეს ტენდენცია არ გვაქვს. განსაკუთრებული შემთხვევაა ნახევრად-საპრეზიდენტო სისტემები, რომელიც ვთვლით რომ ხელს უწყობს პარტიების გამსხვილებას, თუმცა არა იმ დოზით, როგორც ეს საპრეზიდენტო მმართველობის დროს არის მოსალოდნელი.

ამ კვლევის შედეგებს პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელიც ცდილობს საკუთარ სახელმწიფოში წარმატებულად დაასრულოს დემოკრატიული ტრანზიციის და დემოკრატიის კონსოლიდაციას მიაღწიოს. აქედან გამომდინარე კვლევაში, ყურადღებას დავუთმობთ არამარტო ჩვენი ჰიპოთეზის გადამოწმებას, არამედ ასევე მიმოვიხილავთ დისკუსიას სხვადასხვა ფორმის დემოკრატიული მმართველობების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ, და შევეცდებით გავაკეთოთ დასკვნები, ამა თუ იმ დემოკრატიული სისტემის დამკვიდრების მიზანშეწონილობის შესახებ კონკრეტულ ქვეყანასა თუ რეგიონში. ბუნებრივია, ჩვენი ყურადღების მთავარ საგანს საქართველო წარმოადგენს და ხსენებული დისკუსიის ფონზე, იმედი გვაქვს, მეტნაკლებად გამოიკვეთება ჩვენს ქვეყანაში სტაბილური დემოკრატიის დამკვიდრების ხელშემწყობი ოპტიმალური პოლიტიკური სისტემა და მმართველობის ზოგადი ფორმა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს დისკუსია, თავისი გამომდინარე შედეგებით, საშუალებას მოგვცემს

ზოგადი დასკვნებიც გავაკეთოთ, რომელიც რელევანტური ქვეყნების უფრო ფართო ჯგუფისთვისაც იქნება.

პოლიტიკური კულტურა ფართო ცნებაა და მოიცავს ყველა იმ კომპონენტის ერთობას, რომელთა ნაწილს ზემოთ შევხეთ. ამიტომ ამ კვლევის ფარგლებში ძნელი იქნებოდა ყველა იმ განმასხვავებელი კომპონენტის განხილვა, რომელიც ლაიპპარტს (1977) ან სხვა ავტორებს აქვთ წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის დემოკრატიების შედარებისას. უფრო მეტიც, შეუძლებელი იქნებოდა იმ 18 ქვეყნის, რომელსაც ეს კვლევა მოიცავს ისეთი დეტალიზაციით შესწავლა, რაც მეტნაკლები დამაჯერებლობით მოგვცემდა საშუალებას გვემსჯელა პოლიტიკური კულტურის, როგორც ამ კომპონენტებისგან შემდგარი მთლიანობის ხასიათზე. ამ გარემოებების გათვლასწინებით, ოპტიმალურად მივიჩნიეთ პოლიტიკურ კულტურაზე გვემსჯელა ძირითადად ერთი კონკრეტული პარამეტრის -- ეფექტიანი პარტიების რაოდენობით მოცემულ სისტემაში (Taagepera, 2007). პოლიტიკური პარტიების რაოდენობა სარწმუნო ინდიკატორს წარმოადგენს დემოკრატიის ტიპის განსაზღვრისას, ვინაიდან როგორც წესი ორპარტიული პოლიტიკური სისტემა კონკურენტულ დემოკრატიასთან, ხოლო მრავალპარტიული სისტემა კონსენსუალურ დემოკრატიასთან არის ასოცირებული. შესაბამისად, თუკი განხილული ქვეყნების ჯგუფში მაჟორიტარული არჩევნები ასოცირებული იქნება ორპარტიულ, ხოლო პროპორციული არჩევნები მრავალპარტიულ სისტემასთან ჩვენს მიერ წარმოდგენილი ჰიპოთეზის დამაჯერებლობა და ვალიდურობა გაიზრდება.

ვინაიდან პარტიებს, პოლიტიკური კულტურის განსაზღვრაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ, მიზანშეწონილია, მოკლედ მიმოვიხილოთ პარტიების თანამედროვე განვითარებასთან დაკავშირებული რამდენიმე კონკრეტული საკითხი. თანამედროვე

პოლიტიკური მეცნიერება პარტიის რამდენიმე ძირითად ფუნქციას გამოყოფს, მათ შორის, კანდიდატთა შერჩევა, საარჩევნო მობილიზაცია, საზოგადოებრივი ჯგუფის წარმომადგენლობა, ამომრჩეველთა ინტერესების შეჯერება, ამავე ინტერესების ჩამოყალიბება, სახელმწიფოს მართვის უნარი და სხვ (Gunther & Diamond, 2001). ცხადია, რომ პარტიების რაოდენობა და მათი რაობა უკიდურესად მნიშვნელოვანია თანამედროვე სახელმწიფოს პოლიტიკური და მმართველობის სისტემის ეფექტიანობის თვალსაზრისით. უფრო მეტიც, წარმოდგენილი პარტიების რაოდენობა და ხარისხი პირდაპირ მიუთითებს ქვეყნის პოლიტიკურ კულტურაზე და წარმოდგენას გვიქმნის ამავე ქვეყნის განვითარების პერსპექტივებზე. ეს ყოველივე კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება თუკი გავითვალისწინებთ, რომ პოლიტიკურ პროცესსა და გადაწყვეტილებების მიღებაზე ღია და ინფორმირებულ დისკუსიას გადამწყვეტი როლი აქვს. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მას-კომუნიკაციების გავრცელების ეპოქაში პოლიტიკური პარტია ტრანსფორმაციას განიცდის მთელი მსოფლიოს მასშტაბით; იცვლება ის დატვირთვა, რაც პოლიტიკურ პარტიას ისტორიულად გააჩნდა და შესაბამისად, ცვლილებას განიცდის მისი ორგანიზაციული თავისებურებები და ამოცანები. ამ თემას თანმიმდევრულად მიმოიხილავენ დაიმონდი და გუნტერი (2001) ნაშრომში *პოლიტიკური პარტიები და დემოკრატია*. ავტორები აცალკევებენ პოლიტიკური პარტიების 7 ფუნქციას და მსჯელობენ იმაზე, თუ რომელი მათგანი აღარ არის აქტუალური კონკრეტულ კონტექსტში, რეგიონში თუ ზოგადად. ასე მაგალითად, მასობრივი კომუნიკაციების გავრცელება ამცირებს ადგილზე იდეოლოგიურად მომზადებული კადრების არსებობის საჭიროებას, ვინაიდან პარტიის ლიდერებს საშუალება აქვთ პირდაპირ მიმართონ ამომრჩეველს ტელევიზიის, რადიოსა და სოციალური მედიის საშუალებით (Gunther & Diamond, 2001). შესაბამისად, წარმატებისთვის აღარ არის

გადამწყვეტი მასობრივი წევრობის მქონე პარტიების შექმნა, როგორც ეს მეორე მსოფლიო ომამდე იყო. იგივე ფაქტორიდან გამომდინარე, დღეს, გაცილებით მცირე ზომის ორგანიზაციებს, ინტერესთა ჯგუფებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს არანაკლები და ზოგჯერ უფრო მეტი, გავლენაც აქვთ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე; შესაბამისად, პარტია, დღეს, კონკურენციას უწევს არამარტო პოლიტიკურ მეტოქეებს, არამედ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსაც, ამა თუ იმ საკითხზე აზრის ფორმირების საკითხში. უფრო მეტიც, საქართველოს მსგავს ქვეყანაში ამ უკანასკნელი ტიპის ორგანიზაციები აპრიორი უპირატესობით სარგებლობენ, ვინაიდან მათი მიზანი ხელისუფლებაში მოსვლა არაა და შესაბამისად, ნომინალურად მაინც პოლიტიკურ საკითხებს პირადი გამორჩენისთვის უფრო ნაკლებად გამოიყენებენ. გამოკითხვების გაადვილებამ და გადამოწმებადობამ გააძლიერა თანამედროვე პარტიების წარმომადგენლობითი და ინტერესთა შეჯამების ფუნქცია, მაგრამ შეასუსტა პარტიის როლი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, და ა.შ. ეს დისკუსია, გარკვეული კუთხით პარტიათა ტრანსფორმაციის ალტერნატიული ახსნაა, და აქედან გამომდინარე, რელევანტური ალტერნატივაა ამ ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებისთვის, თუმცა, გარკვეული მოსაზრებები პარტიათა ფუნქციების, ტიპოლოგიისა და ტრანსფორმაციული პროცესების შესახებ, კაზუსების განხილვისას მეტ სიცხადეს შეიტანს. ამავდროულად, პარტიების მიერ სხვადასხვა პოლიტიკური ფუნქციის სხვადასხვა დატვირთით განხორციელება მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული ქვეყანაში არსებული დომინანტური პარტიული სისტემით. ორპარტიულ სისტემაში, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პარტიებს შორის პროგრამული განსხვავებები შედარებით მცირე იქნება დაუნზის (1985) მოდელიდან გამომდინარე, ხოლო მრავალპარტიულ სისტემაში პროგრამულ დიფერენციაციაზე მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს. ასევე, ორპარტიულ სისტემაში მეტი ყურადღება

დაეთმოება მთელი ქვეყნის ტერიტორიის ორგანიზაციულ დაფარვას პარტიების მიერ, მაშინ როცა მრავალპარტიულ სისტემაში ამ მიმართებით სხვადასხვა მიდგომები შეიძლება აღმოჩნდეს ოპტიმალური. ეს მაგალითებიც კი საკმარისია იმისთვის, რომ ნათლად დავინახოთ შესაძლო მექანიზმი თუ როგორ ზემოქმედებს პარტიების რაოდენობა, ქვეყნის პოლიტიკურ სისტემასა და კულტურაზე. აქედან გამომდინარე, პარტიების რაოდენობა და მათი რაობა ცენტრალური მნიშვნელობისაა ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებაში და საგრძნობ გავლენას ახდენს მის ეკონომიკურ პერსპექტივაზეც.

პოლიტიკური პარტიების წარმოშობა მნიშვნელოვნად უსწრებს წინ, პოლიტოლოგიის, როგორც თანამედროვე მეცნიერების ჩამოყალიბებას. ამიტომაც, ვერცერთი დისკუსია პარტიების შესახებ ვერ იქნება აბსოლუტურად ახალი. მეორეს მხრივ, ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კი მასობრივი კომუნიკაციისა და მართვის ტექნოლოგიების არნახული ტემპით განვითარებამ, მნიშვნელოვნად შეცვალა პრაქტიკულად ყველა პოლიტიკური ინსტიტუტისა და მათ შორის, პარტიების როლი და ფუნქცია. განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს პარტიების ჩამოყალიბება და დემოკრატიის ფუნქციონირება ისეთ ქვეყნებში, რომელთაც მსგავსი გამოცდილება პრაქტიკულად არ ჰქონიათ. ბევრი რამ დაწერილა ზოგადად პარტიების შესახებ, თუმცა აღმოსავლეთ ევროპისა და მით უმეტეს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, პარტიების განვითარების შესახებ ლიტერატურა შედარებით მწირია. ასე რომ, მართალია პარტიული სისტემების მიმოხილვა ევროპის ყოფილ სოციალისტურ ნაწილში, ახალი თემა არ გახლავთ, დისკუსია, როგორც წესი, შეეხება საბჭოთა წარსულის გავლენას პარტიების ჩამოყალიბების პროცესზე და საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობის მნიშვნელობას ქვეყნის დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით და არა საარჩევნო სისტემის ზემოქმედებას ქვეყანაში პარტიული სისტემის ჩამოყალიბებაზე (Herbut & Baluk, 2010).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კვლევის ფარგლებში განხილულ არცერთ ქვეყანაში, რომელიც შერჩევის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, მაჟორიტარული სისტემა წმინდა სახით წარმოდგენილი არ არის და კვლევის მიერ განხილულ ისტორიულ პერიოდში არც ყოფილა; უკიდურესად, იშვიათია საპრეზიდენტო მმართველობაც. ეს ბუნებრივია, გარკვეულ პრობლემებს ქმნის, მაგრამ ვთვლით, რომ არსებული მონაცემების საფუძველზე მაინც შესაძლებელია აღნიშნულ საკითხზე აკადემიური მსჯელობა. ეს შესაძლებელია, ვინაიდან მაჟორიტარული ან პროპორციული საარჩევნო სისტემის გავლენის გამოსავლენად არ არის აუცილებელი ამ სისტემების მხოლოდ და მხოლოდ სუფთა სახით არსებობა; გვაქვს ყველანაირი ლოგიკური საფუძველი ჩავთვალოთ, რომ შერეულ სისტემებში -- ისეთ სისტემებში, სადაც საკანონმდებლო ორგანოს აირჩევენ პროპორციული და მაჟორიტარული სისტემის კომბინირებით (მაგ, საქართველოს ბოლო 5 მოწვევის პარლამენტები) -- პარტიების რაოდენობა უფრო ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე პროპორციული საარჩევნო სისტემის შემთხვევაში. კვლევაში განხილული 18 ქვეყნიდან კი ასეთი სისტემა სხვადასხვა დროს 10-ზე მეტ ქვეყანაში ფიქსირდება და ეს ამ მოდელის გამოყენების საშუალებას იძლევა. უფრო მეტიც, თუკი ჩავთვლით, რომ შერეულ სისტემაში პროპორციული და მაჟორიტარული სისტემების გავლენა პარტიების რაოდენობაზე შემცირებულია და ამის მიუხედავად მივიღებთ ჰიპოთეზის თანმხვედრ შედეგს, ეს ჩვენს მოსაზრებას კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას შესძენს. ასევე, მართალია საპრეზიდენტო მმართველობა უკიდურესად იშვიათად გვხვდება, ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობა რამდენიმე ქვეყანაშია წარმოდგენილი და ეს, შედარებითი ანალიზის საშუალებას იძლევა.

ლიტერატურის მიმოხილვა და მეთოდოლოგია

ნაშრომი ყველაზე მეტად ინფორმირებულია დუვერჟეს *კანონით*, რომლის მიხედვითაც, უბრალო უმრავლესობის ერთმანდატიანი საარჩევნო სისტემა (შემდეგ უბრალო მაჟორიტარული) ხელს უწყობს ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას (1972). ჩვენი ჰიპოთეზა, მართალია, ამ მტკიცებას ეყრდნობა, მაგრამ უფრო მეტ გარემოებას ითვალისწინებს. კონკრეტულად კი, ვთვლით, რომ მაჟორიტარული სისტემა და ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტი ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, ხოლო პროპორციული სისტემა და საპარლამენტო მმართველობა მრავალპარტიულობისკენ მიმართავს პოლიტიკურ სისტემას.

დუვერჟეს *კანონის* მიხედვით, ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბება მექანიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორებით არის განპირობებული (Cox, 2007). უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ პარტიის მიზანი, მოიპოვოს გამარჯვება არჩევნებში და აქედან გამომდინარე, შეძლოს მთავრობის ჩამოყალიბება და ქვეყნის მართვა. ამ უფლების მოსაპოვებლად, აუცილებელია ხმების უმრავლესობის მოპოვება და ამიტომ, თითოეულ ოლქში პარტიები ცდილობენ იმგვარი პლატფორმის, კანდიდატის, ან კოალიციური ერთობის წარმოდგენას, რომელიც გაზრდის მათი კანდიდატის შანსს მოიპოვოს ყველაზე მეტი ხმა. აქედან გამომდინარე, პარტიები უკვე არჩევნებამდე ცდილობენ მათ რიგებში სხვადასხვა პოლიტიკური ძალებისა და ინტერესების მაქსიმალურ ინკორპორაციას. ამავდროულად, ეს ტენდენცია ვრცელდება საარჩევნო ოლქების მთელ რაოდენობაზე, რადგან თითოეული მოწინააღმდეგე

ითვალისწინებს არამარტო მოცემულ ოლქში გამარჯვების მნიშვნელობას, არამედ მანდატების საერთო რაოდენობის უმრავლესობის მოპოვების აუცილებლობას, ვინაიდან სწორედ ეს გახლავთ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსვლის ერთადერთი დემოკრატიული გზა. ეს მოვლენა იწვევს პარტიების გამსხვილებას, რომელსაც საბოლოო ჯამში ორპარტიულ სისტემამდე მივყავართ (Powell, 2000). ასევე მექანიკურ ფაქტორებს განეკუთვნება მაჟორიტარული სისტემის თავისებურება, რომლის დროსაც უმცირესობის ხმები იკარგება და არ აისახება არჩევნების შედეგებზე. ასე მაგალითად, თუ მოცემულ ქვეყანაში 100 ერთმანდატიან ოლქში უბრალო უმრავლესობით ირჩევენ კანდიდატს, სავსებით შესაძლებელია რომ ყველა ადგილი ერთმა პარტიამ მოიპოვოს იმის მიუხედავად რომ მან საერთო ხმების მხოლოდ 30-40% მიიღოს. ამ შემთხვევაში, სხვა პარტიები მათ მიერ მიღებული ხმების პრაქტიკულ რეალიზაციას საერთოდ ვერ ახერხებენ. ძირითადად კი, ეს სისტემა განსაკუთრებით უარყოფითად სწორედ მესამე და რანგირებით კიდევ უფრო დაბლა მდგომ პარტიებზე მოქმედებს. ეს ეფექტი კიდევ უფრო აძლიერებს პარტიების მოტივაციას, თავიდანვე იზრუნონ მოცემულ ოლქში გამარჯვებაზე და აქედან გამომდინარე, მაქსიმალურად მოიცვან ყველა რელევანტური პოლიტიკური ძალა და ინტერესთა ჯგუფი. ფსიქოლოგიური ეფექტი კი გულისხმობს, უკვე ამომრჩევლის პრეფერენციებში ცვლილებებს, რომელიც მაჟორიტარული სისტემის მექანიკური ეფექტიდან გამომდინარეობს. ამ დროს, ამომრჩეველი, ხედავს რა საერთო ტენდენციას, რომლის დროსაც არჩევნებში დამარცხებული მხარისთვის მიცემული ხმები უბრალოდ იკარგება, მას უჩნდება მოტივაცია ხმა მისცეს არა მისთვის ყველაზე სასურველ კანდიდატს, არამედ იმ კანდიდატს რომელიც მისთვის ნაკლებად არასასურველია, მაგრამ გამარჯვების რეალური შანსი აქვს (Shepsle, 2010). ამ ფაქტორთა კომბინაცია კი ორპარტიული სისტემის წარმოშობისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის.

ამავე ტენდენციას აძლიერებს მმართველობის სისტემა ძლიერი პრეზიდენტით. საქმე იმაშია, რომ ამგვარი მმართველობის სისტემა გულისხმობს პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევას, რომელშიც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო არ მონაწილეობს. ვინაიდან, ძლიერი პრეზიდენტის შემთხვევაში სწორედ ის წარმოადგენს ადმასრულებელი ხელისუფლების ყველაზე ძლიერ შტოს ქვეყანაში, ყველა პოლიტიკური ძალის ამოცანა სწორედ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებაა (Linz & Valenzuela, 1994). აქედან გამომდინარე, პარტიების მთავარი რესურსი სწორედ ამ არჩევნებში გამარჯვებაზე იხარჯება და საქმეში დუვერჟეს კანონის მექანიკური ეფექტი ერთვება, სადაც პარტიები ცდილობენ შეკავშირებას და იმ საერთო კანდიდატზე შეთანხმებას რომელსაც გამარჯვების რეალური შანსი აქვს. თანდათანობით, ეს სისტემაც აძლიერებს ორპარტიულობის ტენდენციებს, ვინაიდან კოალიციური და ორგანიზაციული ეფექტები შემდგომში ასახვას ჰპოვებს უკვე საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების დროს. ბუნებრივია, რომ წარმატებული საპრეზიდენტო კამპანია უკვე ახდენს მსხვილი პარტიული გაერთიანებების ინსტიტუციონალიზაციას და ამ გაერთიანებების ისევ წვრილ პარტიებად დაშლა საკანონმდებლო არჩევნებისთვის კონკურენტი პოლიტიკური ჯგუფებისთვის წამგებიანია. ამიტომაც ორპარტიული ტენდენციები უფრო მეტად უნდა ფიგურირებდეს ისეთ სისტემაშიც, სადაც მართალია საკანონმდებლო ორგანო პროპორციული წესით აირჩევა, მაგრამ ადმასრულებელ ხელისუფლებაში პრეზიდენტს დომინანტური ადგილი უჭირავს.

უკვე აღვნიშნეთ, რომ დუვერჟე, მაჟორიტარულ არჩევნებს, სადაც კანდიდატს ამომრჩეველთა ხმების საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტი სჭირდება გამარჯვების მოსაპოვებლად, მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებისკენ მიდრეკილად მიიჩნევა. ეს გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ ამ შემთხვევაში, პარტიების არ უწევთ არჩევნების

პირველ ტურში კოალიციების შექმნა და გაერთიანება, ვინაიდან წარუმატებლობის შემთხვევაში ამას მეორე ტურშიც შეძლებენ. ფსიქოლოგიური ეფექტი არ მოქმედებს ამომრჩეველზეც, ვინაიდან მანაც იცის, რომ შეუძლია მეორე ტურში მისთვის ყველაზე არასასურველი კანდიდატის წინააღმდეგ მისცეს ხმა. მართალია, მოვლენების განვითარების ეს მოდელი ლოგიკურად გვეჩვენება, მაინც ვთვლით, რომ არ შეიძლება გავაიგივოთ ამ სისტემის ეფექტები პროპორციული საარჩევნო სისტემის ეფექტებთან. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება პარტიებსა და ამომრჩეველს ამ შემთხვევაშიც უწევს, თუმცა ნაკლები ინტენსივობით. მეორე ტურის შემთხვევაშიც კი, დღის წესრიგში რჩება საკითხი თუ რომელი ორი კანდიდატი გადავა შემდეგ ეტაპზე, ამიტომაც, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პარტიებს აქვთ მოტივაცია შექმნან უფრო ფართო კოალიციები ვიდრე პროპორციული არჩევნების დროს. ასევე მხედველობაში უნდა მივიღოთ ეპოქალური სხვაობა -- დუვერჟეს ნაშრომის გამოქვეყნებიდან დღემდე 60 წელიწადზე მეტი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში მომხდარმა ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა მკვეთრად გააუმჯობესა პარტიების უნარი განსაზღვრონ მომავალ არჩევნებში მოსალოდნელი შედეგები; საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები და მსგავსი ხასიათის კვლევები თანამედროვე მსოფლიოში რეგულარულ და მასშტაბურ ხასიათს ატარებს, დაიხვეწა მეთოდოლოგია და გაიფადა, როგორც მათი ჩატარების ხარჯები, ასევე სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების მოპოვების შესაძლებლობები, ამიტომაც, პარტიებს გაცილებით მეტი სიზუსტით შეუძლიათ განსაზღვრონ საკუთარი შანსები და აქედან გამომდინარე, მეტი ალბათობით იფიქრონ უფრო ფართო კოალიციებისა და ალიანსების შექმნაზე კვალიფიციური მაჟორიტარული არჩევნების დროსაც. აქედან გამომდინარე, მართალია, ასეთი ტიპის არჩევნების დროს ორპარტიული ტენდენციები უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე უბრალო უმრავლესობის

შემთხვევაში, მაგრამ ეს ტენდენცია აქ უფრო ძლიერი უნდა იყოს, ვიდრე პროპორციული არჩევნების დროს. უფრო მეტიც, ვინაიდან პოლიტიკური პარტიის მიზანი საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობის მოპოვებაა და მხოლოდ კონკრეტულ ოლქში გამარჯვებას ეს შედეგი არ მოაქვს, პოლიტიკურ ჯგუფებს შორის წინასაარჩევნო შეთანხმების ალბათობა კიდევ უფრო იზრდება იგივე პრინციპით, როგორც ეს უბრალო უმრავლესობის მაჟორიტარულ სისტემაში გვხვდება. იგივე ფორმით, მოქმედებაში მოდის ფსიქოლოგიური ეფექტიც და ამომრჩეველმა, გამომდინარე გამოქვეყნებული კვლევების შედეგებიდან, უკვე გაცილებით დიდი ალბათობით იცის, რომელ პოლიტიკურ ძალას აქვს რეალური შანსი იბრძოლოს ხელისუფლებისთვის.

პროპორციული არჩევნები კი პარტიებს მოქმედების მეტ თავისუფლებას ანიჭებს. ამ შემთხვევაში, პარტიებს მხოლოდ საარჩევნო ბარიერი ზღუდავს, რომელიც ტიპურად ხმების საერთო რაოდენობის 5%-ს არ აღემატება და ზოგ შემთხვევაში უფრო მცირეცაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ემსახურება ეთნიკურ-რელიგიური ან ლინგვისტური უმცირესობების წარმომადგენლობის უზრუნველყოფას საკანონმდებლო ორგანოში. ამ ბარიერის დამღევა კი პარტიებს გარანტირებულად აძლევს წარმომადგენლობას ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში, შესაბამისად, ამომრჩეველთა ხმების დაკარგვის საფრთხე გაცილებით დაბალია. აქედან გამომდინარე, როგორც ამომრჩეველი, ასევე პოლიტიკური პარტიები არ განიცდიან იმ მექანიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორების ზეგავლენას, რაც პარტიების რაოდენობის შემცირებას უწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ პარტიების მიზანი პროპორციულ სისტემაშიც იგივეა, რაც მაჟორიტარული სისტემის დროს -- ხელისუფლებაში მოსვლა, ამ შემთხვევაში, პოლიტიკურ პარტიებსა და ამომრჩეველს აღარ ეშინიათ, რომ მათი ძალისხმევა დაიკარგება, რადგან საარჩევნო ზღვრის გადალახვა ავტომატურად იწვევს პარტიების წარმომადგენლობის უზრუნველყოფას

საარჩევნო ორგანოში. პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს პარტიებს აქვთ ყველანაირი შესაძლებლობა, ხელისუფლებისათვის ბრძოლა არჩევის შემდეგაც გააგრძელონ კოალიციებისა და ალიანსების შექმნით, საკანონმდებლო ორგანოში უკვე მოხვედრის შემდეგ.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის ჰიპოთეზა შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: მაჟორიტარული სისტემა და მმართველობის სისტემა ძლიერი პრეზიდენტით, ხელს უწყობს პარტიების რაოდენობის შემცირებას. მეორეს მხრივ, საპარლამენტო სისტემა და პროპორციული არჩევნები ხელს უწყობს მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას. დაგეგმილ კვლევაში უნდა გამოჩნდეს, რომ პოლიტიკურ სისტემებში, სადაც მაჟორიტარული და საპრეზიდენტო ტენდენციები უფრო მეტადაა წარმოდგენილი პარტიების რაოდენობა საშუალოდ უფრო ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც პროპორციული საარჩევნო სისტემა და საპარლამენტო მმართველობა გამოიყენება.

ჩვენი ჰიპოთეზა, მართალია, შთაგონებულია დუვერჟეს მიგნებებით, მაგრამ რამდენიმე ძირითადი ასპექტით მისგან განსხვავდება კიდევ. პირველი, დუვერჟე თვლიდა, რომ უბრალო უმრავლესობის ერთმანდატიანი საარჩევნო სისტემა ორპარტიულ ტენდენციებს ამჟღავნებს; ჩვენი მოსაზრების თანახმად კი, ზოგადად მაჟორიტარული სისტემა, როგორც უბრალო ასევე კვალიფიციური უმრავლესობისა, პარტიების რაოდენობას ამცირებს. სხვა სიტყვებით, ერთის მხრივ, ჩვენი მტკიცება ნაკლებ კატეგორიულია და გათვლას არა ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბებაზე, არამედ პარტიების რაოდენობის შემცირებაზე აკეთებს, მეორეს მხრივ, დუვერჟესგან განსხვავებით, კვალიფიციური უმრავლესობის ერთმანდატიან სისტემაშიც ხედავს პარტიების რაოდენობის შემცირების ტენდენციებს, თუმცა, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, შედარებით ნაკლები

ინტენსივობით. ასევე, ვითვალისწინებთ ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის თავისებურებებს, რაც დუვერჟესთან არ გვხვდება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მრავალპარტიული და ორპარტიული დემოკრატიული კულტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან და თუკი საარჩევნო სისტემასა და ქვეყნის კონსტიტუციურ მოწყობას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ერთი ან მეორე ტიპის სისტემის ჩამოყალიბებაზე, ცხადი ხდება, თუ რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ამ კვლევის შედეგები. ჰიპოთეზაში წარმოდგენილი ურთიერთმიმართების დადასტურების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება სასურველი ტიპის დემოკრატიული მმართველობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა კონკრეტული ინსტიტუტების, ამ შემთხვევაში, საარჩევნო სისტემისა და მმართველობის ფორმის, საშუალებით.

აქედან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია ერთმანეთს შევადაროთ, როგორც ორპარტიული და მრავალპარტიული სისტემები, ასევე, მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების თავისებურებები. ეს საკითხები ცენტრალური მნიშვნელობისაა დემოკრატიისთვის, ვინაიდან ეხება ისეთ ძირითად თემას, როგორცაა ხალხის მმართველობის პრაქტიკული განხორციელება. მმართველობა ზოგადად შეიძლება გაიზომოს მთავრობის უნარით მიიღოს და ცხოვრებაში გაატაროს მიღებული გადაწყვეტილებები. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ტიპის მმართველობა იქნება ის დემოკრატიული თუ არა, იზომება მისი ეფექტიანობით. დემოკრატიული მმართველობა, რომელიც უუნაროა არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ხალხის ნება-სურვილის გამომხატველი -- თუკი ხელისუფლებას არ შესწევს ძალა დაგეგმოს და განახორციელოს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარება, ის თავის ყველაზე ძირითად ფუნქციას ვერ ასრულებს.

აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი კრიტერიუმი, რითაც ნებისმიერი მმართველობა უნდა შეფასდეს, მისი ქმედუნარიანობაა. ამ მხრივ, მრავალპარტიული სისტემა უფრო ნაკლებ ეფექტიანად გამოიყურება. მრავალპარტიული სისტემის დროს მთავრობა, ძირითადად, კოალიციური ხასიათისაა და აქედან გამომდინარე, უფრო ნაკლებად მოქნილი და ქმედუნარიანია. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც იგი ღებულობს უნდა შეთანხმდეს კოალიციის სხვადასხვა წევრებთან და ეს ამ პროცესს გაცილებით უფრო ხანგრძლივსა და კომპლექსურს ხდის. კოალიციის სიდიდესა და სიჭრელესთან ერთად ეს პროცესი კიდევ უფრო რთულდება. ორპარტიული სისტემის დროს ხელისუფლებას ერთი პოლიტიკური ძალა აკონტროლებს და აქედან გამომდინარე, მეტ თავისუფლებას ფლობს გაატაროს საკუთარი კურსი. შესაბამისად, ორპარტიული სისტემის დროს უფრო ადვილია მტკივნეული, მაგრამ საჭირო რეფორმების გატარებაც. მართალია, ორპარტიული სისტემის ვესტმინსტერულ ვარიანტში, როდესაც უბრალო უმრავლესობის ერთმანდატიანი საარჩევნო სისტემა საპარლამენტო მმართველობის ფორმასთან ერთადაა წარმოდგენილი, პარტიული დისციპლინა არჩეული წარმომადგენლისთვის ზოგჯერ მეორე პლანზე იწევს საკუთარი ოლქის ამომრჩევლის ინტერესებთან შედარებით (Waltz, 1979), მაგრამ ასეთ დროს შექმნილი ერთპარტიული მთავრობა მაინც უფრო თავისუფალია გადაწყვეტილებების მიღების დროს, ვიდრე მრავალპარტიული კოალიციური მთავრობა.

კონკრეტულად დემოკრატიული მმართველობისთვის მნიშვნელოვანია, რომ არჩეული მთავრობა სრულფასოვნად გამოხატავდეს ხალხის ინტერესებს. ამ მიმართებით, ნათელია მრავალპარტიული სისტემის უპირატესობა. ასეთი სისტემა საშუალებას აძლევს უმცირესობებს ქმედითი მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებაში. ორპარტიული სისტემა, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, ზღუდავს ამ არჩევანს და საზოგადოებას მხოლოდ ორ ალტერნატივას თავაზობს, რაც

კონკრეტული ინტერესთა ჯგუფების ორ პარტიაში ინკორპორაციას გულისხმობს და ხელს უშლის მათი მოსაზრებების სრულფასოვან არტიკულაციას. ეს განსაკუთრებით პრობლემატური შეიძლება იყოს ეთნოლინგვისტურად და რელიგიურად მრავალფეროვან სახელმწიფოში, სადაც ჩნდება მნიშვნელოვანი რისკი, რომ უმცირესობა, ვერ მოახერხებს რა სრულფასოვან და თანასწორ ჩართვას პოლიტიკურ პროცესში, გადაწყვეტს საკუთარი ინტერესები სხვა მეთოდებით დაიცვას (Stepan, Linz, & Yadav, 2010). სხვა სიტყვებით, მოსალოდნელია, რომ ორპარტიულმა სისტემამ ასეთ სიტუაციაში მნიშვნელოვანი ჯგუფების ძირითადი პოლიტიკური პროცესებიდან გამოთიშვა და შემდეგ უკვე გაუცხოება გამოიწვიოს, რაც საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს ლეგიტიმაციას მიაყენებს ზიანს. ამგვარი მრავალფეროვნების არ არსებობის შემთხვევაშიც, ორპარტიულმა სისტემამ შეიძლება საზოგადოების პოლარიზაციასაც შეუწყოს ხელი, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს მმართველობის ხარისხზე. ასე მაგალითად, უკიდურესი პოლარიზაციის შემთხვევაში ახალმა ხელისუფლებამ შესაძლოა დიამეტრალურად შეცვალოს წინა მთავრობის კურსი, შემდეგ არჩევნებში დამარცხების შემდეგ კი, ეს კურსი შესაძლოა ისევ შეიცვალოს. ამ შემთხვევაში, ქვეყნის სტაბილური განვითარება რისკის ქვეშ დადგება. ამ მიმართებით, გაცილებით უფრო მეტი სტაბილურობაა მოსალოდნელი მრავალპარტიული სისტემის დროს. საზოგადოების პოლარიზაციის შანსები უმნიშვნელოა, ვინაიდან ყველა პოლიტიკურ ძალას პრაქტიკულად ყოველთვის სჭირდება პოლიტიკური პარტნიორები და შესაბამისად, სისტემა კონსენსუსისკენ არის მიდრეკილი. ასეთ გარემოში, როგორც უკვე აღინიშნა, მკვეთრი რეფორმების გატარება ძნელია, მაგრამ პოლიტიკის დიამეტრალური ცვლილებებიც ნაკლებ მოსალოდნელია და მეტი შანსია, ქვეყნის პოლიტიკური კურსი თანმიმდევრული იყოს გრძელვადიან ასპექტში (Schmitter & Karl, 1991).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი დემოკრატიული მმართველობისა მთავრობის ანგარიშვალდებულებაა ხალხის წინაშე. ამ ფუნქციას ორპარტიული სისტემა უკეთ ასრულებს, ვინაიდან ერთპარტიული მმართველობის დროს, ცხადია ვინ უნდა დაჯილდოვდეს სწორი პოლიტიკის გატარებისთვის და ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი დაშვებული შეცდომებისთვის. მრავალპარტიული სისტემის დროს კი, კოალიციაში შემავალ პარტიებს საშუალება აქვთ წარუმატებლობა საკუთარ პარტნიორებს გადააბრალონ, წარმატება კი თავად მიითვისონ. ამავდროულად, კოალიცია არჩევნებიდან არჩევნებამდე, ხშირად კი არჩევნებს შორის პერიოდშიც კი, იცვლება; ეს კიდევ უფრო ართულებს ამომრჩევლისთვის ანგარიშვალდებულის სუბიექტის იდენტიფიკაციას. საბოლოო ჯამში, იდენტიფიკაციის პრობლემა ამომრჩეველში უნდობლობას ქმნის პოლიტიკური პროცესის მიმართ და აზიანებს დემოკრატიულ მმართველობას. სხვა სიტყვებით, თუკი ამომრჩეველი ვერ ახერხებს შეუსრულებელი საარჩევნო დაპირების გამო დასაჯოს საკუთარი წარმომადგენელი, იგი კარგავს პოლიტიკური პროცესის მიმართ ინტერესს და უფრო ნაკლებად არის ჩართული ქვეყნის მართვის პროცესში. შედეგად ვლდებულობთ, ამომრჩევლის აქტივობის შემცირებას და მთავრობებს, რომლებიც თანდათანობით უფრო და უფრო ნაკლებ მოქალაქეს წარმოადგენენ და შესაბამისად, მმართველობას რომლის ლეგიტიმაცია შეზღუდულია.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, კიდევ ერთი განსხვავებული პოლიტიკური შედეგი, რომელიც ორპარტიულმა და მრავალპარტიულმა სისტემამ შეიძლება მოიტანოს. ამ შემთხვევაში დავესესხებით რობერტ პუტნამის (1995) კონცეფციას სამოქალაქო საზოგადოების შესახებ, სადაც იგი ორი ტიპის გაერთიანებებს გამოყოფს. ის ამ გაერთიანებებს დამაკავშირებელ (bridging) და მაკონსოლიდირებელ (bonding) სახეობებად ყოფს. პირველი ტიპის გაერთიანება ერთმანეთთან აკავშირებს

საზოგადოების სხვადასხვა ფენისა თუ კლასის, რელიგიის, კულტურისა და ეთნიკური-ენობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს კონკრეტული საკითხის გარშემო. მეორე ტიპის გაერთიანება კი ერთი ფენის, კლასისა თუ კულტურული ჯგუფის ადამიანებს აერთიანებს მრავალი საკითხის გარშემო. მისი აზრით პირველი ხელს უწყობს ლიბერალური დემოკრატიის ხელშემწყობი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, მეორე კი შესაძლოა საზოგადოებრივი სტრატეგიკაციისა და ურთიერთდაპირისპირების შემქმნელად მოგვევლინოს. ამ მოდელის პოლიტიკურ საზოგადოებაზე გადატანით, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ორპარტიული სისტემა დამაკავშირებელ, ხოლო მრავალპარტიული კი მაკონსოლიდირებელ ფუნქციას შეასრულებს აქედან გამომდინარე შედეგებით.

საარჩევნო სისტემები არამარტო იწვევენ პოლიტიკურ შედეგებს, რომლებზეც ვისაუბრეთ, არამედ თავადაც გამოხატავენ კონკრეტულ დემოკრატიულ იდეალებს. პროპორციული საარჩევნო სისტემა მიზნად ისახავს საშუალება მისცეს ანგარიშგასაწევ უმცირესობას მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში. ეს სისტემა, ასევე, უზრუნველყოფს საზოგადოებაში კომპრომისისა და კონსენსუსის კულტურის ჩამოყალიბებას, და კერძო, პარტიკულარისტული ინტერესების უკანა პლანზე გადანაცვლებას. მაჟორიტარული სისტემა, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ამომრჩეველსა და არჩეულ წარმომადგენელს შორის კონკრეტულ ანგარიშვალდებულების ურთიერთობის ჩამოყალიბებას, რაც ამომრჩეველს საშუალებას აძლევს უფრო მეტად გააკონტროლოს საკუთარი წარმომადგენლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და შესაბამისად, უფრო ქმედითად იყოს ჩართული სახელმწიფოს მართვის პროცესში, რაც თავისთავად დემოკრატიულობის ხარისხს ზრდის. მეორეს მხრივ, მაჟორიტარულ წარმომადგენლობას თან ახლავს კერძო, კლიენტელისტური

ინტერესების წინ წამოწევის რისკი, რომლის დროსაც საერთო ეროვნული ინტერესები ხშირად ვიწრო, ლოკალურ მიზნებს შეიძლება შეეწიროს.

იგივე ჭრილში შეგვიძლია განვიხილოთ საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობის სისტემები. ამ სისტემების კლასიფიკაციისთვის ყველაზე ოპტიმალურად შუგარტისა და ქერის (Shugart & Carey, 2004) მიერ შემოშავებული კატეგორიები მიგვაჩნია, რომელზედაც უფრო დაწვრილებით შემდგომ ვისაუბრებთ. აქ კი უბრალოდ შევადარებთ იმ ეფექტებს, რომელიც ამ ტიპის მმართველობებს გააჩნიათ პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებასა და დემოკრატიული სისტემის განმტკიცებაზე. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია განვსაზღვროთ თუ რა განასხვავებს ერთმანეთისგან საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობის ფორმას. საპრეზიდენტო მმართველობის დროს, პრეზიდენტი არის, როგორც სახელმწიფოს ასევე მთავრობის მეთაური, იგი აირჩევა პირდაპირი წესით, და მისი ვადამდე გადარჩევა შეუძლებელია. პრეზიდენტი, როგორც წესი, თავად არჩევს მთავრობის შემადგენლობას, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს საკანონმდებლო ორგანოს. ასევე, პრეზიდენტს, აქვს გარკვეული გავლენა კანონშემოქმედებით პროცესზე, მათ შორის, საკანონმდებლო ინიციატივებისა თუ ვეტოს სახით. საპარლამენტო მმართველობის შემთხვევაში კი, სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის მეთაურის როლები გამიჯნულია; სახელმწიფოს მეთაურს წარმოადგენს კონსტიტუციური მონარქი ან პრეზიდენტი, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს მიერ ირჩევა, ხოლო მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი, რომელიც ასევე პარლამენტი ირჩევს. ამ შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრი წარადგენს მთავრობას, რომელსაც პარლამენტი ამტკიცებს, მაგრამ როგორც მთავრობის ასევე პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების ვადები შეიძლება შეწყდეს დაგეგმილ არჩევნებამდე ადრეც, თუ საკანონმდებლო ორგანოში პრემიერ-მინისტრის მხარდამჭერი ძალა

დაკარგავს საჭირო უმრავლესობას. სხვა სიტყვებით, საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობის ძირითადი განმასხვავებელია, მთავრობის მეთაურის უფლებამოსილების ვადები, მათი არჩევის წესი და აქედან გამომდინარე, მათი მიმართება მოცემული ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოსთან.

საპრეზიდენტო მმართველობის დადებით მხარეებად აღიქმება სწორედ ის ნიშან-თვისებები, რაც მაჟორიტარიზმთან არის მეტ-ნაკლებად დაკავშირებული. პირველი, ეს არის დემოკრატიული ანგარიშვალდებულების პირდაპირი განხორციელება. საპრეზიდენტო მმართველობის დროს, ხალხის არჩევანი და აქედან გამომდინარე, პოლიტიკური დაკვეთა პირდაპირ გარდაისახება მთავრობაში, ვინაიდან გამარჯვებულ კანდიდატს სრული თავისუფლება აქვს შეასრულოს მის მიერ წარმოდგენილი პოლიტიკური პროგრამა, მას არ უწევს მთავრობის სხვა წევრებთან თავისი ხედვის შეთანხმება. საქმე იმაშია, რომ სწორედ პრეზიდენტი, ერთპიროვნულად და სრული პასუხისმგებლობის გათავისებით ნიშნავს საკუთარი მთავრობის წევრებს. აქედან გამომდინარე, მას არ აქვს შესაძლებლობა უარი თქვას საარჩევნო დაპირებებზე, კოალიციური, კომპრომისული პოლიტიკის ან კონიუნქტურის მომიზეზებით; იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პრეზიდენტი აირჩევს ოპოზიციასთან მოლაპარაკებისა და კონსენსუსის მიღწევის გზით საკუთარი პროგრამის ცხოვრებაში გატარებას, იგი ვერ შეძლებს ოპოზიციის უკომპრომისო პოზიციას დააბრალოს საკუთარ პროგრამაზე უარის თქმა. ეს იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ოპოზიციის ჩართულობა მისი თავისუფალი არჩევანი იყო და მას შეეძლო ოპოზიციისგან დამოუკიდებლად გაეტარებინა მოცემული პოლიტიკა. ცალკე განხილვას საჭიროებს შემთხვევა, როდესაც პრეზიდენტის მხარდამჭერი ძალა საკანონმდებლო ორგანოში უმცირესობას წარმოადგენს. ამ შემთხვევაშიც, პრეზიდენტს შეუძლია ცხადად აჩვენოს საკუთარ ამომრჩეველს, რომ ის ცდილობს აღებული პირობის შესრულებას,

მაგრამ ამაში ხელს საკანონმდებლო ორგანო უშლის, რომელიც ამავე ხალხის მიერაა არჩეული. ასე რომ ამ შემთხვევაში პრეზიდენტს შეუძლია მოითხოვოს საკუთარი ამომრჩევლისგან, მხარი დაუჭიროს პრეზიდენტის პარტიასაც, რათა უზრუნველყოფილ იქნას საკანონმდებლო ორგანოს საჭირო ფორმით თანამშრომლობა. სხვა სიტყვებით, ამ გარემოებების გათვალისწინებით, ამომრჩეველს შეუძლია გათვითცნობიერებული არჩევანი გააკეთოს და პრეზიდენტის პოლიტიკის წარმატება-წარუმატებლობა დიდი სიზუსტით შეაფასოს, როგორც თავად პრეზიდენტის ქმედებების ან როგორც საკანონმდებლო ორგანოს ოპოზიციური განწყობების შედეგი. ყველა შემთხვევაში, პრეზიდენტის ანგარიშვალდებულება შეასრულოს საარჩევნო დაკვეთა და დაპირება ექვს არ იწვევს და არ უტოვებს აღმასრულებელ ხელისუფლებას ქმედით საშუალებას უარი თქვას ამ პოლიტიკის გატარებაზე სხვა ლეგიტიმური მიზეზით, გარდა საკანონმდებლო ორგანოს წინააღმდეგობისა. აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა საპარლამენტო რესპუბლიკის შემთხვევაში. აქ მმართველი გუნდი, ხშირად, კოალიციური პრინციპებიდან გამომდინარე იქმნება და ამიტომ შეუძლებელია ასეთი ტიპის მთავრობამ შეუცვლელად გაატაროს არჩევნებისას გაჟღერებული პოლიტიკა. საქმე იმაშია, რომ კოალიციის წევრებმა მანდატები განსხვავებული საარჩევნო პროგრამების მხარდაჭერის შედეგად მიიღეს, მაგრამ ვინაიდან ვერცერთმა მათგანმა ვერ მოახერხა კვალიფიციური უმრავლესობის მოპოვება, მათ არ შეუძლიათ თავიანთი დანაპირების უკომპრომისო შესრულება, რადგან ასეთ პოლიტიკას განსხვავებული პოლიტიკური დაკვეთით არჩეული კოალიციის სხვა წევრები მხარს ვერ დაუჭერენ. ასეთ შემთხვევაში ეს უკანასკნელნი დაკარგავენ საკუთარი ამომრჩევლის ნდობას და შემდეგ არჩევნებზე მათი შანსები გაცილებით დაბალი იქნება. შესაბამისად, კოალიციური მთავრობის პოლიტიკა თავისთავად განსხვავდება იმ საარჩევნო პროგრამებისგან, რომელიც ამ კოალიციის თითოეულმა წევრმა

შესთავაზა ამომრჩეველს. შედეგად ვლემულობთ მთავრობას, რომლის ანგარიშვალდებულება მომრჩევლის წინაშე ავტომატურად დაბალია და ამომრჩეველი ვერ ახერხებს მისი რჩეული პარტიის პასუხისმგებლობის საკითხის დამაჯერებლობით დაყენებას. სახეზე გვაქვს შემთხვევა, როდესაც კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ სუბიექტებს ლეგიტიმური მიზეზებით შეუძლიათ ახსნან დაპირებული პოლიტიკიდან გადახვევა. ამ გზით, ამომრჩევლის ნება-სურვილსა და გატარებულ პოლიტიკას შორის დისონანსი საპარლამენტო მმართველობის განმსაზღვრელი ნიშან-თვისება ხდება და ართულებს ამომრჩევლის ნების ტრანსფორმაციას კონკრეტულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში.

ამ გარემოებასთანაა დაკავშირებული, საპრეზიდენტო მმართველობის მეორე უპირატესობაც -- პასუხისმგებელი მთავრობის იდენტიფიკაცია. მმართველობის, ერთი პარტიის წარმომადგენლის -- პრეზიდენტის -- ხელში თავმოყრა შესაძლებელს ხდის ამომრჩევლის მხრიდან წარმატებული თუ წარუმატებელი პოლიტიკის იდენტიფიკაციას და შემდეგ არჩევნებზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დადებითი მხარე ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსია. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მკვეთრი დაშორიშორება, როდესაც პრეზიდენტი პირდაპირ ხალხის მიერ არის არჩეული, უზრუნველყოფს ამ ორ შტოს შორის კონკურენციას და ხელს უშლის ძალაუფლების კონცენტრაციას რომელიმეს სასარგებლოდ. მსგავსი რამ ნაკლებად შეინიშნება საპარლამენტო მმართველობისას, როდესაც მთავრობის მეთაური პარლამენტის მიერ აირჩევა და აქედან გამომდინარე ის საკანონმდებლო ორგანოს უფრო მეტ გავლენას განიცდის.

საპრეზიდენტო მმართველობის უარყოფით მხარეებს შორის გამოყოფენ მაჟორიტარული ტენდენციის გაძლიერებას, მოუქნელობას, ორმაგ ლეგიტიმაციას, და მიდრეკილებას ავტორიტარიზმისკენ.

მაჟორიტარულ ტენდენციას, აქედან გამომდინარე შედეგებით აღარ შევეხებით, ვინაიდან ამ უკანასკნელის დადებითი და უარყოფითი მხარეები უკვე განვიხილეთ. დანარჩენ კრიტერიუმებს რაც შეეხება, საპრეზიდენტო სისტემას თავისი ხასიათიდან გამომდინარე გარკვეული მოუქნელობა ახასიათებს, ვინაიდან შეუძლებელია პრეზიდენტის ვადამდე გადარჩევა, მიუხედავად იმისა, რომ მან ამომრჩევლის იმედები ვერ გაამართლა და მისი რეიტინგი დაეცა. ასეთი მექანიზმი საპრეზიდენტო სისტემაში არ არსებობს და ასეთად ვერ ჩაითვლება იმპიჩმენტის პროცედურა, რომლის გამოყენება მხოლოდ პრეზიდენტის მხრიდან სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში შეიძლება. ის, რომ ამომრჩეველი პრეზიდენტის მიერ გატარებული პოლიტიკით უკმაყოფილოა, იმპიჩმენტის პროცესის დაწყების შესაძლებლობას არ იძლევა. საპარლამენტო მმართველობის შემთხვევაში კი პრემიერ-მინისტრის გადაყენება საკანონმდებლო ორგანოს პრაქტიკულად ნებისმიერ დროს შეუძლია, ყოველგვარი იმპიჩმენტის გარეშე და სწორედაც, რომ პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე.

დამატებით პრობლემას ქმნის პრეზიდენტისა და საკანონმდებლო ორგანოს დამოუკიდებელი მანდატი -- ე.წ. ორმაგი ლეგიტიმურობა (Linz & Valenzuela, 1994). საპრეზიდენტო სისტემაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისულების არჩევნები სამართლებრივად ორი დამოუკიდებელი პროცესია და დაპირისპირების შემთხვევაში ორივე მხარეს შეუძლია ხალხის ნებაზე აპელირება. ეს განსაკუთრებით პრობლემური ხდება მაშინ, როცა პრეზიდენტის პარტია საკანონმდებლო ორგანოში ოპოზიციას წარმოადგენს. ასეთ დროს შესაძლოა გართულდეს გადაწყვეტილებების მიღება და ცხოვრებაში გატარება, რაც პოლიტიკური ჩიხის სიტუაციას ქმნის და დემოკრატიული პროცესის მიმართ ნდობას აზიანებს.

საპრეზიდენტო მმართველობის ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტიკა, რა თქმა უნდა, მისი ავტორიტარული ტენდენციებია; აღმასრულებელი ძალაუფლების ერთი პირის ხელში თავმოყრა ამ მიმართებით პოტენციურად მნიშვნელოვან რისკებს ქმნის. ამ არგუმენტს, ერთი შეხედვით, ამყარებს ემპირიული მონაცემებიც -- იშვიათია დიქტატურა, რომელსაც სათავეში პრემიერ-მინისტრი უდგას; დიქტატორებად ყველაზე მეტად სამხედროები ან პრეზიდენტები გვევლინებიან. მეორეს მხრივ, ამ მონაცემებს გარკვეული სიფრთხილით უნდა მოვუკიდოთ -- ის, რომ ავტორიტარი ლიდერები, რომლებიც სამოქალაქო პირებს წარმოადგენენ უპირატესობას პრეზიდენტის რეგალიებს და საპრეზიდენტო სისტემას ანიჭებენ, არ ნიშნავს იმას, რომ ავტორიტარიზმის ჩამოყალიბებას დემოკრატიულმა საპრეზიდენტო სისტემამ შეუწყო ხელი. ასე მაგალითად, სამხედრო დიქტატურის სამოქალაქო არადემოკრატიული რეჟიმით ცვლილებისას ახალი მმართველი უპირატესობას საპრეზიდენტო მმართველობას ანიჭებს, მაგრამ ასეთ მმართველობას არაფერი აქვს საერთო დემოკრატიულ საპრეზიდენტო სისტემასთან. უფრო პრობლემატურია, ის შემთხვევები, როდესაც პრეზიდენტი დემოკრატიულ სისტემას ავტორიტარულად გარდაქმნის. ეს ძირითადად, ტრანზიციის ეტაპზე ხდება, როცა დემოკრატიული კულტურა კონსოლიდირებული არ არის. ამ დროსაც, განსაკუთრებით პრობლემატურია ე.წ. საპრეზიდენტო-საპარლამენტო სისტემა, სადაც პრეზიდენტს პარლამენტის დაშლა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნა შეუძლია. ასეთი სისტემა კი მკვეთრად განსხვავდება ტრადიციული საპრეზიდენტო სისტემისგან, როგორც, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებშია, სადაც პრეზიდენტს კონგრესისა და სენატის უფლებამოსილების ვადებზე არანაირი გავლენა არა აქვს. თუმცა, საპარლამენტო სისტემა, დემოკრატიული ტრანზიციის ეტაპზე, შესაძლოა, მართლაც უფრო უსაფრთხო რეჟიმად ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრის ავტორიტარული ტენდენციები

შესაძლებელია გამოვლენისთანავე აღიკვეთოს პარლამენტის მიერ უკვე მომავალ არჩევნებამდე, რაც შეუძლებელია საპრეზიდენტო მმართველობის დროს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტს გაცილებით მეტი დრო აქვს შემდეგ არჩევნებამდე მოახდინოს ძალაუფლების თანმიმდევრული კონსოლიდაცია და შემდეგ კი უზურპაციაც. ემპირიული მონაცემებიც გვიჩვენებს, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და აღმოსავლეთ ევროპაში ლიბერალურ დემოკრატებად მხოლოდ ის ქვეყნები ჩამოყალიბდნენ, რომლებმაც დემოკრატიული განვითარების საპარლამენტო გზა აირჩიეს. ბუნებრივია, ეს ფაქტები, გვაიძულებს, ვიფიქროთ, რომ კონკრეტულ კონტექსტში, მართლაც შესაძლებელია საპრეზიდენტო მმართველობა ნეგატიურად იყოს დაკავშირებული დემოკრატიზაციის პროცესთან. ამ საკითხს დასკვნით ნაწილში განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ.

აქვე გვსურს, ჩვენი კვლევის ძირითადი საკითხის კიდევ ერთ ასპექტს დავუთმოთ დრო. ჩვენი მოდელი ითვალისწინებს და მოელის საარჩევნო სისტემისა და აღმასრულებელი ხელისუფლების კონსტიტუციური მოწყობის წესის ზეგავლენას მოცემულ ქვეყანაში პარტიების რაოდენობაზე კონკრეტულად და პოლიტიკურ კულტურაზე ზოგადად. ამავდროულად, საფიქრებელია, რომ ეს ინსტიტუციები გავლენას ახდენენ არამარტო უშუალოდ პარტიების რაოდენობაზე, და აქედან გამომდინარე, მათი ინტერაქციის ხასიათზე, არამედ საკუთრივ პარტიების ნიშან-თვისებებზე. სხვა სიტყვებით, არსებობს ყველანაირი საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ეს ინსტიტუციები მეტნაკლებად განსაზღვრავენ როგორი ტიპის პარტიები ყალიბდება სახელმწიფოში და რა ფუნქციებს ანიჭებენ ისინი უპირატესობას ამომრჩეველთან ურთიერთქმედებისას. შესავალში, მოკლედ მიმოვიხილეთ ის ძირითადი ჩარჩო, რომელიც პარტიების ტიპოლოგიას, კლასიფიკაციას და მათი

განვითარების მოდელებს მოიცავდა. ჩვენი ამოცანიდან გამომდინარე, ამ საკითხებს, ახლა უფრო დეტალურად შევხებით.

უკვე აღვნიშნეთ, რომ პარტიების კლასიფიკაციისთვის დაიმონდისა და გუნთერის კატეგორიებს გამოვიყენებთ (2001). ავტორები პარტიებს 7 ძირითადი ფუნქციის მიხედვით ახასიათებენ და მათ 4 ძირითად ჯგუფად ყოფენ აქედან გამომდინარე შედეგებით. ფუნქციების ეს ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება: კანდიდატთა შერჩევის წესები, საარჩევნო მობილიზაცია, ინტერესების აგრეგაცია, წარმომადგენლობა, დღის წესრიგის ფორმირება, მართვის უნარი, და სოციალური ინტეგრაცია. ზოგი პარტია თითოეულ ამ ფუნქციას მეტნაკლებად თანაბრად ასრულებს, უმეტესობა კი, განსაკუთრებით თანამედროვე კონტექსტის გათვალისწინებით, მკვეთრ პრიორიტეტიზაციას აკეთებს. განსხვავებული მიდგომების მიუხედავად, შეინიშნება ზოგადი ტენდენციებიც; გაიზარდა იმ პარტიების რიცხვი, რომლებიც აქტიურდებიან საარჩევნო პერიოდში და სხვა დროს საკუთარი რესურსების დაზოგვას ახდენენ. ამავე მოვლენასთანაა დაკავშირებული ისეთი პარტიების მომრავლება, რომლებიც აქცენტს არა წევრების რაოდენობაზე, არამედ მხარდამჭერების კულტივაციაზე აკეთებენ. შემცირდა პროგრამაზე ორიენტირებული პარტიების რიცხვი და შესაბამისად, გაიზარდა ისეთი ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც საზოგადოების კონკრეტულ მოთხოვნებზე რეაგირებენ. სხვა სიტყვებით, პარტიები ნაკლებ დროს უთმობენ დღის წესრიგის ჩამოყალიბებას და მეტ დროს უთმობენ საზოგადოების მთლიანად ან მისი სხვადასხვა სეგმენტის დაკვეთის გათავისებას. ეს ევოლუციური ცვლილებები გამოწვეულია იმ ძვრებით, რომელიც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებულმა ტექნოლოგიურმა რევოლუციამ გამოიწვია. მასმედიის ჩამოყალიბებამ, სოციოლოგიური გამოკითხვების გაადვილებამ და გავრცელებამ, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ორგანიზაციების რიცხვისა და გავლენის ზრდამ

მნიშვნელოვნად შეცვალა ის პოლიტიკური სივრცე, რომელშიც პარტიებს უწევთ არსებობა. ინფორმაციის ცოცხალ რეჟიმში მიწოდების ახალმა შესაძლებლობებმა, ინფორმაციული დაფარვის ზონის დრამატულ ზრდასთან ერთად, საშუალება მისცა პარტიათა ლიდერებს საკუთარ ამომრჩეველთან უშუალო კომუნიკაციის დამყარებისა პარტიის შუა და დაბალი რგოლის გამოყენების გარეშე; წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც პარტიის ლიდერების პოლიტიკურ გზავნილებს მოსახლეობას პარტიის ადგილობრივი წევრები აცნობდნენ. აქედან გამომდინარე, უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდა მასობრივ წევრობაზე დაფუძნებული პარტიების არსებობა. მასმედია და სამოქალაქო საზოგადოებრივმა ჯგუფებმა ფაქტობრივად ჩაანაცვლეს პარტია, როგორც პოლიტიკური დღის წესრიგის შემქმნელი და დღეს იშვიათია პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს მნიშვნელოვანი ძალისხმევის დახარჯვას რათა საკუთარ ამომრჩეველს პრიორიტეტები შეაცვლევინოს. ეს განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც სოციოლოგიური გამოკითხვები პარტიებს საშუალებას აძლევთ დიდი სიზუსტით განსაზღვრონ ის თემები, რომელიც მათი ამომრჩეველისთვის მნიშვნელოვანია.

განხილული მოდელი პარტიებს 4 ძირითად ჯგუფად ყოფს და ეს დაყოფა წარმოდგენას გვაძლევს იმ განსხვავებულ სტრატეგიებზე, რომლითაც ეს პარტიები მათი მთავარი დანიშნულების -- ხალხის ნება-სურვილის პოლიტიკური განხორციელებისას -- ხელმძღვანელობენ. ყველაზე ძველი ტიპის პარტია ელიტარულ-კლიენტელისტური პარტიაა, რომელიც მცირე ზომისაა და ამომრჩეველის მობილიზაციას კონკრეტული, კერძო სარგებლის შეთავაზებით ახერხებს. მე-19 საუკუნეში, როცა ამომრჩეველთა ხვედრითი წილი ქვეყნის მოსახლეობაში მცირე იყო ამ ტიპის პარტია კონკურენტული გახლდათ. თანამედროვე ეპოქაში ასეთი პარტიები ძირითადად გვხვდებიან ისეთ ქვეყნებში სადაც მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა და ელიტას შესწევს ძალა მათი ხმების

მოსაპოვებლად კერძო სარგებლის შეთავაზებას მიმართოს. ინდუსტრიული რევოლუციისა და ურბანიზაციის ტემპების დაჩქარების შემდეგ ჩნდებიან მასობრივი პარტიები, რომლებიც საკუთარი პროგრამული იდეების გარშემო მთელი სოციალური ფენის ან კლასის მობილიზაციას ახდენენ; სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული, კონსერვატიული, ნაციონალისტური პარტიები სწორედ ასეთ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყება დღეს ყველაზე გავრცელებული ტიპის -- ელექტორალური პარტიების -- მომრავლება. ასეთი ტიპის ორგანიზაცია იდეოლოგიურ და პროგრამულ მხარეს შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევს, პარტიის წევრების რაოდენობა მისთვის გადამწყვეტი არ არის და მის სტრატეგიაში საარჩევნო აქტივობა ცენტრალურ ადგილს იკავებს. ყველაზე ბოლოს კი პოლიტიკურ სცენაზე ე.წ. პოლიტიკური მოძრაობა ჩნდება, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური საზოგადოების ზღვარზეა პოზიციონირებული და დღის წესრიგი კონკრეტული თემით აქვს შემოსაზღვრული. ასეთი პარტიების რიცხვს განეკუთვნებიან მწვანეთა მოძრაობები, ანტი-იმიგრაციული ჯგუფები, ნეონაციისტური გაერთიანებები და სხვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მაჟორიტარული არჩევნები და ორპარტიული სისტემა უფრო ხელსაყრელია ელექტორალური და კლიენტელისტური პარტიებისთვის; ერთის მხრივ, მაჟორიტარული სისტემა ხელს უწყობს ამომრჩეველსა და მის დეპუტატს შორის ურთიერთსარგებელზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, სადაც დეპუტატი საკუთარ ამომრჩეველს მხარდაჭერის სანაცვლოდ კონკრეტულ, კერძო სარგებელს პირდება. ამომრჩეველსა და მის წარმომადგენელს შორის ურთიერთმიმართების სწორედ ეს მოდელი გახლავთ ელიტისტური/კლიენტელისტური პარტიის ტიპის მთავარი განმსაზღვრელი ნიშან-თვისება. ამგვარი ტიპის დამოკიდებულების წარმოქმნა განსაკუთრებით მოსალოდნელია, როცა საარჩევნო ოლქები

მცირე ზომისაა და მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლები მცირეა. მეორეს მხრივ, თუკი სახეზეა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა ნებისმიერ მაჟორიტარულ კანდიდატს გაუჭირდება ამომრჩეველს კონკრეტული, კერძო სარგებელი შესთავაზოს -- ამგვარი ფინანსური შესაძლებლობები მაღალშემოსავლიან საზოგადოებაში არ არსებობს. სხვა სიტყვებით, ამომრჩეველსა და მაჟორიტარობის კანდიდატს შორის ფინანსური და ეკონომიკური სხვაობა იმდენად მცირეა, რომ მას არ შესწევს ძალა ასეთი ტიპის სარგებელი შესთავაზოს თითოეულ ამომრჩეველს. ამ შემთხვევაში, აქცენტი საზოგადო სიკეთეების შეთავაზებაზე კეთდება და ვინაიდან ელექტორალური პარტიები ყველაზე ნაკლებად არიან იდეოლოგიურად შეზღუდული და გააჩნიათ უნარი არჩევნებიდან არჩევნებამდე სახეცვლილი პროგრამით წარდგინონ საზოგადოების წინაშე, სწორედ ისინი გვევლინებიან დომინანტურ ტიპად. პროპორციული არჩევნებისას კი შედარებით მცირე რაოდენობის ხმებია საჭირო საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად, ამიტომაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქ მასობრივი წევრობის მქონე პარტიები და პოლიტიკური მოძრაობები უფრო მეტად იქნებიან წარმოდგენილი.

კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც მხედველობაში უნდა მივიღოთ ამა თუ იმ სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებისას, დემოკრატიული კონსოლიდაციისა და დემოკრატიული ტრანზიციის ეტაპზე მყოფი სახელმწიფოების წინაშე არსებული განსხვავებული ამოცანებია. დემოკრატიული ტრანზიციის დასრულება ნიშნავს, რომ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება არჩეულია ხალხის მიერ, სამართლიანი არჩევნების გზით, ხოლო დემოკრატიული კონსოლიდაციის დროს ამ პირობის გარდა სახეზეა დემოკრატიული მმართველობის ფორმისა და არსებული ძირითადი დემოკრატიული პროცედურების უალტერნატივო მხარდაჭერა ქვეყანაში არსებული ყველა ანგარიშგასაწევი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალის მხრიდან (Linz & Stepan, 1996). ვიზიარებთ

შეხედულებას, რომ ტრანზიციის დასრულება დემოკრატიზაციის დასასრული არ არის და ამ დროს ჯერ კიდევ შესაძლებელია პროცესების რეგრესი. ამ განსხვავებას მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება ჰქონდეს იმ საკითხის გადაწყვეტისას, რასაც ყველაზე ოპტიმალური დემოკრატიული მმართველობის ფორმის შერჩევა წარმოადგენს. ორპარტიული სისტემა და საპრეზიდენტო მმართველობა ძალაუფლების კონცენტრაციას უწყობს ხელს და აქედან გამომდინარე, შესაძლოა ტრანზიციის ეტაპზე მყოფი ქვეყნისთვის მეტ საფრთხეებს შეიცავდეს. ამ დროს სანამ დემოკრატიული ინსტიტუციები ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული ძალაუფლების ერთი პარტიის და/ან ერთი პიროვნების ხელში თავმოყრამ შესაძლებელია დემოკრატიული პროცესების შეჩერება, გაყინვა ან უფრო მეტიც, ავტორიტარიზმის აღდგენა გამოიწვიოს. პროპორციული სისტემა და საპარლამენტო მოდელი კი ძალაუფლების დიფუზიას იწვევს, ამიტომ სავარაუდოა, რომ ეს ფორმა ნაკლებ საფრთხეს შექმნის დემოკრატიული პროცესებისთვის. ასევე შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ კონსოლიდირებულ დემოკრატიაში, რიგ შემთხვევაში, შესაძლოა, სწორედაც, რომ საპრეზიდენტო მოდელმა და ორპარტიულმა სისტემამ უფრო ქმედითი რეჟიმი ჩამოაყალიბოს ავტორიტარიზმის რისკების გარეშე.

ეს კვლევა პირდაპირ არ ეხება კონსენსუალური და კონკურენტული დემოკრატიული კულტურების დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზს. ამის მიუხედავად, აუცილებლად ჩავთვალეთ დეტალურად განგვეხილა ეს ასპექტიც, ვინაიდან დისკუსია ოპტიმალური საარჩევნო სისტემის შესახებ თავის თავში გულისხმობს სწორედ ამ საკითხის გაანალიზებას და საზოგადოებისა თუ პოლიტიკური ელიტის არჩევანი დიდწილად სწორედ ამ საკითხის მიმართ მათი დამოკიდებულებით განისაზღვრება. ასე მაგალითად, მიუხედავად ქართულ პოლიტიკაში არსებული დომინანტური მოსაზრებისა, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა დემოკრატიულობის უფრო მაღალ ხარისხს იძლევა, წინა

დისკუსიამ აჩვენა, რომ ეს საკითხიც აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში კვლავ ინტენსიური დავის საგანს წარმოადგენს.

ლიტერატურის მიმოხილვა

მკვლევართა დიდი ჯგუფი ეთანხმება მოსაზრებას, რომ საარჩევნო სისტემასა და ქვეყნის კონსტიტუციურ მოწყობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქვეყანაში პარტიების რაოდენობაზე. ეს არ ნიშნავს, რომ ამ თემაზე აკადემიური დისკუსია დასრულდა. პოლიტოლოგთა ერთი ნაწილი თვლის, რომ პარტიათა რაოდენობას დიდწილად საზოგადოებაში უკვე არსებული გამყოფი ხაზები და პოლიტიკური კულტურა განსაზღვრავს. ამ შეხედულების მიხედვით, მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ზემოთ განხილული მოსაზრებების საპირისპირო მიმართულება გააჩნია, ანუ სწორედ პოლიტიკური კულტურა განსაზღვრავს საარჩევნო სისტემას და არა პირიქით. ზოგი მკვლევარი კი კომპრომისულ შეხედულებასაც გვთავაზობს და ამტკიცებს, რომ ეს ორი ფაქტორი ურთიერთგანმსაზღვრელია. ეს მოსაზრება, მართალია, უფრო დამაჯერებელი ჩანს, მაგრამ მისი ემპირიული გადამოწმება რთულდება, ვინაიდან ძნელია განვსაზღვროთ როდის რომელ ფაქტორს გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა და შესაბამისად, ამ თეორიული მოდელის ფალსიფიკაცია რთულდება, რაც ზიანს აყენებს ამ არგუმენტის აკადემიურ ვალიდურობას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პოლიტიკური კულტურა არ შეიძლება იყოს სტატიკური მოცემულობა და ის ინსტიტუციების ზეგავლენის ფონზე დინამიურად ვითარდება (Moore, 1996). პოლიტოლოგთა კიდევ ერთი ჯგუფი (Arrow, 1951) საერთოდ ეჭვქვეშ აყენებს ინდივიდთა ჯგუფის მიერ გაკეთებული არჩევანის რაციონალობას და გამორიცხავს რაციონალური ანალიზის შესაძლებლობას. არიუს თეორემის თანახმად ინდივიდუალური

პრეფერენციების რაციონალური გარდასახვა ჯგუფურ პრეფერენციებად, რომელიც რაციონალობის ძირითად მოთხოვნას აკმაყოფილებს შეუძლებელია. ამ მოსაზრების გაზიარება კი ექვეყნებში აყენებს პოლიტიკური ჯგუფების ქმედებების რაციონალური ანალიზის შესაძლებლობას, რაც ამ მიმართებით კვლევის ჩატარების მიზნობრიობას გამოირიცხავს. პრაქტიკული გადმოსახედიდან ეს არამართო უკიდურესად ამცირებს პოლიტიკის შესწავლის სფეროს, არამედ არსებულ რეალობასთან მნიშვნელოვან წინააღმდეგობაში მოდის და ამიტომაც, პოლიტოლოგთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ჯგუფების ქცევის შესწავლა შესაძლებელია და პრაქტიკული ღირებულებაც გააჩნია (Moser & Sheiner, 2012). აქედან გამომდინარე, ჩვენ უფრო დაწვრილებით მხოლოდ პირველ, უფრო გავრცელებულ, ალტერნატიულ მოსაზრებას განვიხილავთ, რომელიც მიიჩნევს, რომ საზოგადოებასა თუ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეაქციები განსაზღვრავენ როგორც პარტიათა რაოდენობას, ასევე საარჩევნო სისტემის ტიპს და აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლების შტოებს შორის არსებულ ურთიერთმიმართებას.

ლიპსეტი (1960), კიტშელტი (1999), ლინცი და სტეპანი (1996) შეგვიძლია სწორედ ამ მოსაზრების მიმდევრებად ჩავთვალოთ. ასე მაგალითად, კიტშელტი თვლის, რომ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს პრესოციალისტური პოლიტიკური განვითარების დონე, პოლიტიკური ელიტების იდეოლოგია და საზოგადოების მოლოდინები. ამავე მიმართებით ლინცი და სტეპანი აღნიშნავენ, რომ დემოკრატიულ ტრანზიციებზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს მოცემული ქვეყნის პოლიტიკური, სამოქალაქო, ბიუროკრატიული საზოგადოების მდგომარეობა ტრანზიციის მომენტში და კანონის უზენაესობის პრინციპის აღსრულების დონე. მსჯელობის ეს მიმართულება, საბოლოო ჯამში, 45

საფუძვლად ნორთის (1981) მოსაზრებებს იზიარებს, რომლის მიხედვითაც განვითარება განპირობებულია კონკრეტულ ისტორიულ გზასაყარზე მიღებული ცენტრალური მნიშვნელობის გადაწყვეტილებებით. ამ ტიპის თეორიებიდან ერთ-ერთი, ორპარტიული და მრავალპარტიული სისტემების წარმოშობის მიზეზს კონტინენტური და ანგლო-საქსონური კულტურების განსხვავებულობაში პოულობს, რისი საფუძველიც ამ ჯგუფში შემავალი ქვეყნების ისტორიული განვითარებაა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მე-18 და მე-19 საუკუნეებში მომხდარი ინდუსტრიული რევოლუციაა. ვინაიდან ეს რევოლუცია ინგლისში დაიწყო (Lipset, 1960) და საზოგადოებრივი ცვლილებები რომელიც მან გამოიწვია, მეტწილად ევოლუციური ხასიათისა იყო, მზარდი ურბანიზაციის გამოწვევების დაძლევა შედარებით უმტკივნეულოდ მოხერხდა; შეიქმნა საზოგადოება, სადაც ინდივიდს ვერტიკალური მობილობის რეალური შესაძლებლობა შეეძინა. ამან კი ხელი შეუწყო უფრო ერთიანი პოლიტიკური საზოგადოების ჩამოყალიბებას, ვიდრე ეს, მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიაში ან რუსეთში მოხდა, სადაც ინდუსტრიალიზაციამ და აბსოლუტიზმმა მოიტანა საზოგადოების მეტი პოლარიზაცია და სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების მეტი სტრატეფიკაცია. შესაბამისად, თუკი ანგლო-საქსონურ ქვეყნებში საკმარისი აღმოჩნდა ორპარტიული სისტემა საზოგადოებრივი ინტერესების მეტნაკლები ადეკვატურობით წარმოსაჩენად, ეს წარმოდგენელი იქნებოდა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში სადაც უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა მუშათა, გლეხობის, მიწათმფლობელების, არისტოკრატისა თუ მეწარმეების განსხვავებული და მეტნაკლებად უცვლელი ინტერესები, რამაც მათ სტაბილურ, ჯგუფური იდენტობას შექმნას შეუწყო ხელი და დღის წესრიგში დააყენა მათი დამოუკიდებელი წარმოდგენა ამ ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში. მეორეს მხრივ, ამ მოთხოვნილებამ წარმოშვა საჭიროებაც, რომ ამ ჯგუფებს შორის კონფლიქტის დარეგულირების ინსტიტუციური მექანიზმები შექმნილიყო

და შედეგად კომპრომისსა და კონსენსუსსზე დამყარებული პოლიტიკურა კულტურა მივიღეთ. შესაბამისად, სწორედ ამ მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით ანგლო-საქსონური ტიპის ქვეყნები კონკურენტულ დემოკრატიებად, ხოლო კონტინენტური ევროპის ქვეყნები კონსენსუალური ტიპის დემოკრატიებად ჩამოყალიბდნენ.

ამ კვლევის ამოცანაა, შეძლებისდაგვარად აჩვენოს, რომელი მიდგომა უკეთ ხსნის რეალობას და სწორედ ეს გახლდათ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ აქცენტი გავაკეთეთ აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებზე. ჩვენი არჩევანი გამომდინარეობს, იმ ფაქტიდან რომ სოციალისტურმა რეჟიმმა გამომდინარე თავისი ტოტალიტარული ხასიათიდან ფაქტობრივად მოსპო დამოუკიდებელი პოლიტიკური ინტერესთა ჯგუფები, კერძო საკუთრება, ხშირ შემთხვევაში კი სამოქალაქო საზოგადოებაც, და აქედან გამომდინარე, გაათანაბრა ამ ქვეყნებს შიგნით არსებული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მრავალფეროვნება (Linz & Stepan, 1996). ისტორიულ-კულტურული განსხვავებები, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები კონტრასტით, ბუნებრივია, შემორჩა, მაგრამ მათი პოტენციური გავლენა პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებაზე შეგვიძლია, დიდი ალბათობით, ჩავთვალოთ, რომ გაცილებით ნაკლებია, როცა ის არ ეყრდნობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალური დიფერენციაციას. აქედან გამომდინარე, ეს ქვეყნები მიახლოებული არიან იდეალურ საკონტროლო ჯგუფთან, რომელმაც ჩვენი ჰიპოთეზის მართებულობა უნდა გადაამოწმოს. ამ ქვეყნების ერთგვაროვანი სასტარტო პოზიცია მათი დემოკრატიზაციის პროცესის დასაწყისისთვის კიდევ უფრო ნათელს გახდის საარჩევნო და კონსტიტუციური სისტემის გავლენის მნიშვნელობას, ამ ქვეყნებში პარტიული სისტემის და აქედან გამომდინარე, პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე. სხვა სიტყვებით, ვინაიდან ამ ქვეყნებს შიგნით არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გამყოფი ხაზები მსგავსია დემოკრატიზაციის პროცესის დასაწყისში

განსხვავებული საარჩევნო სისტემისა და კონსტიტუციური მოწყობის იმპლემენტაციამ განსხვავებული შედეგი უნდა მოგვცეს პარტიული სისტემისა და შესაბამისად, დემოკრატიის ტიპის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ამგვარი თანხვედრის აღმოჩენა საშუალებას მოგვცემს ვამტკიცოთ, რომ დიდი ალბათობით საარჩევნო სისტემის ხასიათი მნიშვნელოვანი დეტერმინანტია პარტიების სისტემის ჩამოყალიბებისა მოცემულ ქვეყანაში აქედან გამომდინარე შედეგებით. მეორეს მხრივ, სრულად ვიაზრებთ, რომ ეს შედეგები არ მოგვცემს საშუალებას ვამტკიცოთ, რომ მხოლოდ საარჩევნო სისტემა და კონსტიტუციური მოწყობა არის ქვეყანაში პარტიების რაოდენობის განმსაზღვრელი, ვინაიდან თეორიულად შესაძლებელია, რომ ისეთ საზოგადოებაში სადაც პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური გამყოფი ხაზები სტრატეგიცირებულია, ამ უკანასკნელი გარემოებების გავლენა შესაძლოა აჭარბებდეს კიდევ საარჩევნო სისტემის ეფექტს. მიუხედავად ამისა, კვლევის შედეგების მნიშვნელობა არ კნინდება, ვინაიდან მოსალოდნელი შედეგის -- საარჩევნო სისტემის გავლენა პარტიების რაოდენობაზე -- დადგომა, ნიშნავს, რომ ტოტალიტარულთან მიახლოებული დიქტატურის დემოკრატიული ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე საარჩევნო სისტემის დიზაინი საშუალებას იძლევა სასურველი ტიპის დემოკრატიული რეჟიმი ჩამოვაყალიბოთ. ეს კი, თუ გავითვალისწინებთ, თანამედროვე ავტორიტარული რეჟიმების რაოდენობასა და მნიშვნელობას, ამ კვლევის შედეგებს პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებს.

კვლევაში გამოყენებულია, როგორც რაოდენობრივი ასევე თვისობრივი მეთოდები. ჰიპოთეზიდან გამომდინარე კრიტერიუმები 18-მა ქვეყანამ დააკმაყოფილა. დუვერჟე და მისი თეორიის ძირითადი პრინციპების მხარდამჭერები თვლიან, რომ საარჩევნო სისტემის ეფექტები პარტიათა სისტემაზე შეიძლება ასახულ იქნას მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ამ პროცესის თავისებურებებდან გამომდინარე. პიპა

ნორისიცი (2004) მიიჩნევს, ამ თვალსაზრისით 10 წელი მაინც უნდა იყოს გასული პირველი დემოკრატიული არჩევნებიდან. ვინაიდან უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა რეგულარობით ხდება, ჩავთვალოთ რომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა თავად დუვერჟეს ფორმულა გამოგვეყენებინა (Duverger, 1972), რომლის მიხედვითაც საარჩევნო სისტემის შეცვლიდან 3-4 არჩევნების შემდეგ იწყება შედეგების გამოვლენა. შესაბამისად, შევარჩიეთ ისეთი ქვეყნები, რომლებშიც 1990 წლის შემდეგ ზედიზედ მინიმუმ 3 დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა შინარსობრივად იგივე საარჩევნო სისტემით. დემოკრატიული ტრანზიციის დროს ცვლილებები საარჩევნო სისტემაში არცთუ იშვიათია, ამიტომაც გავითვალისწინეთ ისეთი კაზუსებიც სადაც, მართალია, ცვლილება იყო, მაგრამ ამ ცვლილებას არ შეეძლო გამოეწვია პოლიტიკური პროცესის ძირეული ტრანსფორმაცია. ასე მაგალითად, 1992 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში ღია პროპორციული სისტემით განხორციელდა, 1995 წელს კი შერეული პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემით. ამგვარი ცვლილება კვლევაში გათვალისწინებულია ვინაიდან ერთი სისტემიდან -- პროპორციული, მეორე სისტემაზე -- შერეული, მოხდა გადასვლა. სამაგიეროდ, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ცვლილება რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტში არჩეული დეპუტატების რიცხვი 235-დან 150-მდე შემცირდა საარჩევნო სისტემის ხასიათს ძირეულად არ შეცვლიდა, თუ პროპორციული და მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატების შეფარდება უცვლელად დარჩებოდა. მხოლოდ ისეთი შემთხვევების გათვალისწინება, სადაც საარჩევნო სისტემა საერთოდ არ შეცვლილა მნიშვნელოვნად შეზღუდავდა კაზუსების რაოდენობას და გაართულებდა ჰიპოთეზის უფრო სრულფასოვან შეფასებას.

ამ კრიტერიუმის გარდა მხედველობაში მივიღეთ ქვეყნის საკონსტიტუციო მოწყობაც, ვინაიდან პარტიების რაოდენობაზე, შესაძლოა,

უფრო ნაკლებ, მაგრამ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის მმართველობის ფორმაც. შესაბამისად, განვიხილეთ მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც ზედიზედ ჩატარებული მინიმუმ 3 დემოკრატიული არჩევნების პერიოდში არ ხდება მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ცვლილება, რომელიც განხილულ სახელმწიფოს მმართველობის ფორმას შეცვლიდა. ასე მაგალითად, თუ ამ პერიოდში ქვეყანაში ამოქმედდა ახალი კონსტიტუცია ან კონსტიტუციური ცვლილებები, რომელმაც საპრეზიდენტო რესპუბლიკა საპარლამენტო ან ნახევრად-საპრეზიდენტო სისტემად შეცვალა, ეს პერიოდი კვლევაში გათვალისწინებული არ იქნება და 3 არჩევნების ათვლა თავიდან დაიწყება.

ასევე, ამ კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ისეთი ვადამდელი არჩევნები, რომელიც ახალი პარლამენტის არჩევიდან 18 თვის ვადაში ჩატარდა დამოუკიდებელ არჩევნებად ვერ ჩაითვლება ვინაიდან პერიოდის სიმცირე საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ამომრჩევლის პრეფერენციების სტრუქტურული ცვლილებისთვის ეს საკმარისი დრო არ გახლავთ.

პერიოდი რომელსაც ვიკვლევთ სოციალისტური ბანაკის დაშლიდან იწყება და 2015 წელს მოიცავს, აქედან გამომდინარე, შევისწავლით დაახლოებით 25 წლის განმავლობაში ჩატარებულ არჩევნებს; გამომდინარე ტიპური საკანონმდებლო ორგანოს მოქმედების პერიოდიდან ეს მონაკვეთი საშუალოდ 5-დან 7-მდე არჩევნებსა და მათ შედეგებზე დაკვირვების საშუალებას იძლევა.

ცივი ომის დასრულებამ და ლიბერალიზმის იდეების ტრიუმფმა მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ევროპის სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, გამოიწვია ფორმალური დემოკრატიული პრინციპების მასობრივი დანერგვა. უმრავლეს შემთხვევაში, ეს ქვეყნები მართლაც დემოკრატიული განვითარების გზას

დაადგენენ, მაგრამ არცთუ მცირე რაოდენობა საუკეთესო შემთხვევაში ფასადურ დემოკრატიად ჩამოყალიბდა და მათი ტრანზიცია დემოკრატიისკენ ვერ დასრულდა (Carothers, 2002). უფრო მეტიც, მათი ნაწილი დროის განმავლობაში კიდევ უფრო ავტორიტარული გახდა, მიუხედავად იმისა, რომ შეინარჩუნა ფორმალური დემოკრატიული ინსტიტუტები, როგორცაა რეგულარული არჩევნები, ხელისუფლების შტოების ფორმალური დაყოფა, მრავალპარტიული სისტემა და ა.შ. დუვერჟეს თეორია კი გულისხმობს, რომ საარჩევნო სისტემის ეფექტი პარტიათა სისტემაზე მხოლოდ დემოკრატიის პირობებში მოქმედებს; ეს ბუნებრივია, ვინაიდან დიქტატურის შემთხვევაში პოლიციური კონტროლი, არჩევნების გაყალბება, ოპოზიციური ძალების დევნა, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ბერკეტები, ამომრჩეველზე განხორციელებულ წნეხთან ერთად ძირეულად ცვლის ამომრჩევლის პრეფერენციებს და შესაბამისად, საარჩევნო სისტემის ხასიათი ბოლო პლანზე გადადის. აქედან გამომდინარე, კვლევაში განხილულია მხოლოდ ისეთი კაზუსები, სადაც ქვეყანა ზედიზედ მინიმუმ 3 არჩევნების განმავლობაში დემოკრატიულია. ქვეყნის დემოკრატიულობის განსაზღვრისთვის ვიყენებთ გასტილის ინდექსს, რომელიც ასევე *Freedom House-ის* „თავისუფლება მსოფლიოში“ ინდექსის სახელითაა ცნობილი (Freedom House, 2016a). ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს არა პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლების ინდექსი, არამედ კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც მოცემული ქვეყანა კლასიფიცირებულია, როგორც არჩევითი დემოკრატია. გასტილის ინდექსის მიხედვით, ქვეყანა შეიძლება ჩავთვალოთ არჩევით დემოკრატიად თუ იგი 4 კრიტერიუმს აკმაყოფილებს: 1. ქვეყანაში მრავალპარტიული, კონკურენტული პოლიტიკური სისტემაა 2. ყველა ზრდასრულ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში 3. რეგულარულად ტარდება არჩევნები, სადაც დაცულია ხმის მიცემის

კონფიდენციალურობა, არ არის მასობრივი გაყალბება და შედეგები ძირითადად ასახავს ხალხის ნება-სურვილს 4. პოლიტიკურ პარტიებს აქვთ მნიშვნელოვანი შესაძლებლობები საკუთარი სათქმელი მიიტანონ ამომრჩევლამდე მედიისა თუ ღია საარჩევნო კამპანიის საშუალებით. ეს დეფინიცია, მართალია მინიმალისტურია და არ მოიცავს კრიტერიუმებს, რომელიც საშუალებას მოგვცემდა განხილული სახელმწიფო კონსოლიდირებულ დემოკრატიად ჩაგვეთვალა, მაგრამ ვფიქრობთ, სწორედ ეს ფაქტი უფრო მეტ დამაჯერებლობას შესძენს ჩვენს არგუმენტს თუკი მისი ძირითადი მოლოდინები დადასტურდა. სხვა სიტყვებით, შეგვეძლება ვამტკიცოთ, რომ ჰიპოთეზა ვალიდურია მაშინაც კი, როდესაც განხილული ქვეყანა არ წარმოადგენს ლიბერალურ დემოკრატიას, ანუ ის მოქმედებს მაშინაც კი, როცა პროცესში ერთვება რიგი ეგზოგენური ფაქტორებისა, რომლებიც ასუსტებს ფორმალური ინსტიტუტების გავლენას საარჩევნო პროცესზე (Freedom House, 2016b). ასეთი კრიტერიუმების არასრული ჩამონათვალი, რომელიც დეფინიციაში არაა გათვალისწინებული შემდეგნაირად გამოიყურება: პარტიების დაფინანსება, თანასწორი წინასაარჩევნო გარემო, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, ქვეყნის მმართველობაში მონაწილე არ არჩეული პოლიტიკური ძალები, სახელისუფლებო შტოებს შორის დისბალანსი და სხვ.

შესაბამისად, არჩევითი დემოკრატის ინდიკატორის გამოყენების საშუალებით 27 სოციალისტური წარსულის მქონე ქვეყნიდან ჩვენთვის საჭირო კრიტერიუმები მხოლოდ 18-მა დააკმაყოფილა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოგვიწია იმ ქვეყნების გამორიცხვამ, რომლებშიც მართალია 3 დემოკრატიული არჩევნები ზედიზედ ჩატარდა ისე რომ მნიშვნელოვანი ცვლილება საარჩევნო სისტემას არ განუცდია, მაგრამ ამ არჩევნებს შორის შუალედში ქვეყანა ერთხელ მაინც შეფასდა, როგორც არადემოკრატიული ამავე ინდექსის თანახმად. განსახილველი ქვეყნების ჯგუფში ვერ მოხვდა საქართველო, რადგან ვერ მოვიძიეთ 3 ზედიზედ

ჩატარებული არჩევნები დემოკრატიული მმართველობის წყვეტისა და საარჩევნო სისტემის ცვლილების გარეშე. ამის მიუხედავად და კონტექსტის გათვალისწინებით, მაინც განვიხილეთ საქართველო 1992-1999 წლების ჩათვლით. ეს მაგალითი არასაკმარისი რაოდენობის არჩევნებს მოიცავს ერთი და იგივე სისტემით (1995 და 1999 წლის არჩევნებს), მაგრამ ჰიპოთეზასთან მიახლოებული ტენდენციის დანახვა ხელს შეუწყობდა ჩვენი მოსაზრების სარწმუნოობის გამყარებას.

დემოკრატიულ სახელმწიფოში არჩევნები რამდენიმე დონეზე ტარდება, უფრო მეტიც ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოს არსებობის შემთხვევაში, ეს რაოდენობა კიდევ უფო იზრდება. ამ კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ, რომ მთავარი აქცენტი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატაზე გაგვეკეთებინა. მიგვაჩნია, რომ სხვა ტიპის არჩევნების შედეგების დეტალური განხილვა კვლევის შედეგებზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ იქონიებდა. ჩვენი ეს მოსაზრება რამდენიმე არგუმენტს ეყრდნობა. უპირველესყოვლისა, სახელმწიფოში მიმდინარე სხვადასხვა ტიპის არჩევნები, როგორცაა საპრეზიდენტო, საპარლამენტო, სენატის, ადგილობრივი და ა.შ. ძირითად შემთხვევაში ერთმანეთზეა დამოკიდებული და საერთო ტენდენციების გამომხატველია, განსაკუთრებით კი საშუალოვადიან პერიოდში. აქედან გამომდინარე, მათ შორის ერთ-ერთის განხილვა გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს დანარჩენი არჩევნების შედეგებზე. სხვა სიტყვებით, მართალია, ერთმა პარტიამ შეიძლება გაიმარჯვოს საპარლამენტო არჩევნებში, ხოლო მეორემ ადგილობრივ არჩევნებში, ეს არ ცვლის ქვეყანაში წარმოდგენილი პარტიების საერთო რაოდენობას. მეორე, ორპალატიანი პარლამენტის არსებობის შემთხვევაში ქვედა პალატას, როგორც წესი, გადამწყვეტი პოლიტიკური წინა გააჩნია, ამიტომაც ტენდენციების განმსაზღვრელად უპრიანია სწორედ წვედა პალატაზე აქცენტის გაკეთება. მესამე, მიგვაჩნია, რომ დუვერჟეს ეფექტის განხორციელება შეუძლებელია მოკლევადიან

პერიოდში და მის მიერ 3-4 არჩევნების ჩატარება ერთი და იგივე წესებით არ შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა ტიპის არჩევნებს. სხვა სიტყვებით, მის მიერ 3-4 არჩევნების, როგორც ვადის დასახელება, დიდი ალბათობით, გულისხმობს კონკრეტული დროის გასვლას და წინა არჩევნების შედეგების სრულად გააზრებას ამომრჩევლის მიერ. მეოთხე, საპრეზიდენტო რესპუბლიკის არსებობის შემთხვევაში პარტიების რაოდენობის შემცირების ტენდენცია ისედაც აისახება საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებზე, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების ცალკე განხილვა კიდევ უფრო პოზიტიურად მიკერძოებულს გახდის მონაცემებს, ვინაიდან ასეთ დროს კანდიდატებისა და პარტიების რაოდენობა კიდევ უფრო მცირდება. მართალია, ზოგ შემთხვევაში ადგილობრივი და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების არჩევნების კომბინირებით შესაძლებელი იქნებოდა მიგველო 3 არჩევნები ზედიზედ და ამით გაგვეზარდა დაკვირვებების რიცხვი, მაგრამ ჩავთვალეთ, რომ ამგვარი მიდგომა ხელოვნურად აკმაყოფილებს საჭირო ინსტიტუციონალიზაციის კრიტერიუმს; უფრო მეტიც, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ასეთ შემთხვევაში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შერჩევის ეფექტი გავლენას ახდენს ამომრჩევლის პრეფერენციებზე ადგილობრივი არჩევნების დროს. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი არჩევნების როგორც დამოუკიდებელი მოვლენის გათვალისწინება პრობლემატური იქნებოდა. მეხუთე, მონაცემები საპარლამენტო არჩევნების შესახებ ყველაზე უფრო მოცულობითი და ადვილად ხელმისაწვდომია. ადგილობრივ არჩევნებზე აქცენტის გაკეთებით მოგვიწევდა რიგ ქვეყანაზე უარის თქმა გამომდინარე მონაცემების მოპოვების სირთულეებიდან. ამავდროულად კი არ ჩანს, რატომ არ შეიძლება მხოლოდ საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვებით მივიღოთ ამ კვლევაში დასმულ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი.

კიდევ ერთი კრიტერიუმი, რომელსაც ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს, რათა შესაძლებელი გახდეს ამ კვლევაში მისი განხილვა, ეს მისი კონსტიტუციური მოწყობის უცვლელობაა მინიმუმ 3 არჩევნების მანძილზე. ვთვლით, რომ კონსტიტუციური ცვლილება, რომელიც თავის თავში მოიცავს ხელისუფლების ყველაზე ძლიერი -- საადმინისტრაციულ -- შტოს მეთაურის უფლებომისელებისა და არჩევის წესის შეცვლას აუცილებლად მოახდენს გავლენას ამომრჩევლის პრეფერენციებსა და საარჩევნო კონტექსტზე, იმის მიუხედავად შეიცვალა თუ არა საკანონმდებლო ორგანოს არჩევის წესი. ასეთ დროს, მინიმუმ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 3 დემოკრატიული არჩევნების ათვლა თავიდან უნდა დაიწყოს.

ამ კვლევისთვის ცენტრალური მნიშვნელობისაა პარტიების რაოდენობის სწორი დათვლა. სწორედ ეს მოგვცემს საშუალებას დავადგინოთ, მოახდინა თუ არა გავლენა საარჩევნო სისტემამ კონკრეტული დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებაზე. ბუნებრივია, რომ საზომად ვერ ავიღებდით მოცემულ ქვეყანაში დარეგისტრირებული პარტიების რაოდენობას. გამომდინარე სხვადასხვა ქვეყნებში არსებული კანონმდებლობის თავისებურებებიდან, პარტიების დარეგისტრირება შესაძლოა ძალზედ ადვილი და წმინდად ფორმალური ან ძალზე ძნელი და შინაარსობრივად დატვირთული პროცესი იყოს. ასე მაგალითად, საქართველოში 200-მდე პარტიაა წარმოდგენილი და ნომინალურად აქტიური ლეგალური სტატუსი გააჩნია (ბაღდავაძე, 2012). საქართველოში დარეგისტრირებულ პარტიათა აბსოლუტური უმრავლესობა არამცთუ ვერ ახერხებს არჩევით ორგანოებში საკუთარი წარმომადგენლების გაყვანას, არამედ მათი არსებობაც კი უცნობია მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის; ისინი მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ. აქედან გამომდინარე, შევჩერდით მეცნიერების მარკუ ლააკსოსა და რეინ ტააგეპერას (1979) მიერ შემუშავებულ ინდექსზე (ENP), რომელიც გავლენიანი/ანგარიშგასაწევი

პარტიების რაოდენობას გვაძლევს მოცემულ პოლიტიკურ სისტემაში ამ პარტიების მიერ მიღებული ხმებისა და არჩევით ორგანოში მოპოვებული ადგილების შეწონილი ხვედრითი წილის გათვალისწინებით. პარტიების რაოდენობის შესაფასებლად ეს ინდექსი ყველაზე ფართოდ გამოიყენება და მიგვაჩნია, რომ ამ კვლევისთვის იგი ოპტიმალური არჩევანია. ინდექსის გამოყენება ორგვარად არის შესაძლებელი: ერთი, შეიძლება დავთვალოთ ხმების რაოდენობა, რომელსაც პარტია ღებულობს და ამის მიხედვით გამოვთვალოთ პარტიების რაოდენობა და მეორე, გავითვალისწინოთ მხოლოდ პარტიის მიერ მოპოვებული ადგილები უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ძირითადად ორივე მიდგომამ მსგავსი შედეგი უნდა მოგვცეს, ვინაიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ამომრჩეველი აუცილებლად გაიაზრებს საარჩევნო სისტემის თავისებურებებს. მიუხედავად ამისა, თანმიმდევრული ტენდენციის დადგენა, სადაც მაჟორიტარული არჩევნებისას ამომრჩევლის პრეფერენციების ცვლილება მას შემდეგ ხდება, რაც მათი რჩეული პარტია გარკვეული რეგულარობით ვერ ახერხებს ხმების რაოდენობა გარდასახოს მოპოვებულ ადგილებში, კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენს ჰიპოთეზას. შესაბამისად, ამ კვლევაში ორივე ტიპის მონაცემებია გაანალიზებული.

აქ გასათვალისწინებელია არჩევნებში პარტიების ბლოკების სახით მონაწილეობა. ამ შემთხვევაში, რამდენიმე პარტია ერთიანი სიით იყრის კენჭს, როგორც ერთი პოლიტიკური სუბიექტი, მაგრამ ეს წარმოდგენას ვერ მოგვცემს ამგვარი კოალიციის სტაბილურობაზე. საჭიროა, განვსაზღვროთ როგორ დავთვალოთ ეფექტიანი პარტიების რაოდენობა ასეთ შემთხვევაში. ერთის მხრივ, კოალიცია ეფემერული ხასიათის შეიძლება იყოს და მისი ჩათვლა ავტონომიურ პოლიტიკურ სუბიექტად ძნელია, მეორეს მხრივ, შეუძლებელია ამომრჩევლის პრეფერენციების დიფერენცირება, როდესაც ეს უკანასკნელი ვერ ახერხებს კოალიციაში შემავალ კონკრეტულ პარტიას მისცეს ხმა. შესაბამისად, მისი გადაწყვეტილება გავლენას ვერ ახდენს

კოალიციაში შემავალი კონკრეტული პარტიის მიერ მიღებულ მანდატების რაოდენობაზე, რაც მეტისმეტად ართულებს ENP ინდექსის გამოყენებას. აქედან გამომდინარე, იძულებული ვართ არ განვასხვავოთ პარტიები და ბლოკები ინდექსის დათვლისას. მართალია, ამ გარემოების გავლენა განსაკუთრებით პროპორციული საარჩევნო სისტემის არსებობისას არის მოსალოდნელი და შეამცირებს პარტიების რაოდენობას, რითაც გაართულებს ჰიპოთეზის დამტკიცებას, ვინაიდან ერთმანეთს დაუახლოვებს შერეულ და პროპორციულ სისტემებში გავლენიანი პარტიების რაოდენობას. მეორეს მხრივ, მიუხედავად ამ გარემოებისა, კვლევის ჰიპოთეზაში ნაწინასწარმეტყველები ტენდენციების დაფიქსირება კიდევ უფრო მეტ სარწმუნოობას მიანიჭებს ჩვენს მტკიცებებს.

არჩევნების შედეგებზე, განსაკუთრებით კი ისეთ ქვეყნებში, რომლებიც თავისუფლების ინდექსის მიხედვით, მართალია ელექტორალურ დემოკრატიას წარმოადგენენ, მაგრამ ამავე ინდექსის მიხედვით ნახევრად-თავისუფალ ქვეყნებს მიეკუთვნებიან, გავლენას ახდენენ რიგი ფაქტორები, რომლებსაც ამ კვლევის ფარგლებში უგლვებელვყოფთ. ასეთ ფაქტორებად, შეგვიძლია მოვიაზროთ პარტიების რეგისტრაციის წესი, დაფინანსების წესი, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების წესები და სხვ. საბედნიეროდ, ასეთი ქვეყანა ჩვენს შემთხვევაში მხოლოდ რუსეთია და კვლევის საერთო შედეგებზე ამ კაზუსის გავლენა მცირეა.

საარჩევნო სისტემები

საარჩევნო სისტემების ზუსტ კატეგორიზაციას ჩვენი კვლევისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა

კლასიფიკაციის ფორმალური მხარე, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მაჟორიტარულ და პროპორციულ სისტემათა შორის მკაფიო ზღვრის გავლენას, არამედ ამ დაყოფის შინაარსობრივი მხარე. აქედან გამომდინარე, ნაკლებ ყურადღებას დავუთმობთ ამ მიმართებით არსებულ აზრთა სხვადასხვაობას და აქცენტს გავაკეთებთ წარმომადგენლობითობის კომპონენტზე, რომელიც ამა თუ იმ გარდამავალ სისტემას გააჩნია. სწორედ ამ უკანასკნელ ფაქტორს აქვს გავლენა დუვერჟეს კანონის მექანიკური და ფსიქოლოგიური ეფექტების გამოვლენაზე. საარჩევნო სისტემებს მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა ორ დიდ ჯგუფად ყოფს: პროპორციულ და მაჟორიტარულ სისტემებად. მაჟორიტარულ არჩევნებს არსებობის უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვთ, მიუხედავად იმისა ათვლის წერტილად თანამედროვე პარტიების ჩამოყალიბების დროს ავიღებთ თუ ანტიკურ წარსულს; ბერძნულ პოლისებისა და რომის სახელმწიფოს მაგალითზე შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ მაჟორიტარული ტიპის არჩევნები ბევრად წინ უსწრებდა პარტიების წარმოშობას და შესაბამისად, არჩევნების პროპორციული წესის შემოღებას. ამ მიზეზის გამო პირველად სწორედ მაჟორიტარულ არჩევნებს მიმოვიხილავთ.

სხვადასხვა დეფინიციით რამდენიმე ტიპის მაჟორიტარული არჩევნები არსებობს. ისინი რამდენიმე კრიტერიუმით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. შედარებით ნაკლებ დროს დავუთმობთ ისეთი ტიპის მაჟორიტარულ არჩევნებს, რომლებიც ჩვენს მიერ განხილული 18 ქვეყნის შემთხვევაში არ გვხვდება. ასევე, როგორც უკვე აღვნიშნეთ მთავარ აქცენტს გავაკეთებთ თითოეული საარჩევნო სისტემის წარმომადგენლობით ეფექტზე იმის მიუხედავად თუ ნომინალურად რომელ საარჩევნო სისტემას განეკუთვნება იგი ამა თუ იმ დეფინიციით. მაჟორიტარული და პროპორციული სისტემების განსასხვავებლად ვიხელმძღვანელებთ ამომრჩეველთა ხმების წარმომადგელობად ტრანსფორმაციის პრინციპებით.

პროპორციული არჩევნებისას პარტიები არჩევით ორგანოში ადგილებს ღებულობენ იმ პროცენტის შესაბამისად, რომელიც მათმა ორგანიზაციამ მიიღო. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს ამომრჩეველი დახურულ, ნახევრად დახურულ თუ ღია სიას აძლევდა ხმას. მნიშვნელობა არა აქვს საარჩევნო ოლქების რაოდენობასაც; სხვა სიტყვებით, მთელი ქვეყანა იქნა ადებული როგორც ერთი ოლქი (დღევანდელ საქართველოს პარლამენტში 73 დეპუტატი სწორედ ამ პრინციპით აირჩევა), თუ იგი რამდენიმე ოლქად დაიყო (როგორც ამას საქართველოს ოპოზიციური პარტიები თავაზობენ დღევანდელ მმართველ გუნდს -- ე.წ. რეგიონალურ-პროპორციული სისტემა). მთავარია, რომ მოცემული პარტიისა თუ ბლოკის მანდატების რაოდენობა გამოითვლება იმ ხმების ხვედრითი წილის შესაბამისად, რომელიც მათ მიიღეს. მაჟორიტარული არჩევნების შემთხვევაში კი მანდატს ღებულობენ ის პირები ვინც კონკრეტული ზღვარი გადალახეს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს რამდენით გადალახეს მათ ზღვარი -- პროპორციული არჩევნებისგან განსხვავებით ეს მანდატების რაოდენობას არ ცვლის. ალტერნატიული მიდგომები კი ასეთი სიცხადით ვერ განასხვავებს არჩევნების ამ ორ ძირითად ტიპს. ასე მაგალითად, თუ განმსაზღვრელად პარტიის ან ინდივიდის არჩევას დავასახელებთ, მაშინ ღია პროპორციული სისტემა პრობლემატურია; ამ სისტემის გამოყენების დროს მართალია ამომრჩეველი პარტიას აძლევს ხმას, მაგრამ ამავდროულად მას შეუძლია ამ პარტიის მიერ წარმოდგენილ სიით შემადგენლობაში არჩევანი გააკეთოს და შესაბამისად, კონკრეტულ კანდიდატებს მისცეს ხმა. მეორეს მხრივ, თუკი განმსაზღვრელ ფაქტორად ოლქში არსებული მანდატების რაოდენობას განვიხილავთ მრავალმანდატიანი მაჟორიტარული ოლქები დეფინიციის თანახმად რამდენიმე წარმომადგენელს ირჩევს, თუმცა ამ შემთხვევაში ხმების პროცენტულ გადანაწილებას მნიშვნელობა არა აქვს. სწორედ ამიტომ მტავარ განმასხვავებელ პრინციპად ამომრჩეველთა ხმების მანდატებად

გარდაქმნის პროცენტულ ან ზღვრულ პრინციპს ვიყენებთ. განხილულ ქვეყნებში ორი ტიპის მაჟორიტარული არჩევნები გვხვდება. ორივე ტიპის სისტემაში მაჟორიტარული ოლქები ერთმანდატიანია, მაგრამ ამ მანდატის მოსაპოვებლად ერთ შემთხვევაში ხმების უბრალო უმრავლესობაა საჭირო, მეორე შემთხვევაში კი კვალიფიციური უმრავლესობა. პირველ შემთხვევაში იმარჯვებს ის კანდიდატი ვინც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს, მეორე შემთხვევაში კი კანდიდატს საერთო ხმების 50% +1 ხმა ჭირდება მანდატის მოსაპოვებლად. კვალიფიციური უმრავლესობის მაჟორიტარული არჩევნების დროს, როცა ვერცერთი კანდიდატი ვერ აგროვებს ხმების საჭირო რაოდენობას, ინიშნება მეორე ტური, სადაც ორი ყველაზე მეტი ხმების მქონე კანდიდატი ეჯიბრება ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, ითვლება, რომ დუვერჟეს კანონი ამ შემთხვევაში ნაკლები ძალით მოქმედებს (Lijphart, 2012), ვინაიდან ამომრჩეველს არ უწევს თავიდანვე სტრატეგიული არჩევანის გაკეთება; მას შეუძლია პირველ ტურში მისთვის სასურველ კანდიდატს მისცეს ხმა, მიუხედავად მისი გამარჯვების შანსებისა, რადგან მეორე ტურის შემთხვევაში ყოველთვის ექნება შესაძლებლობა გადასული ორი კანდიდატიდან მისთვის უფრო მისაღებს მისცეს ხმა. ეს გამორიცხულია უბრალო უმრავლესობის შემთხვევაში, ვინაიდან მეორე ტური არ იქნება და მესამე კანდიდატისთვის მიცემული ხმა უბრალოდ დაიკარგება, ამან კი შეიძლება გამოიწვიოს მოცემული ამომრჩეველისთვის უფრო მიუღებელი კანდიდატის გამარჯვება, მაშინ როცა სტრატეგიულად ხმის მიცემის შემთხვევაში მისი დამარცხება შესაძლებელი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, განხილული შემთხვევების ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ რა ტიპის მაჟორიტარულ არჩევნებთან გვაქვს საქმე და ჩავთვალოთ, რომ დუვერჟეს კანონს უბრალო უმრავლესობის შემთხვევაში უფრო დიდი გავლენა ექნება, როგორც ამომრჩეველის მიერ გაკეთებულ არჩევანზე ასევე ეფექტური პარტიების რიცხვზე.

პროპორციული სისტემები გაცილებით დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ეს ნაწილობრივ უკვე განვიხილეთ. ამჯერად, შევეხებით მხოლოდ იმ ეფექტებს, რომელიც სხვადასხვა პროპორციულ სისტემას დუვერჟეს ჰიპოთეზის მიხედვით უნდა გააჩნდეს საარჩევნო სისტემაზე. ამ შემთხვევაში, პარტიების რიცხვზე მთავარ გავლენას ახდენს ის მინიმალური ზღვარი, რომელიც პარტიებმა უნდა გადალახონ არჩევით ორგანოში მოსახვედრად. ტიპურად ეს ზღვარი 3-5%-მდე მერყეობს, ხოლო პარტიების ბლოკებისთვის ხშირად უფრო მაღალია. ზღვარი გულისხმობს, რომ მაგალითად, 5%-იანი მინიმალური ზღვრის არსებობის შემთხვევაში, მხოლოდ ის პარტიები მიიღებენ მანდატების გადანაწილებაში მონაწილეობას, რომლებმაც ხმების საერთო რაოდენობის 5% მაინც მიიღეს. შესაბამისად, ის პარტიები, რომლებმაც უფრო ნაკლები რაოდენობის ხმები მიიღეს საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი ვერ იქნებიან, დარჩენილი ადგილები კი სხვადასხვა მეთოდით ზღვრის გადამლახავ პარტიებზე განაწილდება. მონაცემების ანალიზისას გავითვალისწინებთ, რომ მაღალი საარჩევნო ზღურბლი შეამცირებს პარტიების რიცხვს. ამის საპირისპიროდ მოქმედებს საარჩევნო ოლქების რაოდენობა და სიდიდე; რაც უფრო მეტი პროპორციული საარჩევნო ოლქია ქვეყანაში და რაც უფრო მრავალმანდატიანია ეს ოლქები მით უფრო მეტი უნდა იყოს როგორც წარმოდგენილი რელევანტური პარტიების რაოდენობა პოლიტიკურ სისტემაში, ასევე ამომრჩეველთა მიერ მხარდაჭერილი პარტიების საერთო რაოდენობა. პროპორციული არჩევნებისას ამომრჩეველთა ხმების მანდატებად გარდაქმნის რამდენიმე ფორმულა გამოიყენება და მათი გავლენა პარტიების რაოდენობაზე ანგარიშგასაწევია. მონაცემთა ანალიზისა და დისკუსიისას ეს გარემოებაც აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს. ასე მაგალითად, D'Hondt-ის მეთოდი, რომელიც ჩვენს მიერ განხილული ქვეყნების უმრავლესობაში გამოიყენება, დიდი პარტიების მიმართ არის მიკერძოებული და ამცირებს პარტიათა

რიცხვს, ხოლო Saint-Lague-ს მეთოდი, რომელიც ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევებში ასევე წარმოდგენილია, მცირე პარტიების უკეთ წარმოდგენას უწყობს ხელს (Shugart & Carey, 2004).

ბოლო ფაქტორი, რომელსაც გავითვალსწინებთ ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობაა. ჩვენს მიერ განხილულ თეორიულ მოდელში ვვარაუდობთ, რომ ძლიერი პრეზიდენტი, რომელიც პირდაპირ წესით ირჩევა და მნიშვნელოვანი ძალაუფლება გააჩნია, პარტიების რაოდენობაზე უარყოფითად მოქმედებს. აქ ჩვენ ვიზიარებთ მკვლევართა უმრავლესობის აზრს (Shugart & Carey, 2004), რომლებიც ასე მიიჩნევენ. ეს გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ საპრეზიდენტო არჩევნები მაჟორიტარული არჩევნებია და რაც უფრო დიდი გავლენა აქვს პრეზიდენტს ქვეყნის მმართველობაზე მით უფრო მეტია ამ არჩევნების გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაზე. აქედან გამომდინარე, ყველა პარტია ცდილობს სწორედ ამ თანამდებობისთვის იბრძოდოს და შედეგად იკვეთება ორპარტიული სისტემისკენ სწრაფვა, რადგან გამარჯვების შანსი მესამე და უფრო დაბალი რანგირების მქონე კანდიდატისთვის დრამატულად მცირდება. ეს პროცესი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებზეც, რადგან სწორედ ის პარტიები ზრდიან საკუთარ გავლენას საშუალოვადიან პერიოდში, რომლებიც წარმატებით მონაწილეობენ საპრეზიდენტო არჩევნებში. შესაბამისად, მოველით პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებას ძლიერ პრეზიდენტსა და პარტიების მცირე რაოდენობას შორის. რეჟიმების ამ კუთხით კლასიფიკაციისთვის ვიყენებთ შუგარტისა და ქერის მიერ შემოთავაზებულ მოდელს, რომელიც ჩვენი აზრით ყველაზე ზუსტად გამოხატავს სხვადასხვა მმართველობის ტიპებს შორის განსხვავებებს (Shugart & Carey, 2004). ეს მოდელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პრეზიდენტის არჩევის წესს, მის მიმართებას საკანონმდებლო ორგანოსთან და მთავრობასთან. ავტორები რამდენიმე ტიპის საპრეზიდენტო რეჟიმს გამოყოფენ. ესენია: საპრეზიდენტო,

საპრეზიდენტო-საპარლამენტო, და ნახევრად-საპრეზიდენტო (ამ უკანასკნელს ავტორები Premier-Presidentialism-ს უწოდებენ, მაგრამ ქართულად ჩვენს მიერ გამოყენებული ტერმინი ვარჩიეთ, რადგან შინაარსობრივად განსხვავება დიდი არ არის). აქ მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ საპრეზიდენტო და საპრეზიდენტო-საპარლამენტო რეჟიმებს შორის განსხვავებას; ალტერნატიული კლასიფიკაციები მათ ერთ ჯგუფში აერთიანებენ პრეზიდენტის დომინანტური როლის გამო, მაგრამ ამ მოდელში ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან მათი მიმართებით საკანონმდებლო ორგანოსთან. შუგარტისა და ქერის მიხედვით საპრეზიდენტო რესპუბლიკის მაგალითია აშშ, სადაც პრეზიდენტს არავითარი ლეგალური გავლენა არა აქვს კონგრესის არჩევისა და ფუნქციონირების ვადებზე, მას არცერთ ვითარებაში არ შეუძლია კონგრესის დაშლა და ახალი არჩევნების გამოცხადება, რაც შეეხება მთავრობას მასზე კონგრესის გავლენა მინიმალურია. საპრეზიდენტო-საპარლამენტო რესპუბლიკაში კი პრეზიდენტს ერთის მხრივ შეუძლია პარლამენტის დაშლა, მეორეს მხრივ კი, პარლამენტს შეუძლია მთავრობის ნდობის საკითხის დღის წესრიგში დაყენება. პრაქტიკული თვალსაზრისით საპრეზიდენტო-საპარლამენტო რესპუბლიკა უფრო მეტად არის პრეზიდენტის გავლენის ქვეშ, ვიდრე საპრეზიდენტო მმართველობა. აქედან გამომდინარე, ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილებები სწორედ ასეთ სისტემაში ჩნდება, როგორც ამას რუსეთის მაგალითი გვიჩვენებს. რაც შეეხება საპარლამენტო რესპუბლიკას აქ პრეზიდენტი პირდაპირი წესით, როგორც წესი არ აირჩევა, და მას პარლამენტი ირჩევს. ჩვენს მიერ განხილული შემთხვევების ანალიზისას ცხადი ხდება, რომ სტანდარტული გაგებით დომინანტი პრეზიდენტით მხოლოდ ერთი ქვეყანა -- რუსეთია წარმოდგენილი, რამდენიმე ქვეყანა გარკვეული დროის განმავლობაში მაინც ე.წ. ნახევრად-საპრეზიდენტო რესპუბლიკას წარმოადგენდა, ხოლო უმრავლესობა კი საპარლამენტო რესპუბლიკად შეიძლება ჩაითვალოს.

ყოველშემთხვევაში, საპრეზიდენტოდან საპარლამენტო რესპუბლიკამდე მმართველობის დიაპაზონი სრულად არის წარმოდგენილი და ეს სრულფასოვანი ანალიზის საშუალებას იძლევა.

ეპიკრიული მონაცემები და კვლევის შედეგები

ჩვენი კვლევის კრიტერიუმები, რომელიც გულისხმობს საარჩევნო სისტემისა და სახელმწიფოს კონსტიტუციური მოწყობის გავლენას ქვეყანაში პარტიების რაოდენობაზე ყოფილი სოციალისტური ქვეყნების მაგალითზე ევროპაში, 28 ქვეყანამ დააკმაყოფილა. ამ სახელმწიფოთა ჩამონათვალში შევიდა ყოფილი საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკა, ყოფილი იუგოსლავიის 6 რესპუბლიკა, ვიშეგრადის 4 ქვეყანა, ალბანეთი, ბულგარეთი, და რუმინეთი. კვლევის პერიოდი 1990 წლიდან იწყება და 2015 წელს მთავრდება, თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში მოხდა არამარტო სოციალისტური ბლოკის დაშლა, არამედ რიგი სახელმწიფოებისაც და აქედან გამომდინარე, კვლევის პერიოდი განხილული ქვეყნებისთვის განსხვავებულია. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად შექმნილი რესპუბლიკების განხილვის პერიოდი 1991 წლიდან იწყება. ამავე წელს მოიპოვეს დამოუკიდებლობა ხორვატიამ და სლოვენამ. 1992 წლიდან განვიხილავთ ბოსნია-ჰერცეგოვინასა და მაკედონიას, 1993 წლიდან ჩეხეთს, სლოვაკეთსა და იუგოსლავიას, 2006 წლიდან კი სერბიასა და მონტენეგროს. იუგოსლავია ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც 2006 წელს შეწყვიტა არსებობა, მაგრამ თეორიულად შეეძლო დაეკმაყოფილებინა კვლევისთვის საჭირო კრიტერიუმები, ვინაიდან მისი ერთიდაიგივე საზღვრებში არსებობის პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია -- 1993-2005 და ამ ხნის განმავლობაში შესაძლებელი იყო 3 არჩევნების ჩატარება.

ქვეყნების რაოდენობის შემცირება გამოიწვია დემოკრატიულობის მოთხოვნამ ზედიზედ სამი არჩევნების განმავლობაში. ბელარუსი, აზერბაიჯანი და ცენტრალური აზიის ქვეყნები ყირგიზეთის გამოკლებით, განხილული პერიოდის მანძილზე არასდროს ყოფილან დემოკრატიული და შესაბამისად, გამოირიცხნენ საკვლევი ჯგუფიდან. ამ ეტაპზე

გამოვრიცხეთ ის სახელმწიფოებიც, რომლებიც არ იყვნენ დემოკრატიული ზედიზედ 6 წლის განმავლობაში მაინც. ესენი არიან: ყირგიზეთი, სომხეთი და იუგოსლავია (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. ელექტორალური დემოკრატია პოსტსოციალისტურ ქვეყნებში

ქვეყანა	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ალბანეთი	არა	არა	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
სლოვენია	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	კ	კ	კ	კ	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა
აშშ-ბაიკანო	..	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა
ბელარუსი	..	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა
ბოსნია	კ	არა	არა	არა	კ	კ	კ	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
ბულგარეთი	არა	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
სლოვატია	..	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
ჩინეთი	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
ესტონეთი	..	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
საპარტეველი	..	არა	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	არა	კ	კ	კ	კ	კ	არა	არა	არა	არა	კ	კ	კ
უნგრეთი	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
ყაზახეთი	..	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა
ყირგიზეთი	..	არა	არა	არა	არა	კ	კ	კ	კ	კ	კ	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა
ლატვია	..	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
ლიტვა	..	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
მაკედონია	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	არა
მოლდოვა	..	არა	არა	არა	არა	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
პოლონეთი	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
რუმინეთი	არა	არა	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
რუსეთი	..	არა	არა	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა
სერბია	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
იუგოსლავია			არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	კ	კ	კ	კ	კ	კ
სლოვაკეთი	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
სლოვენია	..	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
ტაჯიკეთი	..	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა
თურქეთი	..	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა
უკრაინა	..	არა	არა	არა	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
უზბეკეთი	..	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა

შენიშვნა: „კ“ და „არა“ აღნიშნავს იყო თუ არა განხილული ქვეყანა არჩევითი დემოკრატია მოცემულ წელს.

დარჩენილი 19 ქვეყნიდან, რომელმაც ეს კრიტერიუმი დააკმაყოფილა გამოირიცხა ერთი სახელმწიფო -- ბოსნია-ჰერცეგოვინა, სადაც უწყვეტი

დემოკრატიულობის პირობებში ზედიზედ 3 არჩევნების ჩატარება ვერ მოესწრო (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. დემოკრატიული არჩევნები პოსტსოციალისტურ ქვეყნებში

ქვეყანა	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ალბანეთი	კი				კი	კი				კი				კი				კი				კი		
ბოსნია		კი	კი	კი	კი		კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი			კი				კი	
ბულგარეთი	კი	კი			კი			კი				კი				კი				კი				კი	კი	
ჩეხეთი					კი	კი					კი			კი					კი			კი		
ესტონეთი	..		კი			კი				კი				კი			კი					კი				კი
ლატვია	..			კი		კი			კი				კი			კი					კი	კი				კი
ლიტვა	..		კი				კი				კი			კი					კი				კი			
მაკედონია			კი				კი				კი			კი	კი	კი			კი			კი		კი
გერმანია	..	კი	კი	კი	კი				კი			კი				კი				კიX2	კი				კი	
პოლონეთი	კი	კი		კი				კი				კი				კი		კი				კი				კი
რუმინეთი	კი	კი					კი				კი				კი				კი				კი			
რუსეთი	..	კი	კი	კი	კი				კი				კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
საქართველო	..	კი	კი			კი				კი				კი						კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
სერბია		კი	კი				კი		კი	
სლოვაკეთი		კი				კი				კი				კი					კი	კი			
სლოვენია	..		კი				კი				კი				კი				კი			კი				კი
უკრაინა	..	კი	კი	კი	კი				კი				კი				კი	კი					კი		კი	
უნგრეთი	კი				კი				კი				კი				კი						კი			კი
ხორვატია	..		კი			კი		კი			კი			კი			კი					კი				კი

შენიშვნა: მწვანე ველი დემოკრატიულ, ხოლო წითელი არადემოკრატიულ პერიოდს ასახავს; „კი“ მოცემულ წელს ჩატარებულ არჩევნებზე მიანიშნებს.

დარჩენილი 18 ქვეყნიდან ათი პრეზიდენტს პირდაპირი არჩევნების წესით შეარჩევს: ბულგარეთი, ლიტვა, პოლონეთი, საქართველო, რუსეთი, რუმინეთი, სერბია, სლოვენია, უკრაინა, ხორვატია. 3 ქვეყანას არასოდეს არ აურჩევია პრეზიდენტი საყოველთაო არჩევნების გზით: ალბანეთი, ლატვია, უნგრეთი. 4 ქვეყანაში კი პრეზიდენტის არჩევნის წესი ბოლო 25 წლის განმავლობაში იცვლებოდა: ჩეხეთში პირველი საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წელს ჩატარდა, ესტონეთში მხოლოდ 1992 წელს, მოლდოვაში მხოლოდ 1996 წელს, და სლოვენიაში 1999 წლის შემდეგ პრეზიდენტის არჩევა ხალხის მიერ ხდება.

პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა გარკვეულ მოლოდინებს ქმნის ამ მოცემულ პოლიტიკურ სისტემაში ამ თანამდებობის შესაძლო გავლენის განსაზღვრისთვის, ვინაიდან როგორც წესი ასეთი მაღალი ნდობის მანდატი უზრუნველყოფს პრეზიდენტის უფრო მეტ უფლებამოსილებას ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა იგი საკანონმდებლო ორგანოს მიერ აირჩევა. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნები ამ პოსტთან დაკავშირებული ძალაუფლების განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ინდიკატორად ჩავთვალებთ. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ ეს ფაქტორი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის ძალაუფლება ავტომატურად უფრო ფართოდ ჩაითვალოს ვიდრე საკანონმდებლო ორგანოს მიერ არჩეული პრეზიდენტისა. ამის მაგალითად, ჩეხეთი გამოგვადგება სადაც პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის დანერგვა განპირობებული იყო არა ამ ოფისის უფლებამოსილების დიაპაზონის გაფართოებით, არამედ საკანონმდებლო ორგანოში არსებული ფრაგმენტაციით, რამაც გაართულა პრეზიდენტის არჩევა 2008 წელს და საზოგადოებაში უნდობლობა შექმნა ამ პროცესთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მართალია, პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა ძირითად შემთხვევაში მიგვანიშნებს ამ ოფისის შედარებით მეტ უფლებამოსილებასთან, მაინც აუცილებელი იქნება თითოეულ შემთხვევის კონკრეტული გაანალიზება.

ჩვენი ჰიპოთეზისთვის საკონსტიტუციო მოწყობას მაინც დამხმარე და დამაზუსტებელი ფუნქცია აქვს -- ცენტრალური მნიშვნელობის მაინც მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების გავლენა ქვეყნის პარტიების სისტემის ჩამოყალიბებაზე. ამიტომაც კაზუსების შერჩევის შემდგომი ეტაპი სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით დაიგეგმა. გამომდინარე ჩვენი ამოცანიდან უკვე დემოკრატიულობის კრიტერიუმით გაცხრილულ მონაცემებში უნდა შეგვერჩია ერთი და იგივე

საარჩევნო სისტემის პირობებში ჩატარებული ზედიზედ მესამე და შემდეგი არჩევნები. პოტენციურად, ამ პრინციპის მიხედვით, ჩვენს მიერ განხილული 18 ქვეყნის მაგალითზე 70 არჩევნები შეირჩა (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3. იდენტური წესით ჩატარებული მესამე დემოკრატიული არჩევნები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში

ქვეყანა	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ალბანეთი			კი				კი	კი				კი				კი				კი				კი		
ბულგარეთი		კი			კი			კი				კი				კი				კი				კი	კი	
ნემეთი					კი		კი				კი			კი					კი			კი		
ესტონეთი	..		კი			კი				კი				კი				კი				კი				კი
ლატვია	..			კი		კი			კი				კი				კი				კი	კი			კი	
ლიტვა	..		კი				კი				კი				კი				კი				კი			
მაკედონია			კი				კი				კი				კი			კი			კი		კი	
მოლდოვა	..									კი						კი					კიX2	კი			კი	
პოლონეთი		კი		კი				კი				კი				კი			კი			კი				კი
რუმინეთი							კი				კი				კი				კი				კი			
რუსეთი	..			კი		კი				კი			კი													
საბარტეველი	..		კი			კი																				
სერბია	კი	კი				კი		კი
სლოვაკეთი		კი					კი				კი			კი					კი		კი		
სლოვენია	..		კი				კი				კი				კი				კი			კი				კი
უკრაინა	..				კი				კი				კი				კი	კი						კი		კი
უნგრეთი	კი				კი				კი				კი				კი				კი					კი
ხორვატია	..		კი			კი		კი			კი			კი				კი				კი				კი

შენიშვნა: მწვანე ველში მოცემულია უწყვეტი დემოკრატიული მმართველობის პერიოდში ჩატარებული მინიმუმ მესამე არჩევნები, ხოლო წითელი არადემოკრატიულ პერიოდს ასახავს

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ თუკი დუვერჟეს კანონის მინიმალისტურ შეზღუდვას გამოვიყენებთ და მესამე არჩევნების ჩათვლით ვივარაუდებთ საარჩევნო სისტემის ეფექტების გამოვლენას პარტიების რაოდენობაზე ჩვენს კრიტერიუმებს მხოლოდ 70 მათგანი აკმაყოფილებს. მართალია, ამ კრიტერიუმის მიხედვით უფრო მეტი -- 76 -- არჩევნები ჩატარდა, მაგრამ 6 გამოირიცხა იმის გამო, რომ თითოეული მათგანი უახლოესი არჩევნებიდან 2 წელზე ნაკლებ ვადაში ჩატარდა, რაც ჩვენს მიერ ადრე განხილული 69

მოსაზრების თანახმად არასაკმარისი დროა ამომრჩევლისა და პარტიების რეკოზიციონირებისათვის და აქედან გამომდინარე, ვერ ჩაითვლება პარტიების რაოდენობაზე ზეგავლენის მომხდენ გარემოებად.

კვლევის შემდეგ ეტაპზე მოხდა შერჩეული 70 კაზუსის გამოცხრილვა უკვე საარჩევნო სისტემის მდგრადობის მიხედვით. კვლევის კითხვიდან გამომდინარე, თუკი ქვეყანაში არჩევნები სხვადასხვა სისტემით ტარდება, ბუნებრივია, საარჩევნო სისტემის გავლენა პოლიტიკურ პარტიებზე ვერც დაფიქსირდება. აღმოჩნდა, რომ დუვერჟეს მინიმალურ კრიტერიუმს ჩვენს მიერ შერჩეული 70 შემთხვევიდან მხოლოდ 60 შეიძლება აკმაყოფილებდეს. ალბანეთის შემთხვევაში, 4 არჩევნიდან გამოირიცხა ბოლო ორი არჩევნი, რომელიც ახალი, პროპორციული სისტემით ჩატარდა. ალბანეთის საკანონმდებლო ორგანო პერიოდის დასაწყისში მეტწილად მაჟორიტარული სისტემით აირჩეოდა და 2009, 2013 წლის არჩევნებამდე პროპორციული სით არჩეული დეპუტატების რიცხვი საერთო რაოდენობის 30%-ს არასოდეს არ აღემატებოდა. 2009 წლის არჩევნიდან მოყოლებული კი საკანონმდებლო ორგანოს 140 დეპუტატი რეგიონულ-პროპორციული სისტემით აირჩევა და აქედან გამომდინარე, ბოლო ორმა არჩევნებმა კვლევის კრიტერიუმი ვერ დააკმაყოფილა. მაკედონიის შემთხვევაშიც 5 არჩევნიდან მხოლოდ 3-ს გამოყენება გახდა შესაძლებელი, ვინაიდან ათვლა 2002 წლიდან დავიწყეთ, როცა მაჟორიტარული კომპონენტი საერთოდ გაუქმდა, მანამდე 1994 და 1998 წლებშიარჩევნების სწორედ ეს ფორმა დომინირებდა. რუმინეთის შემთხვევაში ზედიზედ სამი უცვლელი ტიპის დემოკრატიული არჩევნების კრიტერიუმი მხოლოდ 2004 წლის პროპორციულმა არჩევნებმა დააკმაყოფილა შემდეგი ორი არჩევნი კი შერეული სისტემით ჩატარდა, სადაც მაჟორიტარული კომპონენტიც არის წარმოდგენილი. უკრაინაში 4 შესაძლო კაზუსიდან მხოლოდ ორი 2002 წლისა და 2014 წლის არჩევნების შეტანა მოხერხდა. პირველი შემთხვევა, პარალელური სისტემით 70

განხორციელებული მესამე არჩევნები, ხოლო მეორე შემთხვევა კი წმინდა პროპორციული ტიპის მესამე არჩევნები იყო. ხორვატიაში ჩატარებული 5 არჩევნებიდან მხოლოდ 3 გათვალისწინება მოხერხდა, როდესაც პირველი ორი არჩევნებისგან განსხვავებით სისტემა მთლიანად პროპორციულ წესზე გადავიდა. ამ გარემოებებიდან გამომდინარე შედეგები ჩანს ქვემოთ წაროდგენილ ცხრილში.

ცხრილი 4. პროპორციული და მაჟორიტარული/ შერეული არჩევნები

აღმოსავლეთ ევროპაში

ქვეყანა	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ალბანეთი					არა				არა										
ბულგარეთი	კი				კი				კი				კი					კი	
ჩხეეთი						კი				კი				კი			კი		
ესტონეთი			კი				კი				კი				კი				კი
ლატვია		კი				კი				კი					კი			კი	
ლიტვა				არა				არა				არა				არა			
მაკედონია												კი			კი			კი	კი
მოლდოვა									კი					კი				კი	
პოლონეთი	კი				კი				კი		კი				კი				კი
რუმინეთი								კი											
რუსეთი			არა				არა												
სამართყველო			არა																
სერბია																			კი
სლოვაკეთი						კი				კი				კი		კი			
სლოვენია				კი				კი				კი			კი			კი	
უკრაინა						არა													კი
უნგრეთი						არა				არა				არა					არა
სერბია											კი				კი				კი

შენიშვნა: მწვანე ველში მოცემულია პროპორციული წესით ჩატარებული მინიმუმ მესამე არჩევნები, ყვითელი კი პარალელურ საარჩევნო სისტემას გამოხატავს, წითელი კვლავ არადემოკრატიულ პერიოდს ასახავს

კვლევის გეგმის შესაბამისად, შემდეგ ეტაპზე დათვლილ იქნა რეალური გავლენის მქონე პარტიების რაოდენობა ლააკსოსა და ტააგეპერას ეფექტიანი პარტიების რაოდენობის (ENP) ინდექსის მიხედვით (Laakso & Taagepera, 1979). ამ ინდექსის მიხედვით ანგარიშგასაწევი პარტიების

რაოდენობა შემდეგი ფორმულით დაითვლება: $ENP = \frac{1}{\sum_{i=1}^n S_i^2}$, სადაც

n არის პარტიებს ოდენობა, რომელთაც ერთი ხმა მაინც აქვთ მოპოვებული, ხოლო S_i^2 არის თითოეული პარტიის მიერ მოპოვებული ხმების/ადგილების წილის კვადრატი. არჩევნების შესახებ მონაცემები, ძირითადად, საერთაშორისო ორგანიზაციის --*პარლამენტთაშორისი კავშირი* -- (Inter-Parliamentary Union) ვებგვერდიდან მოვიპოვეთ, ეს ორგანიზაცია 1889 წელს დაარსდა და მასში სუვერენული სახელმწიფოების საკანონმდებლო ორგანოები არიან გაწევრიანებული, აქედან გამომდინარე მათი მონაცემები, როგორც წესი, სანდოობის მაღალი დონით სარგებლობს და ხშირად გამოიყენება მსგავსი დანიშნულების მქონე აკადემიურ ნაშრომებში.

ENP ინდექსისა და საარჩევნო შედეგების მონაცემების გამოყენებით გამოვთვალეთ ანგარიშგასაწევი პარტიების რაოდენობა ჩვენთვის საინტერესო 60 შემთხვევისთვის. ასე მაგალითად, საქართველოს პარლამენტის 1999 წლის არჩევნებში მონაწილეობა 45-მა პარტიამ და კოალიციამ მიიღო (ცესკო, 2010). საკანონმდებლო ორგანოში დასაკავებელი 223 ადგილი (სულ ადგილების რაოდენობა 235 შეადგენდა, მაგრამ 12 მანდატი არჩევნების გარეშე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობამ მიიღო) პარტიებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. ცხრილი 5). ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ 235 ადგილიდან მხოლოდ 223 ადგილის მოსაპოვებლად შეიძლებოდა ბრძოლა. ამ დროს აუცილებელია სწორად შეირჩეს საერთო რაოდენობა, საიდანაც შესაძლებელი იქნება ინდექსის გამოთვლა. ამ და მსგავს შემთხვევებში ორი არჩევანია დათვლა მოხდეს 223 ადგილიდან ან 235 ადგილიდან. განხილული 60 შემთხვევიდან მსგავსი გარემოება რამდენიმე მათგანში დაფიქსირდა, ყველა შემთხვევაში გადავწყვიტეთ მხედველობაში მიგვეღო საკანონმდებლო ორგანოს

წევრების საერთო რაოდენობა და არა ასარჩევად არსებული რაოდენობა. ეს გადაწყვეტილება განპირობებული იყო შემდეგი არგუმენტით -- პარტიები და ამომრჩევლის გარკვეული რაოდენობა მაინც ითვალისწინებს საკანონმდებლო ორგანოში არსებული ადგილების საერთო რაოდენობას უმრავლესობის მოსაპოვებლად და სწორედ აქედან გეგმავს საარჩევნო სტრატეგიას და არჩევანს.

ცხრილი 5. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში

პარტია/ბლოკი	პროპორციული	მაჟორიტარული	სულ
მოქალაქეთა კავშირი	85	46	131
საქართველოს აღორძინება	51	7	58
მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	14	1	15
ლეიბორისტული პარტია	0	2	2
დამოუკიდებელი კანდიდატი	0	17	17
სულ აღზიდვის რაოდენობა	150	73	223

ENP ინდექსის დასათვლელად პარტიების მიერ მიღებული ადგილების საერთო რაოდენობა გვჭირდება, რაც შეეხება დამოუკიდებელ კანდიდატებს მათი განხილვა მხოლოდ ცალ-ცალკე შეიძლება (ანუ არ შეიძლება 17 კანდიდატის ერთიანობაში განხილვა, ვინაიდან ეს შექმნის ილუზიას რომ საქმე გვაქვს პარტიასთან/ბლოკთან, რომელმაც 17 კანდიდატი გაიყვანა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება). ასევე შესაძლებელია დამოუკიდებელი კანდიდატების საერთოდ გამორიცხვაც, რადგან საბოლოო ინდექსზე მათი გავლენა ძალზე მცირეა ფორმულის ხასიათიდან გამომდინარე, რაც ამ მაგალითის განხილვისას კარგად გამოჩნდება. შესაბამისად, მსგავს შემთხვევებშიც არ გავითვალისწინეთ დამოუკიდებელი კანდიდატების ეფექტი.

შემდეგ ცხრილში კარგად ჩანს ფორმულის გამოთვლის პროცესი საქართველოს მაგალითზე (იხ. ცხრილი 6)

ცხრილი 6. ENP საქართველოს 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების მაგალითზე

პარტია/ბლოკი	მანდატების რაოდენობა	S_i	S_i^2	ENP
მოქალაქეთა კავშირი	131	0.557	0.311	2.66
საქართველოს აღორძინება	58	0.247	0.061	
მრავალფეროვანი გადაარჩენს საქართველოს	15	0.064	0.004	
ლეიბორისტული პარტია	2	0.009	0.000	
დამოუკიდებელი კანდიდატი	17	0.000	0.000	
სულ/Σ	235		0.376	

წყარო: ცესკო

მესამე სვეტში მოცემულია პარტიის მიერ მოპოვებული მანდატების ხვედრითი წილი საერთო რაოდენობასთან, მეოთხეში კი ეს რიცხვი აყვანილია კვადრატში ფორმულის შესაბამისად. ამ სვეტის ბოლო გრაფაში კი ეს რაოდენობებია დაჯამებული. ბოლო სვეტში კი უკვე ინდექსის მნიშვნელობაა გამოთვლილი ფორმულის შესაბამისად $ENP = \frac{1}{\sum_{i=1}^n S_i^2} =$

$\frac{1}{0.376} = 2.66$. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების მაგალითზე ეფექტიანი პარტიების რაოდენობა 2.66 შეადგენდა. ამ მონაცემის გამოთვლისას გათვალისწინებული არ იქნა 17 დამოუკიდებელი დეპუტატის ხვედრითი წილი, თუმცა როგორც შემდეგ ცხრილში ჩანს მათი გავლენა მინიმალურია და ამ შემთხვევაში პროცენტის 3 მეასედს არ აღემატება (იხ. ცხრილი 7)

ცხრილი 7. ENP საქართველოს 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების მაგალითზე დამოუკიდებელი დეპუტატების ჩათვლით

პარტია/ბლოკი	მანდატების რაოდენობა	S_i	S_i^2	ENP
მოქალაქეთა კავშირი	131	0.557	0.3107	2.66
საქართველოს აღორძინება	58	0.247	0.0609	
მრეწველობა გალანარჩენს საქართველოს	15	0.064	0.0041	
ლეიბორისტული პარტია	2	0.009	0.0001	
დამოუკიდებელი კანდიდატი	17	0.004	0.0003	
სულ/Σ	235		0.376	

ამავე ფორმით გამოითვალა პარტიების რაოდენობა დანარჩენ 59 შემთხვევაში. მიღებული მონაცემები ცხრილში საარჩევნო სისტემების მიხედვით დაჯგუფდა (იხ. ცხრილი 8). ამ მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ინდექსი პროპორციული და პარალელური საარჩევნო სისტემის ქვეყნებისთვის 11%-ით განსხვავდება და როგორც მოსალოდნელი იყო შერეული სისტემის შემთხვევაში პარტიების რაოდენობა უფრო ნაკლებია. პარალელური/შერეული სისტემის შემთხვევაში პარტიების რაოდენობა საშუალოდ 4.37-ს შეადგენს, ხოლო პროპორციული სისტემის დროს ეს რაოდენობა 4.85-ს აღწევს. ეს განსხვავება შთამბეჭდავი ნამდვილად არაა, მაგრამ ეს განპირობებულია რამდენიმე განყენებული შემთხვევით. ასე მაგალითად, რუსეთის დუმის 1999 წლის დეკემბრის არჩევნების შედეგად პარტიების რიცხვი 8.4 ნიშნულზე დაფიქსირდა, რაც პროპორციული სისტემისთვისაც კი ძალზე მაღალი ციფრია, რომ არაფერი ვთქვათ არჩევნების შერეულ წესზე, რომლის მიხედვითაც ჩატარდა ეს არჩევნები. ეფექტიანი პარტიების ასეთი მაღალი რიცხვი სეიძლება აიხსნას კონკრეტული პოლიტიკური კონტექსტით, კერძოდ, ამ დროს რუსეთი

პოლიტიკური ხელისუფლების გადაცემის ფაზაშია და პრეზიდენტმა ელცინმა არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე ხელისუფლება პრემიერ-მინისტრს ვლადიმერ პუტინს გადააბარა. ამ უკანასკნელმა მხარი რეგიონების პარტიას „ერთობა“ დაუჭირა მხარი. ამან კი სამთავრობო ძალების დაქსაქსვა გამოიწვია ვინაიდან ამ მომენტამდე ასეთ ძალად ბლოკი „მამული -- სრულიად რუსეთი“ (Отечество – Вся Россия) ითვლებოდა. შემდეგში სწორედ ამ ორი ორგანიზაციის გაერთიანებით შეიქმნა პარტია „ერთიანი რუსეთი“, რომელიც უკვე 10 წელიწადზე მეტია სამთავრობო პარტიას წარმოადგენს. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად შეცვალა საარჩევნო დინამიკა და მოსალოდნელისგან მკვეთრად განსხვავებული შედეგი მოგვცა. მართლაც, თუკი საშუალო მაჩვენებლის ნაცვლად შერეული და პროპორციული საარჩევნო სისტემების შედარებისას შუალედურ შემთხვევას გამოვიყენებთ ვნახავთ, რომ განსხვავება პოლიტიკური პარტიების რაოდენობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ხდება. შერეული არჩევნებისას შუალედურ შემთხვევაში პარტიების რაოდენობა 3.61-ს, ხოლო პროპორციული არჩევნებისას 4.82-ს შეადგენს. შესაბამისად, პროპორციული საარჩევნო სისტემა გავლენიანი პოლიტიკური პარტიების რიცხვს 34% ზრდის.

დუვერჟეს მიერ შემოთავაზებული ფორმულირებით საარჩევნო სისტემის ეფექტის გამოსავლენად 3-4 არჩევნების ჩატარებაა აუცილებელი. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ინდექსი 4 არჩევნების გათვალისწინებითაც დაგვეთვალა (Duverger, 1972). უფრო მეტიც, შესაძლოა ეს უფრო გამართლებული მიდგომა იყოს თუკი გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს მიერ განხილულ პარალელურ საარჩევნო სისტემებში, სადაც მაჟორიტარული წესით დეპუტატების საერთო რაოდენობის მხოლოდ ნახევარი ან უფრო ნაკლები აირჩევა, ამომრჩევლისა და პარტიების მიერ დაკარგული ხმების პრობლემის ადეკვატურ აღქმას და ამ გარემოების გათვალისწინებას მათ სტრატეგიულ ქცევაში მეტი დრო უნდა დასჭირდეს.

ცხრილი 8. ENP აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში 1997-2015 წწ.

ქვეყანა	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
საქართველო			2.66																
უნგრეთი						2.84				2.7				2.86				2.01	
ალბანეთი					2.6				3.55										
ლიტვა				6.37				5.47				5.79				5.33			
რუსეთი			8.38				3.66												
უკრაინა						6.99													
უკრაინა																		5.16	
ჩეხეთი						4.83				3.91				6.76			5.62		
ბულგარეთი	3				3.95				5.8				4.41					5.78	
მოლდოვა									2.31					3.23				4.8	
ხორვატია										4.09					4.33				3.23
ლატვია		6.95				6.78				7.5				5.15				5.68	
ესტონეთი			6.89				5.42				5.02				4.78				4.72
მაკედონია												3.15			3.6			3.67	
პოლონეთი	4.59				4.5				5.86		3.32				3.74				2.75
რუმინეთი								3.94											
სლოვაკეთი						8.88				6.11				5.54		4.36			
სლოვენია				5.16				5.97				4.94			5.54			5.33	
სერბია																		2.26	

წყარო: InterParliamentary Union -- IPU

ზედიზედ 4 არჩევნების პირობის დაკმაყოფილებამ, განხილული მაგალითების რაოდენობის 41-მდე შემცირება გამოიწვია და ქვეყნების სიას საქართველო, უკრაინა, სერბია და რუმინეთი გამოაკლდა. 33 არჩევნები პროპორციული, ხოლო 8 პარალელური საარჩევნო სისტემით ჩატარდა. შემდეგ ცხრილში მოცემულია მონაცემები უკვე მხოლოდ მე-4 დემოკრატიული არჩევნებიდან (იხ. ცხრილი 9). მონაცემების დამუშავების შედეგად გამოჩნდა, რომ პროპორციული სისტემის არსებობის შემთხვევაში პარტიების რაოდენობა 25%-ით მეტია. ამასთანავე, პირველ შემთხვევასთან შედარებით, როცა პარტიების რაოდენობა მხოლოდ ზედიზედ 3 დემოკრატიული არჩევნების შემდეგ გავზომეთ, პარტიების რაოდენობა პროპორციული სისტემის შემთხვევაში გაიზარდა და 4.91 შეადგინა, ხოლო შერეული სისტემის შემთხვევაში კი 3.91-მდე შემცირდა, რაც მოსალოდნელი იყო ჩვენი მოდელის მიხედვით. ამ ორი საარჩევნო სისტემის განსხვავებული შედეგები ამ შემთხვევაშიც უფრო თვალსაჩინო ხდება, თუკი საშუალოს დადგენის ნაცვლად შუალედურ შემთხვევებს შევადარებთ. პარალელური სისტემის შემთხვევაში პარტიების რაოდენობა 3.61-ს, ხოლო პროპორციული სისტემისას კი 4.94-ს შეადგენს. შესაბამისად, პროპორციული სისტემის შემთხვევაში პარტიების რაოდენობა 37%-ით მეტია.

მიგვაჩნია, რომ ეს შედეგები ნათლად მიუთითებს, რომ საარჩევნო სისტემის გავლენა ეფექტური პარტიების რაოდენობაზე საკმაოდ მნიშვნელოვანია; უდაოა, რომ თანხვედრა არსებობს, თუმცა მიზეზ-შედეგობრივი კვლევისთვის შესაძლოა მეტი ანალიზი იყოს საჭირო. მიუხედავად ამისა, კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ყველა საფუძველი არსებობს ვივარაუდოთ მნიშვნელოვანი კავშირი საარჩევნო სისტემასა და პარტიების რაოდენობას შორის. დუვერჟეს მოდელის თანახმად, მაჟორიტარული არჩევნები ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, ხოლო პროპორციული ტიპის არჩევნები კი ორზე მეტი პარტიის

ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. ამ მოსაზრების საფუძველზე ვივარაუდეთ, რომ ასეთივე ტენდენცია უნდა დადგენილიყო შერეული და პროპორციული საარჩევნო სისტემების შედარებისას. ამგვარი ურთიერთმიმართების აღმოჩენა კი კიდევ უფრო გააძლიერებდა დუვერჟეს *კანონისა* და *ჰიპოთეზის* დამაჯერებლობას. ამ კავშირის არსებობაზე განსაკუთრებით მეტყველებს ის, რომ ჩვენი ჰიპოთეზა დადასტურდა ისეთ შემთხვევაშიც, როცა მაჟორიტარული არჩევნების სისტემა არჩევნების მხოლოდ ერთ კომპონენტს შეადგენდა. ეს კონკრეტული კუთხით, უდაოდ უფრო შორს მიმავალი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა ვიდრე თავად დუვერჟეს კანონია. კონკრეტულად კი, დუვერჟე მიიჩნევდა, რომ მხოლოდ უბრალო უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა იწვევს პარტიების ორამდე შემცირებას (ე.წ. *დუვერჟეს კანონი*), ხოლო კვალიფიციური უმრავლესობისა და პროპორციული სისტემები მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს (ე.წ. *დუვერჟეს ჰიპოთეზა*). ჩვენს შემთხვევაში კი, მიუხედავად იმისა, რომ ამავე ლოგიკის გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო მაჟორიტარული ტენდენციების სრული ნიველირება პარალელურ სისტემებში, მონაცემებმა საპირისპირო აჩვენა -- მაჟორიტარული კომპონენტის თუნდაც ნაწილობრივი არსებობა საარჩევნო სისტემაში ამცირებს ეფექტიანი პარტიების რაოდენობას. ეს ბუნებრივია, ზოგადად, აძლიერებს არგუმენტს საარჩევნო სისტემების გავლენის შესახებ პოლიტიკური სისტემის ფორმირებაზე, კონკრეტულად კი მიუთითებს, რომ ეფექტები ვლინდება არამარტო წმინდა პროპორციული ან მაჟორიტარული სისტემების არსებობისას, არამედ პარალელური სისტემის შემთხვევაშიც. შესაბამისად, მყარდება არგუმენტი, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საარჩევნო სისტემის ხასიათს ქვეყანაში დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის ხასიათის ჩამოყალიბებაზე.

ცხრილი 9. ENP აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ზედიზედ 4 არჩევნებისას 2001-2015 წწ.

ქვეყანა	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
უნგრეთი						2.7				2.86				2.01	
ალბანეთი					3.55										
ლიტვა				5.47				5.79				5.33			
რუსეთი			3.66												
ჩეხეთი						3.91				6.76			5.62		
ბულგარეთი	3.95				5.8				4.41					5.78	
მოლდოვა										3.23				4.8	
ხორვატია											4.33				3.23
ლატვია		6.78				7.5					5.15			5.68	
ესტონეთი			5.42				5.02				4.78				4.72
მაკედონია											3.6			3.67	
პოლონეთი	4.5				5.86		3.32				3.74				2.75
სლოვაკეთი						6.11				5.54		4.36			
სლოვენია				5.97				4.94			5.54			5.33	

წყარო: IPU

მნიშვნელოვანია, განვიხილოთ აქვს თუ არა ქვეყნის კონსტიტუციურ მოწყობას გავლენა მიღებულ შედეგებზე. უკვე აღვნიშნეთ, რომ საპრეზიდენტო მმართველობას გააჩნია მაჟორიტარული ტენდენციების გაძლიერების თავისებურება. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ ქვეყნებში სადაც პრეზიდენტი საყოველთაო არჩევნების წესით აირჩევა მაჟორიტარული ტენდენციები უნდა გაძლიერედეს და შესაბამისად შემცირდეს პოლიტიკური პარტიების რაოდენობა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა ჩვენს მიერ განხილული ქვეყნების უმრავლესობაში არ ნიშნავს ძლიერი საპრეზიდენტო რესპუბლიკის არსებობას. უფრო მეტიც, ხშირად ასეთი წესით არჩეული პრეზიდენტის უფლებები საკმაოდ შეზღუდულია და ძნელია არამცთუ საპრეზიდენტო მმართველობის არამედ შერეული ტიპის სისტემის არსებობის დადასტურებაც. ამის ნათელ მაგალითს თანამედროვე საქართველო წარმოადგენს. ამ კონტექსტის გათვალისწინებით შესაძლებელია განხილულმა მონაცემებმა არ გვიჩვენონ მოსალოდნელი ტენდენცია, ვინაიდან თუკი საპრეზიდენტო არჩევნებს ქვეყნის მართვის თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, როგორც პოლიტიკური პარტიები ასევე ამომრჩეველი არ მოახდენს სტრატეგიის შესაბამის მოდიფიცირებას. მეორეს მხრივ, თუკი მიუხედავად ზემოთხსენებული თეორიული არგუმენტისა გამოჩნდება, რომ პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევნების გავლენა პოლიტიკური პარტიების რაოდენობაზე ჩვენს მიერ განხილულ მოდელთან თანხვედრაშია, შევძლებთ კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობით ვისაუბროთ საპრეზიდენტო არჩევნების გავლენაზე. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში პრეზიდენტი, ჩვენს მიერ განხილული 18 ქვეყნიდან ათში აირჩეოდა პირდაპირი წესით. მოდელმა უნდა გვიჩვენოს, რომ ამ ქვეყნებში მრავალპარტიულობის კოეფიციენტი შემცირებულია, ვიდრე დანარჩენ 8 ქვეყანაში. მონაცემების ანალიზიდან

ჩანს, რომ ამ ცვლადის დამოუკიდებელი გავლენა ძალზე მცირეა. ასე მაგალითად, 3 არჩევნების შემთხვევაში განხილული 60 შემთხვევიდან ზუსტად ნახევარი სწორედ ისეთ სისტემას მიეკუთვნება სადაც პრეზიდენტი პირდაპირი წესით აირჩევა. მონაცემები გვიჩვენებს, რომ ამ ჯგუფში პოლიტიკური პარტიების რაოდენობა 4.5-ს შეადგენს, ხოლო შემთხვევების მეორე ჯგუფში სადაც პრეზიდენტს საკანონმდებლო ორგანო ირჩევს პარტიების რაოდენობა 4.6-ია. შესაბამისად, ტენდენცია უმნიშვნელოა, მოდელის საპირისპირო მიმართულებით. 4 არჩევნების შემთხვევაში განხილული 41 კაზუსიდან პრეზიდენტი პირდაპირი წესით მხოლოდ 15 შემთხვევაში აირჩეოდა. მონაცემების ანალიზი იდენტურ სურათს გვაძლევს: პირველ ჯგუფში, სადაც პრეზიდენტი საყოველთაო წესით აირჩევა პარტიების საშუალო რაოდენობა 4.6-ია, ხოლო მეორე ჯგუფში 4.5. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყნის კონსტიტუციურ მოწყობას პარტიების სისტემის ჩამოყალიბების პროცესზე დამოუკიდებელი გავლენა არ აქვს.

მეორეს მხრივ, საინტერესოა დავადგინოთ აქვს თუ არა საპრეზიდენტო მმართველობას საარჩევნო სისტემის მაჟორიტარული სისტემის ტენდენციების გამაძლიერებელი ზეგავლენა. ამ მიმართებით, ერთმანეთს შევადარეთ პროპორციული საარჩევნო სისტემები შერჩეულ შემთხვევებში. ზედიზედ 3 დემოკრატიული არჩევნებიდან პროპორციული სისტემით 46 ჩატარდა, მათგან 24-ში პრეზიდენტი არაპირდაპირი წესით, ხოლო 22 შემთხვევაში საყოველთაო ხმის მიცემის გზით აირჩეოდა. პირველ ჯგუფში პოლიტიკური პარტიების საშუალო რაოდენობამ 5.2 შეადგინა, ხოლო მეორე ჯგუფში კი 4.4. 4 არჩევნების შემთხვევაში კი განსახილველი კაზუსების რიცხვი 33-ს შეადგენს, მათ შორის 15-ში პრეზიდენტი პირდაპირი წესით, ხოლო 18-ში საკანონმდებლო ორგანოს მიერ აირჩევა. პირველ ჯგუფში პოლიტიკური პარტიების რიცხვმა 4.6 შეადგინა, მეორეში კი 5.2. სხვა სიტყვებით, მმართველობის

კონსტიტუციურ მოწყობას ზეგავლენა პარტიების რაოდენობის შემცირებაზე ორივე ჯგუფში დადასტურდა და გამოვლინდა, რომ დამოუკიდებელი საპრეზიდენტო ინსტიტუტის არსებობა პარტიების რიცხვს 12-15% ამცირებს.

შესაბამისად, ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ საარჩევნო სისტემის ხასიათი და ქვეყნის მმართველობის კონსტიტუციური მოწყობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყანაში პოლიტიკური პარტიების რაოდენობაზე. ჩვენი მოლოდინის შესაბამისად პროპორციული საარჩევნო სისტემა ზრდის პარტიების რაოდენობას შერეულ საარჩევნო სისტემასთან შედარებით. ასევე პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა უარყოფითად მოქმედებს პარტიების რაოდენობის ზრდაზე. აღმოჩენილი თანხვედრა საარჩევნო სისტემასა და პარტიების რაოდენობაზე საკმაოდ შთამბეჭდავია და 25%-დან 37%-მდე მერყეობს. ამ მონაცემების მიხედვით, პროპორციული საარჩევნო სისტემა პარტიების რაოდენობას 25%-დან 37%-მდე ზრდის. შემდეგ თავში განვიხილავთ ალტერნატიული თეორიებსა და მოსაზრებებს, რომლებიც არ იზიარებენ საარჩევნო სისტემისა და პარტიების რაოდენობის ურთიერთკავშირის ჩვენს მიერ განხილულ მოდელს.

ალტერნატიული მიდგომა

ნაშრომის დასაწყისში აღინიშნა, რომ დუვერჟესა და მისი იდეების მხარდამჭერთა საპირისპიროდ რამდენიმე ალტერნატიული მიდგომა ჩამოყალიბდა. ზოგი მათგანი საერთოდ უარყოფს შესაძლებლობას შევისწავლოთ ამომრჩევლისა და პოლიტიკური სისტემის ურთიერთქმედება სტანდარტული რაციონალური არჩევანის თეორიის გამოყენებით. მეცნიერთა ეს ჯგუფი კონდორსეს პარადოქსზე დაყრდნობით

შექმნილი მოდელების საფუძველზე ამტკიცებს, რომ შეუძლებელია ინდივიდის პრეფერენციების შინაარსობრივი გავრცელება ჯგუფის პრეფერენციებზე და შესაბამისად შეუძლებელი ხდება ჯგუფის ქცევის რაციონალური ახსნა. ამ მიდგომის გათვალისწინებით, აზრი ეკარგება საარჩევნო სისტემის გავლენაზე მსჯელობას ვინაიდან ძნელია აიხსნას რა პრინციპებზე დაყრდნობით აკეთებს საკუთარ არჩევანს არა ცალკეული ამომრჩეველი, არამედ ამომრჩეველთა ჯგუფი. მეორე ალტერნატიული მიდგომა აერთიანებს იმ მკვლევარებს, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს ჩვენს მიერ-განხილული ცვლადების ურთიერთმიმართებას და ამტკიცებს, რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი შებრუნებულია ან ცვლადები ენდოგენურია და მათი ურთიერთგავლენა არ იძლევა საშუალებას დავადგინოთ მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მიმართულება.

პირველი ტიპის კრიტიკის განხილვა სცილდება მოცემული ნაშრომის ფორმატსა და ფოკუსს. აქ დავესესხებით, რაიკერს, რომელიც სამართლიანად აღნიშნავს, რომ კონდორსეს პარადოქსის, აროუსა და მის თეორემების სრული გავრცელება პოლიტიკური პროცესებზე მნიშვნელოვნად შეზღუდავდა ზოგადად სოციალური მეცნიერებების და მათ შორის, პოლიტიკის შესწავლის არეალსა და შესაძლებლობებს (Riker, 2003). ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ყურადღებას დავუთმობთ იმ თეორიებსა და შეხედულებებს, რომლებიც ეჭვქვეშ არ აყენებენ პოლიტიკის მეცნიერული შესწავლის შესაძლებლობებს, თუმცა განსხვავებული აზრი გააჩნიათ კონკრეტული საკითხის გაანალიზების თვალსაზრისით.

მკვლევართა მნიშვნელოვანი ჯგუფი თვლის, რომ პოლიტიკური პარტიების რაოდენობა გამოხატავს საზოგადოებაში უკვე არსებულ დაყოფას და სწორედ აქედან გამომდინარეობს სხვადასხვა ქვეყანაში პარტიების განსხვავებული რაოდენობა. ამ მიდგომის მიხედვით, საარჩევნო სისტემის გავლენა პოლიტიკური პარტიების რიცხვზე მინიმალურია. ამ

მოდელის მხარდამჭერები ერთმანეთისგან განსხვავდებიან საკუთარი შეხედულებების კატეგორიულობის ხარისხით. შედარებით შერბილებული პოზიცია ხელაღებით არ უარყოფს საარჩევნო სისტემის გავლენას, მაგრამ მას მეორად მნიშვნელობას ანიჭებს. კიდევ ერთი ნაირსახეობა ამტკიცებს, რომ მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემას შეუძლია შეინარჩუნოს ორპარტიული სისტემა, მაგრამ ის მრავალპარტიულ სისტემას ორპარტიულ სისტემად ვერ გარდაქმნის. მკვლევართა სხვა ჯგუფის აზრით კი შესაძლოა სწორედ პარტიები ქმნიან ისეთ საარჩევნო სისტემას, რომელიც მათი პოზიციების გაძლიერებას უზრუნველყოფს. ასე მაგალითად, იქ სადაც ორპარტიული სისტემაა პარტიები მაჟორიტარულ სისტემას უჭერენ მხარს, ხოლო სადაც პოლიტიკური გარემო მრავალპარტიულია მთავარი პოლიტიკური აქტორები პროპორციული საარჩევნო სისტემის შენარჩუნებას უზრუნველყოფენ. ყველა ამ მიდგომას აერთიანებს თვალსაზრისი, რომ საარჩევნო სისტემის გავლენა პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებაზე შეზღუდულია და ამ მიმართებით მთავარ როლს საზოგადოებაში უკვე არსებული გამყოფი ხაზები არსებობენ. ასე მაგალითად, ალესინა ამტკიცებს, რომ აშშ-ში სოციალისტური პარტიის ჩამოყალიბებას ხელი შეუშალა მოსახლეობის დაბალმა სიმჭიდროვემ, რაც ამცირებდა რევოლუციის რისკებს. შესაბამისად პოლიტიკურმა ელიტამ საჭიროდ არ ჩათვალა უკვე არსებული მაჟორიტარული სისტემის პროპორციულად გარდაქმნა. ევროპაში მე-20 საუკუნის დასაწყისში განხორციელებული ამ ტიპის რეფორმები მიზნად სწორედ მუშათა გაერთიანებებისათვის ლეგიტიმური წარმომადგენლობის უზრუნველყოფას და მათ პოლიტიკურ სისტემაში ჩართვას ემსახურებოდა, რასაც ექსტრასისტემური ხასიათის გამოწვევები, მათ შორის, რევოლუცია უნდა გამოერიცხა (Alesina, Glaeser, & Sacerdote, 2001). ამავდროულად, აშშ-ს მოსახლეობის ერთგვაროვნება ევროპასთან შედარებით გამორიცხავდა ისტორიული მრავალპარტიული ან მრავალფრაქციული ინტერესების

არსებობას, რომლის გარდაქმნა შემდეგ უკვე პოლიტიკურ კულტურასა და პოლიტიკურ პარტიებში მოხდა (Almond, 1956).

უკვე აღვნიშნეთ, რომ მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც პარტიების სისტემის ჩამოყალიბების მთავარ ელემენტად საარჩევნო სისტემას არ მიიჩნევს, თვლის რომ საარჩევნო სისტემა შედეგია იმ პოლიტიკური, ეკონომიკური თუ საზოგადოებრივი მოცემულობისა, რომელიც სახელმწიფოში უკვე არსებობს. ზემოთ ვიხილეთ ამ ტიპის ორი არგუმენტი, ერთი დემოგრაფიული, ხოლო მეორე ისტორიულ-კულტურული შინაარსისა, რომლებიც ცდილობენ საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბებისა და პარტიების რაოდენობის ახსნას საზოგადოებაში უკვე არსებული გამყოფი ხაზების საშუალებით. ამ მიდგომების საფუძველია სახელმწიფოში უკვე არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული სხვაობები, რომლებიც გამოხატვას ჰპოვებენ, როგორც საარჩევნო სისტემაში, ასევე პარტიების რაოდენობაში. შევეცდებით, ჩვენს მიერ განხილული შემთხვევების საფუძველზე გავაანალიზოთ რამდენად თანხვდება ეს შეხედულება არსებულ რეალობას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ წინამდებარე კვლევის დიზაინი მიზნად ისახავდა სწორედ ასეთი შედარებითი ანალიზის უზრუნველყოფას. თითოეული ჩვენს მიერ განხილული ქვეყანა პოსტ-სოციალისტურ ქვეყანას წარმოადგენს, სადაც მინიმუმ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დამყარებულია ერთპარტიული დიქტატურა, პოლიტიკური საზოგადოება პრაქტიკულად არ არსებობს, ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფო წარმმართველ ძალას წარმოადგენს და პრაქტიკულად არ არსებობს კერძო საკუთრება, ხოლო სამოქალაქო საზოგადოება ძალზე სუსტია. პრაქტიკულად ყველა ქვეყანა პოსტ-ტოტალიტარული რეჟიმიდან იწყებს ტრანსფორმაციას დემოკრატიული ინსტიტუციების დანერგვით. სწორედ ტოტალიტარული და პოსტ-ტოტალიტარული რეჟიმები წარმოადგენენ

ავტორიტარიზმის ისეთ ფორმას, სადაც პლურალიზმი ყველაზე ნაკლებად არის წარმოდგენილი, როგორც პოლიტიკურ და ეკონომიკურ, ასევე საზოგადოებრივ სფეროებში. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ზოგი მკვლევარის მოსაზრებით შესაძლოა ჩავთვალოთ ავტორიტარულად სოციალისტურ პერიოდში პოლონეთია, სადაც კათოლიკური ეკლესიისა და შემდგომში უკვე სოლიდარობის მოძრაობის ჩამოყალიბებით გარკვეული სოციალური და პოლიტიკური პლურალიზმი შეინიშნება (Linz & Stepan, 1996). შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შესაძლო გამყოფი ხაზების უმრავლესობა ჩვენს მიერ განხილულ საზოგადოებებში პრაქტიკულად ერთნაირია. მეტი სიზუსტისთვის, პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი მოწყობა პოსტ-ტოტალიტარული ხასიათისაა და გამორიცხავს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ალტერნატივის არსებობას. ჰიპოთეტიური პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ალტერნატივა, თუკი ასეთი არსებობს არსებული სისტემის მიმართ წინააღმდეგობაა, რაც ვაცლავ ჰაველის მიხედვით „სიმართლეში ცხოვრებას“ მოიცავს (Havel, 1978). ამ თვალსაზრისის გათვალისწინებითაც კი კომუნისტური სისტემის დაშლის შემდეგ ჩვენს მიერ განხილულ ქვეყნებში მაქსიმუმ ორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალის ცენტრის არსებობსა შეიძლება ვივარაუდოთ, რომელიც ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურისა და ანტისისტემური ალტერნატივისგან შედგება. ჩვენს მიერ განხილული პერიოდი სწორედ სოციალისტური ბანაკის დაშლის მომენტიდან იწყება და აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ კონკრეტულ ეტაპზე განხილულ ქვეყნებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაყოფა ან არ არსებობს ან დუალისტური ხასიათისაა. ამ რეალობას კარგად გამოხატავს პოლონეთში დემოკრატიული ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ინდუსტრიის მინისტრის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის განცხადება: „მე წარმოვადგენ იმ ფენას, რომელიც ჯერ არსებობსო“ (Linz & Stepan, 1996. 249). შესაბამისად, თუკი ჩვენს მიერ

განხილულ სახელმწიფოებში მსგავსი პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი წანამდვრები არსებობს და არსებული გამყოფი ხაზები პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს შეგვიძლია რამდენიმე ვარაუდი გამოვთქვათ. ერთი, ყველა ჩვენს მიერ განხილულ ქვეყანაში მსგავსი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება უნდა მომხდარიყო და მეორე, გავლენიანი პოლიტიკური პარტიების რაოდენობა, მიუხედავად საარჩევნო სისტემის თავისებურებებისა, ორპარტიულთან მიახლოებული კოეფიციენტი უნდა ეჩვენებინა. ჩვენს მიერ განხილული შემთხვევები ცხადყოფს, რომ ეს ასე არ მოხდა.

მართალია, ჩვენს მიერ განხილული შემთხვევები გამორიცხავს ამ სახელმწიფოებში პერიოდის საწყის ეტაპზე ერთმანეთისგან განსხვავებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამოქალაქო საზოგადოებრივ დაყოფას, ეს ქვეყნები ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც საკუთარი კულტურით, ასევე დემოგრაფიული და ეკონომიკური განვითარების თავისებურებებით. შესაძლოა, მათი პოლიტიკური სისტემების განვითარება ამ გარემოებებით უფრო უკეთ აიხსნას, ვიდრე ჩვენს მიერ განხილული მოდელით. ქვემოთ განვიხილავთ თითოეული ამ ფაქტორის შესაძლო გავლენას საარჩევნო სისტემისა და პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებაზე.

საზოგადოების კულტურული ფრაგმენტაცია გამყოფი ხაზების რაოდენობასა და ხასიათს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს. მიუხედავად იმისა, რომ თავად კულტურა მრავალნაირად შეიძლება იყოს განსაზღვრული აქ პოლიტიკურ მეცნიერებებში ამ ბოლო დროს ყველაზე მეტად გავრცელებულ ჰანტინგტონისეულ დეფინიციას გამოვიყენებთ. მის მიხედვით, კულტურა იმ ძირითადი ადათ-წესების, ტრადიციებისა თუ ნორმების ერთობლიობაა, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც ინდივიდის მიმართებას ოჯახთან, საზოგადოებასთან, სახელმწიფოსთან და რელიგიასთან ასევე ინდივიდის დამოკიდებულებას ისეთ ფუნდამენტურ

ღირებულებებთან, როგორცაა თანასწორობა და თავისუფლება, თემი და პიროვნება, იერარქია და ინდივიდუალიზმი, გენდერული სტერეოტიპები და სხვ (Huntington, 1993). ამ კვლევის ფარგლებში შეუძლებელია ზემოთჩამოთვლილი და კიდევ სხვა რელიევანტური ურთიერთკავშირები და მათი სახეცვლილებები ჩვენს მიერ განხილულ ქვეყნებში სათითაოდ იქნას განხილული. სამაგიეროდ, შესაძლებელია გამოვიყენოთ შედარებით პოლიტიკაში აპრობირებული მეთოდი რომლის საშუალებითაც გამოითვლება ქვეყნის ეთნოლინგვისტური ფრაქციონალიზაცია (ELF). ეს პარამეტრი გვიჩვენებს, რამდენად ჰომოგენურია განხილული საზოგადოება ენობრივი და ეთნიკური თვალსაზრისით (Easterly & Levine, 1997). არსებობს რელიგიური ფრაქციონალიზაციის ინდექსიც, რომელიც ასევე შეგვიძლია გამოვიყენოთ საზოგადოების ფრაგმენტაციის დონის დასადგენად. თითოეული ეს ინდექსი ფართოდ გამოიყენება პოლიტიკურ მეცნიერებებში სწორედ კულტურული ფაქტორების გავლენის შესწავლისათვის. ELF გამოხატავს ალბათობას, რომ მოცემული ქვეყნის შემთხვევითი წესით შერჩეული ორი მოქალაქე არ იქნება ერთი და იგივე ეთნოლინგვისტური ჯგუფის წარმომადგენელი. ინდექსი 0-დან 1-მდე ნიშნულს ღებულობს და რაც მაღალია ინდექსი მით უფრო დაბალია შანსი ორივე ინდივიდი ერთი და იგივე ჯგუფს მიეკუთვნებოდეს. ჩვენს შემთხვევაში ამ ინდექსის ალესინასა და სხვ. მოდიფიცირებულ ვერსიას გამოვიყენებთ, რომელიც ენობრივ განსხვავებას ენების ჯგუფის ერთმანეთისაგან დისტანცირების საფუძველზე გამოითვლის და ეთნოლინგვისტურთან ერთად რელიგიური ფრაქციონალიზაციასაც ითვალისწინებს (Alesina, Devleeschauwer, Easterly, Kurlat, & Wacziarg, 2003).

ეს კომბინირებული ინდექსი შემდეგი ფორმულით გამოითვლება

$$FRACTj = \sum_{i=1}^N s_{ij}^2$$

სადაც s_{ij} არის ჯგუფი i -ის წილი ($i = 1 \dots N$) ქვეყანა j -ში.

საზოგადოების კულტურული პლურალიზმი მნიშვნელოვანი სოციალური მაჩვენებელია და საზოგადოების განსაკუთრებულად გრძელვადიან გამყოფ ხაზებს გამოხატავს, ამიტომაც თუკი პოლიტიკური სისტემის თავისებურებები სწორედ საზოგადოების მახასიათებლებში უნდა ვეძიოთ, უპრიანია ჩვენს მიერ განხილული შემთხვევების გამოყენებით შევაფასოთ რამდენად არსებობს თანხვედრა კულტურულ ფრაქციონალიზაციასა და პარტიების რაოდენობას შორის. ამ ჰიპოთეზის თანახმად, რაც უფრო მეტია საზოგადოებაში არსებული გამყოფი ხაზები მით უფრო მეტი გავლენიანი პარტია უნდა იყოს წარმოდგენილი ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში. მართალია, რიგ ქვეყნებში, მაგალითად, საქართველოში, კანონმდებლობა კრძალავს ეთნიკურ ნიადაგზე პარტიების დარეგისტრირებას, რამაც ხელი უნდა შეუშალოს პარტიების ამ ნიშნით მომრავლებას ამ გარემოებამ საერთო სურათი ვერ უნდა შეცვალოს. ამ შემთხვევაში, მთავარია ის რომ განსხვავებულ კულტურულ ჯგუფებს, გამომდინარე მათი ღირებულებითი სისტემებიდან, ერთმანეთისგან განსხვავებული შეხედულებები აქვთ სახელმწიფოს მიერ მოწოდებულ საქონელსა და მომსახურებაზე (Baldwin & Huber, 2010). შესაბამისად, სხვადასხვა კულტურული ჯგუფები ერთმანეთისგან განსხვავებულ საზოგადოებრივ სიკეთეებს ანიჭებენ უპირატესობას და ამიტომაც სწორედ იმ პოლიტიკურ ორგანიზაციას დაუჭერენ მხარს, რომელიც უფრო მეტად იზიარებს მათ ღირებულებით სისტემას და შესაბამისად, მათი პრიორიტეტების დაცვას შეეცდება პოლიტიკურ სარბიელზე. აქედან

გამომდინარე, რაც უფრო მეტი კულტურულად განსხვავებული ჯგუფია ქვეყანაში მით უფრო მეტი რაოდენობის პოლიტიკური ცენტრის არსებობას უნდა ველოდოთ. პირველ ეტაპზე გავანალიზებთ რამდენად ასოცირდება კულტურული ფრაგმენტაცია პარტიების რაოდენობასთან და პოზიტიური შედეგის შემთხვევაში შევეცდებით ამ ორ ცვლადს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ის მონაცემები, რომელთა საფუძველზე პირველადი ანალიზის გაკეთება გახდა შესაძლებელი. ცხრილის მეორე სვეტში, ჩამოთვლილი ქვეყნების გასწვრივ მოცემულია შესაბამისი კულტურული ფრაქციონალიზაციის ინდექსი. მესამე სვეტში გვაქვს შესაბამის ქვეყანაში ჩვენს მიერ განხილულ პერიოდში ჩატარებული არჩევნების საფუძველზე დადგენილი პოლიტიკური პარტიების საშუალო რაოდენობა, რომელიც ზედიზედ მინიმუმ 3 დემოკრატიული არჩევნების საფუძველზეა შედგენილი. მეოთხე სვეტშიც იგივე მონაცემი გაქვს, რომელიც ამჯერად 4 არჩევნების საფუძველზეა დათვლილი. ამ მონაცემების საფუძველზე გამოთვლილ იქნა კორელაციის კოეფიციენტი, როგორც პირველი ასევე მეორე ჯგუფისთვის. ანალიზმა აჩვენა რომ ამ ცვლადებს შორის პირველ შემთხვევაში ასოცირება საერთოდ არ არსებობს, ხოლო მეორე შემთხვევაში კი ეს კავშირი ძალზე სუსტია. შესაბამისად, კავშირი კულტურულ მრავალფეროვნებასა და პარტიების რაოდენობასთან არ დადგინდა.

ცხრილი 10. ეთნოლინგვისტური ფრაქციონალიზაცია და პარტიების რაოდენობა

ქვეყანა	ფრაქციონალიზაცია	გავლენიანი პარტიების საშუალო რაოდენობა (I ჯგუფი)	გავლენიანი პარტიების საშუალო რაოდენობა (II ჯგუფი)
ალბანეთი	0.22	3.08	3.55
ბულგარეთი	0.40	4.59	4.99
ხორვატია	0.37	3.88	3.78
ჩეხეთი	0.32	5.28	5.43
ესტონეთი	0.51	5.37	4.99
საქართველო	0.49	2.66	-
უნგრეთი	0.15	2.60	2.52
ლატვია	0.59	6.41	6.28
ლიტვა	0.32	5.74	5.53
მაკედონია	0.50	3.47	3.64
მოლდოვა	0.55	3.45	4.02
პოლონეთი	0.12	4.13	4.03
რუმინეთი	0.31	3.94	-
რუსეთი	0.25	6.02	3.66
სლოვაკეთი	0.25	6.22	5.34
სლოვენია	0.22	5.39	5.45
უკრაინა	0.47	6.08	-
კორელაციის კოეფიციენტი		0.10	0.36

შენიშვნა: ეყრდნობა ალესინასა და სხვ. მონაცემებს.

http://www.anderson.ucla.edu/faculty_pages/romain.wacziarg/downloads/fractionalization.pdf

იგივე მოდელით განვიხილავთ დემოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორების შესაძლო გავლენას პოლიტიკური პარტიების განვითარებაზე. დემოგრაფიული არგუმენტი ზემოთ უკვე განხილული თეორიის საფუძველზე ვარაუდობს, რომ მოსახლეობის სიმჭიდროვის მაღალი მაჩვენებელი ზრდის მრავალპარტიული სისტემის არსებობის ალბათობას. კორელაციის შედეგები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში. ჩანს, რომ კორელაცია ორივე ჯგუფში მცირეა ან საერთოდ არ არსებობს. ამავდროულად, კორელაციის მიმართულება მოდელის საწინააღმდეგოდ აღინიშნება. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს მიერ განხილული მაგალითების საფუძველზე მოსახლეობის სიმჭიდროვე ამცირებს პარტიების რაოდენობას, მაშინ როცა ჩვენი მოდელის თანახმად პარტიების რიცხვი უნდა გაზრდილიყო. შესაძლოა, ალესინა, გლეიზერისა და სხვ. მოდელი ჩვენს მიერ განხილული შემთხვევების ასახსნელად არ გამოდგა, რადგან ის პარტიების წარმოშობას მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის მიჯნაზე ეპოქაში აღწერს, როდესაც მზარდმა ურბანიზაციამ მუშათა კლასის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია (Alesina et al, 2001). მსგავსი დემოგრაფიული მოვლენა გასული საუკუნის 90-იან წლებში არ მომხდარა. უფრო მეტიც, ალესინასა და სხვების (2001) მიერ განხილული პერიოდისათვის დამახასიათებელია ამომრჩეველთა ჯგუფისა და რაოდენობის მკვეთრი ზრდა, როცა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ქალები დებულობენ ხმის მიცემის უფლებას. პარალელურად, ეკონომიკური ცენზის თანდათანობითმა გაუქმებამ გამოიწვია ზოგადად არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა (Sartori, 2003). ამ ამომრჩევლებს პირველად ეძლეოდათ ხმის მიცემის უფლება და მათი დიდი ნაწილი ვერ ახერხებდა თავის გაიგივებას უკვე არსებულ პარტიებთან და აქედან გამომდინარე, იყო მოთხოვნა მათი

ცხრილი 11. მოსახლეობის სიმჭიდროვე და პარტიების რაოდენობა

ქვეყანა	ადამიანი/კმ ²	გავლენიანი პარტიების საშუალო რაოდენობა (I ჯგუფი)	გავლენიანი პარტიების საშუალო რაოდენობა (II ჯგუფი)
ალბანეთი	110.50	3.08	3.55
ბულგარეთი	72.15	4.59	4.99
ხორვატია	79.57	3.88	3.78
ჩეხეთი	133.75	5.28	5.43
ესტონეთი	32.55	5.37	4.99
საქართველო	78.83	2.66	-
სერბია	83.19	2.26	-
უნგრეთი	112.87	2.60	2.52
ლატვია	36.78	6.41	6.28
ლიტვა	53.63	5.74	5.53
მაკედონია	79.82	3.47	3.64
მოლდოვა	125.91	3.45	4.02
პოლონეთი	125.00	4.13	4.03
რუმინეთი	93.95	3.94	-
რუსეთი	8.87	6.02	3.66
სლოვაკეთი	111.88	6.22	5.34
სლოვენია	99.80	5.39	5.45
უკრაინა	83.40	6.08	-

კორელაციის კოეფიციენტი


-0.41

-0.21

შენიშვნა: ეყრდნობა მსოფლიო ბანკის მსოფლიო განვითარების ინდიკატორებს
<http://databank.worldbank.org/data/reports.aspx?source=world-development-indicators>

ინტერესების გამომხატველი ახალი პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოსაყალიბებლად. ამ შემთხვევაში მოსახლეობის სიმჭიდროვე მართლაც მოახდენდა გავლენას პარტიები რაოდენობაზე, განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ახალი ამომრჩევლის დიდი ნაწილი ქალაქებში კომპაქტურად იყო დასახლებული. ჩვენს მიერ განხილულ პერიოდში კი ქვეყნების დიდ ნაწილში ურბანიზაციის პროცესი იმ მსგავსი მასშტაბით არ მიმდინარეობს და არც ამომრჩეველთა ექსპანსია ხდება. აქედან გამომდინარე დემოგრაფიულმა სიმჭიდროვემ პოლიტიკურ სისტემაზე მოსალოდნელი მიმართულებით გავლენა ვერ მოახდინა (**იხ. გრაფიკი1**).

გრაფიკი 1. მოსახლეობის სიმჭიდროვე და პარტიების რაოდენობა



წყარო: მსოფლიო ბანკის მსოფლიო განვითარების ინდიკატორები.

<http://databank.worldbank.org/data/reports.aspx?source=world-development-indicators>

შენიშვნა: კორელაციის კოეფიციენტი -0.41

ეკონომიკური ფაქტორები კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებათა ჯგუფს წარმოადგენენ, რომელთაც საზოგადოების ინტერესების ფორმირებაზე და აქედან გამომდინარე, პარტიების სისტემაზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ. ამ გარემოებებიდან მნიშვნელოვნად მოცემულ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე და მოსახლეობაში შემოსავლების გადანაწილების კოეფიციენტი მიგვაჩნია. აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკური განვითარების დონე, რომელსაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით გამოვიანგარიშებთ მსყიდველობითი უნარების გათვალისწინებით გავლენას ახდენს იმ დამატებით გარემოებებზეც, რომელიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს პოლიტიკური კულტურისა და შესაბამისად პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებაზე. ერთერთი ასეთი გარემოებაა განათლება. განათლება ჯოვანი სარტორისა (2003) და უფრო ადრე, სეიმურ ლიპსეტის (1960) მიხედვით მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ამომრჩევლის ინფორმირებულობის დონეს და შესაბამისად, მისი საარჩევნო ქცევის ტენდენციებს. უფრო მეტიც მისი აზრით, მრავალპარტიულობა სწორედ ამომრჩევლის განათლების დონესთან არის დაკავშირებული. ეკონომიკური კეთილდღეობა დიდწილად განაპირობებს განათლების დონეს მსგავსი ისტორიულ-კულტურული წარსულის მქონე ქვეყნებში. არსებობს გამონაკლისები სადაც მშპ ერთ სულ მოსახლეზე მაღალი მაჩვენებელი არ აისახება განათლების საერთო მაჩვენებელში, მაგალითად ნავთობით მდიდარ არაბულ სახელმწიფოებში, მაგრამ ჩვენს მიერ განხილულ ქვეყნებში ასეთი კონტექსტი არ არსებობს და გაერო-ს ადამიანური განვითარების ინდექსიც მნიშვნელოვან თანხვედრას აჩვენებს ეკონომიკურ დონესა და განათლების დონეს შორის (UNDP, 2015). ჩვენს მიერ ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ქვეყნების გასწვრივ მეორე სვეტში მითითებულია ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო მაჩვენებელი მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით.

საშუალო გამოთვლილია 1995-2010 წლებში დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით. ამ კონკრეტული პერიოდის არჩევა ყველაზე ოპტიმალურად იქნა მიჩნეული ვინაიდან პარტიების რაოდენობაზე ჩვენი მონაცემები გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება და გარკვეული დროის გასვლა აუცილებელია, რათა ეკონომიკური მდგომარეობის ეფექტებმა პარტიების სისტემის განვითარებაზე გავლენის მოხდენა მოასწროს. ეს გავლენა რადგან მხოლოდ საშუალოვადიან ან გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება გამოჩნდეს მიზანშეწონილად ჩავთვალებთ მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაგვესაშუალოებინა ვინაიდან ამ პარამეტრის ცვლილება თავისთავად თანდათანობითი ხასიათისაა და მისი განზოგადებისთვის ასეთი მოდელი ოპტიმალურად იქნა მიჩნეული. მესამე სვეტში ამავე პრინციპით გასაშუალოებული GINI-ს კოეფიციენტი წარმოდგენილი, რომელიც 0-100 დიაპაზონში ასახავს განხილულ სახელმწიფოებში ეკონომიკური თანასწორობის მდგომარეობას, სადაც მაღალი მაჩვენებელი დიდ ეკონომიკურ უთანასწორობაზე მიუთითებს. ბოლო ორ სვეტში კი პოლიტიკური პარტიების საშუალო რაოდენობებია მითითებული იგივე მოდელის გამოყენებით, როგორც ეს წინა ორი ცხრილის შემთხვევაში მოხდა; პირველი ჯგუფი ასახავს მინიმუმ 3 დემოკრატიული არჩევნების შედეგად წარმოქმნილ გავლენიანი პარტიების საშუალო რაოდენობას, ხოლო მეორე კი 4 დემოკრატიული არჩევნების შედეგად მიღებულ მონაცემს გვიჩვენებს.

ცხრილი 12. GINI და პარტიების რაოდენობა

ქვეყანა	GINI (საშუალო 1995-2015, 0-100)	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (საშუალო 1995-2010, აშშ დოლარი)	გავლენიანი პარტიების საშუალო რაოდენობა (I ჯგუფი)	გავლენიანი პარტიების საშუალო რაოდენობა (II ჯგუფი)
ალბანეთი	30.32	5692	3.08	3.55
ბულგარეთი	33.27	9393	4.59	4.99
ხორვატია	31.46	14222	3.88	3.78
ჩეხეთი	26.54	20489	5.28	5.43
ესტონეთი	33.17	14247	5.37	4.99
საქართველო	40.54	3911	2.66	-
სერბია	30.59	8041	2.26	-
უნგრეთი	28.91	15517	2.60	2.52
ლატვია	36.22	12233	6.41	6.28
ლიტვა	34.69	12963	5.74	5.53
მაკედონია	40.33	7637	3.47	3.64
მოლდოვა	32.82	2605	3.45	4.02
პოლონეთი	33.65	13223	4.13	4.03
რუმინეთი	32.03	9401	3.94	-
რუსეთი	40.80	11182	6.02	3.66
სლოვაკეთი	26.98	15598	6.22	5.34
სლოვენია	25.66	21642	5.39	5.45
უკრაინა	26.71	5520	6.08	-

GINI კორელაციის კოეფიციენტი -0.13 -0.18
 მშპ ერთ სულ მოსახლეზე კორელაციის კოეფიციენტი 0.43 0.38

შენიშვნა: ეყრდნობა მსოფლიო ბანკის მსოფლიო განვითარების ინდიკატორებს.


ამ მონაცემების თანახმად, GINI-ს კოეფიციენტსა და პარტიების რაოდენობას შორის მოსალოდნელი ურთიერთკავშირი არ ფიქსირდება. უფრო მეტიც, კორელაცია მოდელის საწინააღმდეგო მიმართულებითაა და უთანასწორობის ზრდა პოლიტიკური პარტიების რიცხვს ამცირებს. მეორეს მხრივ, ასოცირების ძალზე დაბალი მაჩვენებლის გამო შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ურთიერთკავშირი საერთოდ არ არსებობს. სამაგიეროდ, ეკონომიკური განვითარების ჩვენს მიერ შერჩეული მაჩვენებელი აქამდე განხილულ ყველა სხვა მონაცემთან შედარებით ყველაზე მჭიდრო კავშირს გვაჩვენებს პარტიების რაოდენობასთან მიმართებაში. მართალია სტანდარტული ინტერპრეტაციით კორელაცია მნიშვნელოვანია მხოლოდ 0.5 მაჩვენებლის შემდეგ თვალსაჩინოა, რომ ეს კოეფიციენტი განსაკუთრებით ქვეყნების პირველ ჯგუფთან მიმართებაში ამ ნიშნულთან საკმაოდ ახლოსაა (იხ. გრაფიკი 2). მეორეს მხრივ, შემთხვევების რაოდენობა არ იძლევა საშუალებას დადგინდეს კორელაციის სტატისტიკური მნიშვნელობა და ამიტომაც კატეგორიული დასკვნების გაკეთებაც შეუძლებელია. ერთი რამ ცხადია, ყურადღებას იმსახურებს მოსაზრება რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე ბევრ საზოგადოებრივ პარამეტრზე ახდენს გავლენას, მათ შორის, სავარაუდოდ პარტიების რაოდენობაზეც.

ყველაზე მნიშვნელოვანი თეორიული გამოწვევა ჩვენი მოდელისთვის, რომელიც დუვერჟეს მოსაზრებებს ეყრდნობა სარტორის მიერ ჩამოყალიბებული მიდგომაა, რომლის მიხედვითაც განსაკუთრებული მნიშვნელობა პოლიტიკურ სისტემაში პარტიების რაოდენობის ასახსნელად სწორედ პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალიზაციის ხარისხს ენიჭება (Sartori, 2003). ამ თვალსაზრისის მიხედვით, სწორედ პარტიების სიძლიერე განაპირობებს ამა თუ იმ ქვეყანაში პარტიების რაოდენობას. ეს პროცესი თეორიულად რამდენიმე ეტაპისგან შედგება. პირველი, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა მართლაც ზღუდავს ამომრჩეველს და

აიძულებს მას ხმა მისცეს ორი ლიდერი კონკურენტიდან ნაკლებად არასასურველ კანდიდატს. ყველა სხვა კანდიდატისთვის მიცემული ხმა დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან როცა გამარჯვებული მხოლოდ ერთი კანდიდატი შეიძლება გახდეს ყველა ხმა, რომელიც სხვა კანდიდატებმა მიიღეს ასახვას ვერ ჰპოვებს არჩევნების საბოლოო შედეგში. ამომრჩეველს აქვს ინფორმაცია კანდიდატების რეიტინგის შესახებ და გამონაკლისი შემთხვევების გარდა როცა რამდენიმე კანდიდატს მოსახლეობის მხარდაჭერის ზუსტად თანაბარი შანსი აქვს, პოლიტიკური კონკურენტები კონკრეტული იერარქიით ლაგდებიან გამარჯვების ალბათობის შესაბამისად. ამ გარემოების გათვალისწინებით, კონკრეტულ ამომრჩეველს ყველაზე მეტი შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე სწორედ იმ შემთხვევაში აქვს თუკი იგი ორი ლიდერი კანდიდატიდან ერთერთს დაუჭერს მხარს. სხვა კანდიდატის მხარდაჭერის შემთხვევაში მისი შანსები გავლენა მოახდინოს არჩევნების საბოლოო შედეგზე დრამატულად მცირდება. ამიტომაც, რაციონალური ამომრჩეველი ხმას აძლევს იმ კანდიდატს, რომელიც მისთვის უფრო ნაკლებ არასასურველია ორ შესაძლებელ არჩევანს შორის. აქედან გამომდინარე, მაჟორიტარული ოლქის დონეზე ლოგიკურად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოხდება ამომრჩეველთა ხმების უფრო მეტი კონცენტრაცია ორ კანდიდატს შორის, რაც რეალურად არ გამოხატავს ამ ოლქის ამომრჩევლის რეალურ განწყობასა და პრეფერენციებს. სარტორი ასკვნის, რომ ამ მიმართებით დუვერჟეს კანონი ნამდვილად მუშაობს (Sartori, 2003). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს თეორიული შესაძლებლობა რომ რაციონალურმა ამომრჩეველმა სხვა კანდიდატს დაუჭიროს მხარი თუ წინასწარ არ არსებობს ინფორმაცია კანდიდატების რეიტინგების შესახებ, ან იმ მოსაზრებით, რომ შემდეგ არჩევნებზე მისთვის სასურველი კანდიდატის შანსები გაიზრდება (Downs, 1985). ამ განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, მაჟორიტარული არჩევნები ხელს უწყობს ამომრჩეველთა ორი

კანდიდატის გარშემო გაერთიანებას და შესაბამისად ორპოლუსიანი პოლიტიკური კონტექსტის შექმნას. თავისთავად ეს გარემოება, სარტორის მტკიცებით, ვერ გამოიწვევს ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას, რადგან სხვა მაჟორიტარულ ოლქებში ადვილი შესაძლებელია სხვა პარტიების წარმომადგენლებს გააჩნდეთ იგივე ტიპის უპირატესობა (Sartori, 2003). შესაბამისად, მართალია თითოეულ მაჟორიტარულ ოლქში ორპოლუსიანი დაპირისპირება ჩამოყალიბდება, მაგრამ ქვეყნის მასშტაბით ეს ავტომატურად ვერ გარდაიქმნება ორპარტიულ სისტემად. ამისთვის საჭიროა კონკრეტული პარტიების სისტემის არსებობა. მოცემულ სახელმწიფოში ძლიერი ორი პარტიის არსებობა ამგვარი შედეგის განმაპირობებელი იქნება, ხოლო ასეთი პირობის არარსებობის შემთხვევაში ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბება შეუძლებელი იქნება. სწორედ ამ გარემოებით ხსნის სარტორი დუვერჟეს კანონის ისეთ საჩოთირო კაზუსებს, როგორცაა ინდოეთი და კანადა. პირველ შემთხვევაში, პარტიული სისტემა სუსტია, რაც იწვევს ძლიერი ლოკალური პარტიების არსებობას, ხოლო მეორე შემთხვევაში კვებეკის პროვინციაში არსებული განწყობები უზრუნველყოფს ამ რეგიონში ადგილობრივი პარტიის დომინანტურ პოზიციას. ეს არგუმენტი საკმაოდ დამაჯერებელია, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ პარტიის საერთო რეიტინგი მაინც უნდა ახდენდეს გავლენას ამომრჩევლის გადაწყვეტილებაზე კონკრეტულ ოლქშიც, ვინაიდან ამომრჩეველს აქვს მოტივაცია სწორედ იმ პარტიების წარმომადგენლებს მისცეს ხმა, რომელთაც აქვთ შანსი ჩამოაყალიბონ მთავრობა. შესაძლოა, ის ორი პარტია, რომელსაც ყველაზე მეტი შანსი აქვთ გაიმარჯვონ არჩევნებში კონკრეტულ ოლქში ლიდერებს არ წარმოადგენდნენ, მაგრამ ამომრჩეველს მაინც ექნება მოტივაცია სწორედ მათ დაუჭიროს მხარი ვინაიდან ცალკე აღებული ერთი კანდიდატის გამარჯვება საპარლამენტო მმართველობის პირობებში საარჩევნო პროგრამის ან დაპირებების შესრულების ნაკლებ

გრაფიკი 2. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე და პარტიების რაოდენობა



წყარო: მსოფლიო ბანკისა და IPU-ს მონაცემებზე დაყრდნობით

შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად, საარჩევნო სისტემის ეფექტი პარტიების სისტემის ჩამოყალიბებაზე გავლენას მაინც უნდა ახდენდეს, მიუხედავად იმისა უკვე ინსტიტუციონალიზებულია თუ არა პარტიების სისტემა. პირველად ეტაპზე, როდესაც დემოკრატიული მმართველობა ახლად ჩამოყალიბებულია პარტიების დაბალმა ინსტიტუციონალიზაციამ შეიძლება მართლაც გამოიწვიოს ჩვენს მიერ ნაწინასწარმეტყველები შედეგების დადგომის გადავადება. ამ პერიოდში პარტიებს არ გააჩნიათ მდგრადი რეგიონული ორგანიზაციები ყველა ოლქში და შესაბამისად ამომრჩეველში ვერ იქნება დარწმუნებული ამა თუ იმ პარტიის სტაბილურ მომავალ პერსპექტივაში. მეორეს მხრივ, დუვერჟეს ჰიპოთეზა მესამე ან მეოთხე არჩევნების შემდეგ ვარაუდობს პარტიების სისტემის ჩამოყალიბებას და აქედან გამომდინარე, სტაბილური პარტიების ჩამოყალიბების შანსიც იზრდება. მიუხედავად ამისა, ინდოეთის მაგალითი ცხადყოფს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს პროცესი გაცილებით დიდი დროის მანძილზე შეიძლება გაგრძელდეს. ყოველშემთხვევაში, პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალიზაციის დონეს პოტენციურად საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მოცემულ სახელმწიფოში პარტიების საერთო რაოდენობის ჩამოყალიბებაზე. აქედან გამომდინარე, საინტერესო იქნება ამ გავლენის შეფასება არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე. პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალიზაციის შესაფასებლად დანიელი მკვლევარის მოგენს პედერსენის პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსს გამოვიყენებთ (Pedersen, 1979). ეს ინდექსი ასახავს პარტიების წარმომადგენლობის ცვლილების დონეს საკანონმდებლო ორგანოში არჩევნებიდან არჩევნებამდე. ასე მაგალითად, პირველ არჩევნებში A პარტიამ მოიპოვა ადგილების 70%, ხოლო პარტიამ B -- 30%, შემდეგ არჩევნებში კი ეს მონაცემი დიამეტრალურად შეიცვალა და პარტიამ A ადგილების 30%, ხოლო B-მ 70% მოიპოვა. ინდექსის გამოსათვლელი ფორმულა ითვლის

თითოეული პარტიის წარმომადგენლობაში მომხდარ ცვლილებას და აჯამებს მათ აბსოლუტურ მნიშვნელობას, შემდეგში კი ეს მაჩვენებელი ორზე იყოფა და ვლუბულობთ 0-100-მდე გრადაციას, სადაც 0 ასახავს, რომ ცვლილება არ მოხდა, ხოლო 100 აღნიშნავს, რომ არცერთი პარტია, რომელიც წარმოდგენილი იყო პირველ საკანონმდებლო ორგანოში საერთოდ არ მოხვდა პარლამენტში. შესაბამისად, რაც უფრო დაბალია ინდექსი მით უფრო მეტია პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა და პირიქით. აქედან გამომდინარე, დიამეტრალური ცვლილებები და მაღალი ინდექსი განხილულ ქვეყანაში პარტიების დაბალ ინსტიტუციონალიზაციაზე მიგვანიშნებს. ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევაში, ინდექსი უდრის 40-ს.

$$\frac{[(70 - 30)] + [(30 - 70)]}{2} = \frac{40 + 40}{2} = 40$$

ამგვარი კოეფიციენტი ნორმის ფარგლებში ცვლილებად ითვლება. იმ შემთხვევებში კი როცა ინდექსი 50-ს აღემატება სახეზეა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ასეთი მაღალი ინდექსის ზედიზედ ან სისტემატურად მიღება მიუთითებს განხილულ ქვეყანაში პოლიტიკური პარტიების დაბალ ინსტიტუციონალიზაციაზე. ამ ინდექსით გავზომავთ ჩვენს მიერ განხილულ ქვეყნებში პარტიების სიძლიერეს. სარტორის მიდგომის თანახმად საარჩევნო სისტემის ეფექტები პარტიების რაოდენობაზე მხოლოდ მაშინ იქნება საგრძნობი, როდესაც პარტიები ინსტიტუციურად ძლიერია, სხვა შემთხვევაში, მაჟორიტარული სისტემა ვერ მოახერხებს შეამციროს პარტიების რაოდენობა. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სხვადასხვა მაჟორიტარულ ოლქებში სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელი კანდიდატები იქნებიან ლიდერთა შორის და ამიტომაც, საქვეყნო დონეზე ვერ მოხდება ხმების კონცენტრაცია ორი პარტიის ფარგლებში. შესაბამისად, განხილული ქვეყნების მაგალითზე შევაფასებთ

არის თუ არა თანხვედრა პარტიების რაოდენობასა და პარტიების ინსტიტუციონალიზაციას შორის. მონაცემების ანალიზი უნდა გვაჩვენოს, რომ ზოგადად პარტიების ინსტიტუციონალიზაციის ზრდამ პარტიების რაოდენობის შემცირება უნდა გამოიწვიოს. ეს გამომდინარეობს სარტორის არგუმენტიდან, რომელიც ვარაუდობს რომ მაჟორიტარული ტენდენციების მქონე საარჩევნო სისტემები პარტიების რაოდენობას შეამცირებენ იმ შემთხვევაში თუკი არსებული პარტიები სტაბილურ და გავლენიან ორგანიზაციებს წარმოადგენენ. ვინაიდან ჩვენს მიერ განხილულ ქვეყნების ნაწილში მაჟორიტარული არჩევნების კომპონენტი საკმაოდ არის წარმოდგენილი უნდა დაფიქსირდეს ტენდენცია, რომ პარტიების გაძლიერებასთან ერთად მცირდება მათი რაოდენობაც. 1993 წლიდან 2016 წლის ოქტომბრამდე ჩვენს მიერ განხილულ 18 ქვეყანაში 116 დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. შესაბამისად, 98 შემთხვევაში დავადგინეთ პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსი (იხ. ცხრილი 13.)

ცხრილი 13. პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის ინდექსი (0-100%)

ქვეყანა	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ჩეხეთი						18.0%				8.5%				16.5%				32.5%			54.0%			
მოლდოვა									60.4%					33.7%			52.5%	15.8%				29.7%		
ლატვია			63.0%			63.0%				73.0%				31.0%				47.0%	30.0%			53.0%		
ესტონეთი			54.5%				45.5%				41.6%				22.8%				14.9%				15.8%	
მაკედონია						60.0%				41.7%				26.7%		15.8%			13.3%			8.1%		
სლოვაკეთი						28.0%				47.3%				32.0%				32.7%		25.3%				42.0%
ბულგარეთი		20.8%			35.8%				50.8%				40.8%				54.2%				31.0%	29.2%		
ხორვატია			22.0%					54.1%			36.0%				38.1%				22.1%				36.4%	13.4%
პოლონეთი	56.5%				45.0%				58.0%				39.6%		31.7%				8.7%				32.2%	
რუმინეთი								56.3%				18.0%				21.3%				61.5%				
სლოვენია				32.2%				25.6%				20.0%				34.4%			45.6%			56.7%		
სერბია															38.2%				55.2%		42.4%		33.2%	
უნგრეთი		46.4%				42.7%				22.0%				6.5%				42.2%				3.8%		
ალბანეთი			25.0%		73.2%				37.3%				60.7%				28.6%				12.9%			
საქართველო			90.3%				40.4%																	
ლიტვა				69.1%				75.2%				70.9%				47.9%				33.3%				
რუსეთი			64.9%				62.9%				51.6%													
უკრაინა						60.0%				79.3%				51.5%	11.8%	31.6%						88.9%		

შენიშვნა: მონაცემები დაფუძნებულია IPU PARLINE მონაცემთა ბაზაზე <http://www.ipu.org/parline-e/parlinesearch.asp>. 2009 წელს არჩევნები მოლდოვაში ორჯერ ჩატარდა. ინდექსი ამ შემთხვევაში ამ ორი არჩევნების შედეგის კომბინირებით გამოითვალა, სადაც მეორე არჩევნების წილი 25% იყო.

პირველადი ანალიზის შემდეგ ჩანს, რომ განხილული 24 წლიანი პერიოდის პირველ ნახევარში პოლიტიკური სისტემის არასტაბილურობა საშუალოდ უფრო მაღალია ვიდრე მეორე ნახევარში -- 1993 წლიდან 2004 წლის ჩათვლით განხილულ 43 შემთხვევაში ინდექსი 47.6 შეადგენს, ხოლო 2005-2106 წლებში განხილულ 55 შემთხვევაში 33.3-ს. ეს შედეგები ზოგად თანხვედრაშია დუვერჟეს ჰიპოთეზასთან, რომლის მიხედვითაც საარჩევნო სისტემის გავლენა პარტიების რაოდენობაზე გრძელვადიან ეფექტში იკრებს ძალას. იგივე ლოგიკით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დემოკრატიული მმართველობის დამყარება გრძელვადიან პერიოდში იწვევს პოლიტიკური სისტემის მეტ ინსტიტუციონალიზაციას და შესაბამისად, არასტაბილურობის დონის შემცირებას.

საინტერესოა აქვს თუ არა პარტიების ორგანიზაციულ ძლიერებას გავლენა პარტიების რაოდენობაზე. სარტორის არგუმენტის მიხედვით, მხოლოდ ძლიერი პარტიების არსებობის შემთხვევაში გამოვლინდება მაჟორიტარული სისტემის შემზღვეველი გავლენა. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პარტიების რაოდენობა პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის ზრდასთან ერთად უნდა შემცირდეს. წრფივმა რეგრესიამ, სადაც პოლიტიკური სტაბილურობა დამოუკიდებელი ცვლადი, ხოლო პარტიების რაოდენობა დამოკიდებული ცვლადი იყო გვაჩვენა, რომ რაც უფრო დიდია ცვალებადობა მით უფრო მეტია პარტიების რაოდენობა. ეს შედეგი ზოგადად მიუთითებს, რომ შესაძლო მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მიმართულება განხილულ ცვლადებს შორის ჰიპოთეზის შესაბამისია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კორელაციის კოეფიციენტი ძალზე დაბალია და 0.21-ს არ აღემატება, მისი სტატისტიკური მნიშვნელობა კი დასაშვების ზღვარზეა სადაც $p=0.06$. ეს შედეგები მივიღეთ 74 შემთხვევის განხილვის მაგალითზე, სადაც წინა არჩევნებში დაფიქსირებულ პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსს შეესაბამებოდა მიმდინარე არჩევნების შედეგად დაფიქსირებული გავლენიანი პარტიების რაოდენობა,

რომელიც ტააგეპერას ინდექსის მიხედვით გამოითვალა. აღსანიშნავია, რომ წინა არჩევნები დავაკავშირეთ პარტიების რაოდენობასთან, რადგან ჩავთვალეთ რომ სისტემის არასტაბილურობის ეფექტი სწორედ შემდეგი არჩევნების დროს უნდა გამოვლინდეს და არა რომელიმე სხვა დროს.

მართალია, ეს შედეგები არ იძლევა საშუალებას პარტიული ორგანიზაციების ინსტიტუციონალიზაციის საგრძნობ გავლენაზე ვიმსჯელოთ, მაგრამ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ საარჩევნო სისტემასთან ერთად მას შეუძლია გააძლიეროს დუვერჟეს ეფექტი. ამ ვარაუდის შესამოწმებლად გაკეთდა კიდევ ერთი წრფივი რეგრესია, რომელშიც მხოლოდ ჩვენი პირვანდელი პირობის მიხედვით შერჩეული არჩევნები შევიდა. სხვა სიტყვებით, ყველა იმ არჩევნების შედეგები, რომელიც ერთი და იგივე საარჩევნო სისტემის არსებობის პირობებში მესამე არჩევნებამდე ჩატარდა არ იქნა გათვალისწინებული. შედეგად, განსახილველი შემთხვევების რიცხვი 58-მდე შემცირდა. შედეგები წინა მონაცემებს ემთხვევა და განსხვავება, როგორც თანხვედრის ასევე სტატისტიკური მნიშვნელობის მონაცემებიც იგივე სურათს გვაჩვენებს -- კორელაცია 0.24-ს შეადგენს, ხოლო $p=0.06$. მხოლოდ წმინდა პროპორციული და შერეულ საარჩევნო სისტემების ცალ-ცალკე განხილვისას იზრდება ეს მაჩვენებლები. პირველ ჯგუფში კორელაცია 0.33-ს, ხოლო მეორეში 0.36-ს გვიჩვენებს. პირველი შემთხვევა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($p=0.03$), მეორე ჯგუფში კი ეს არ დასტურდება, რაც მოსალოდნელი იყო განსახილველი შემთხვევების სიმცირის --12 -- გამო.

არსებობს კიდევ ერთი საშუალება პარტიების ინსტიტუციონალიზაციის, საარჩევნო სისტემისა და პარტიების რაოდენობის ურთიერთქმედებების გასაანალიზებლად. ანალიზმა ცხადყო, რომ ჩვენს მიერ განხილულ 19 ქვეყანაში პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა პერიოდის მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად -- 30%-ით -- გაიზარდა. ეს

მიუთითებს ჩვენს მიერ განხილულ სახელმწიფოების ჯგუფში პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალიზაციის ზრდაზე. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩვენს მიერ დამუშავებული მონაცემებში როგორც პროპორციულ ასევე შერეული საარჩევნო სისტემის მქონე ქვეყნებში განხილული პერიოდის პირველ ნახევარში პოლიტიკური პარტიების საშუალო რაოდენობა ნაკლები უნდა იყოს. მოგეხსენებათ, 19 ქვეყნის მაგალითზე შერჩეულ იქნა 60 დემოკრატიული არჩევნები, რომლებმაც დააკმაყოფილეს შემდეგი კრიტერიუმი -- თითოეული მათგანი ერთი და იგივე საარჩევნო სისტემის ფარგლებში ზედიზედ ჩატარებული მინიმუმ მესამე არჩევნები იყო. ამ კრიტერიუმიდან გამომდინარე განხილულმა პერიოდმა 1997-2015 წწ. მოიცვა (იხ. ცხრილი 8). ჩვენი ვარაუდის თანახმად ეს პერიოდი ორ ნაწილად გავყავით ისე რომ თითოეულ ნახევარში მეტნაკლებად თანაბარი რაოდენობის შემთხვევები დაფიქსირებულიყო. შესაბამისად, პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების ანალიზისთვის მთელი პერიოდი ორ ნაწილად გაიყო: პირველმა 1997-2007 წწ. მოიცვა, სადაც 22 არჩევნები შევიდა, ხოლო მეორემ -- 2008-2015 წწ. რომლის განმავლობაში სულ 24 არჩევნები ჩატარდა. პირველ ნახევარში პარტიების საშუალო რაოდენობამ 5.22 შეადგინა, ხოლო მეორე ნახევარში კი პარტიების რაოდენობა 4.52 იყო. შერეული/პარალელური საარჩევნო სისტემით ამავე პერიოდში სულ 14 არჩევნები ჩატარდა. აქაც შევეცადეთ მაქსიმალურად თანაბრად გადაგვენაწილებინა არჩევნების რაოდენობა ორ პერიოდს შორის; ამ პრინციპის თანახმად პირველ ჯგუფში, რომელმაც 1997-2004 წწ. მოიცვა და მეორეში, რომელიც 2005-2015 წწ. შეადგენდა თანაბარი რაოდენობის 7 არჩევნები ჩატარდა. პირველ ნახევარში, გავლენიანი პარტიების საშუალო რაოდენობამ 4.79, ხოლო მეორე ნახევარში 3.96 შეადგინა. შესაბამისად დადასტურდა, რომ პარტიების ინსტიტუციონალიზაციის ზრდა ამცირებს პარტიების რაოდენობას.

პროპორციული საარჩევნო სისტემის შემთხვევაში ეს რაოდენობა 13.4%-ით, ხოლო შერეული სისტემის დროს კი 17.3%-ით შემცირდა.

შედეგების ანალიზი და დასკვნა

დემოკრატიის კონსოლიდაციისთვის აუცილებელია პოლიტიკურ და სამოქალაქო საზოგადოებაში იმ პროცედურებისა და წესების ინსტიტუციონალიზაცია, რომლებიც ხელს უწყობენ ძალაუფლებაში მყოფი პირების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას ხალხის წინაშე. ეს თავისთავად ურთულესი და ხანგრძლივი პროცესია, ვინაიდან ძალაუფლებისკენ ლტოლვა ხელისუფლებაში მყოფს აიძულებს მაქსიმალურად ეცადოს შეინარჩუნოს ეს ძალაუფლება (North, 1981). იმ ქვეყნებში სადაც დემოკრატია და დემოკრატიულ მმართველობას ისტორიული ტრადიცია უკვე გააჩნია ამ გამოწვევის დაძლევა უფრო ადვილად ხდება. მხოლოდ ყოვლისმომცველ კრიზისულ მოვლენას შეუძლია ასე ინსტიტუციო-ნალიზებული დემოკრატიული მმართველობის მოშლა. ასე მოხდა გასული საუკუნის პირველ ნახევარში, როცა ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის უპრეცედენტო ტემპმა, ახალი, ტოტალიტარული იდეოლოგიები შექმნა, რომლებიც კოლექტიურ სიკეთეებზე აპელირებით ინდივიდუალურ თავისუფლებებს დაუპირისპირდნენ. პირველი მსოფლიო ომის შედეგებმა და შემდეგ უკვე დიდმა დეპრესიამ ევროპის რამდენიმე მნიშვნელოვან სახელმწიფოში ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი დემოკრატიები დაანგრია და გზა გაუხსნა ადამიანის ღირსების შემზღვევად და მეორე მსოფლიო ომის გამომწვევ ტოტალიტარულ, ანტიჰუმანურ რეჟიმებს. შედეგად მსოფლიომ გენოციდი და მილიონობით მსხვერპლი მიიღო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც კომუნისტური დიქტატურა მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში უგულვებელყოფდა ინდივიდის თავისუფლებებს და ოლიგარქიულ

დიქტატურას მატერიალური თანასწორობის იდეით ამართლებდა. ცივი ომის დასასრულმა ლიბერალიზმსა და მის მთავარ მოწინააღმდეგესთან კომუნიზმთან ჭიდილი თავისუფლების იდეის გამარჯვებით დაასრულა. ეს გამარჯვება მნიშვნელოვანი ეპოქის დასასრული იყო და გასული საუკუნის ბოლო დეკადაში უკვე აღარავის სჯეროდა, რომ თავისუფლებების შეზღუდვის ხარჯზე სამართლიანი მმართველობის აშენება შესაძლებელია. დიდი ამერიკელი პოლიტოლოგის ფრანსის ფუკუიამას მიხედვით დადგა „ისტორიის დასასრული“, რადგან კაცობრიობა შეთანხმდა, რომ ლიბერალური დემოკრატია და თავისუფალი ბაზარი ადამიანის შესაძლებლობების განვითარების საუკეთესო გზაა (Fukuyama, 1989). ბევრმა „ისტორიის დასასრული“ გაიგო, როგორც სახელმწიფოებს შორის დაპირისპირების ან მრავალ ქვეყანაში არსებული შიდა კონფლიქტის გარდაუვალი ტრანსფორმაცია საყოველთაო მშვიდობაში. თავად ავტორი კი იმავე სტატიაში მაკაფიოდ აღნიშნავს, რომ საუბარი მხოლოდ იდეური დაპირისპირების დასასრულზეა; დამთავრდა თეორიული დავა კაცობრიობის განვითარების საუკეთესო საშუალების შესახებ, მაგრამ ბრძოლა ძალაუფლებისთვის მუდამ გაგრძელდება (Fukuyama, 1989). ლიბერალიზმის იდეოლოგიურმა გამარჯვებამ შეცვალა ის, რომ მსოფლიოში არსებული სახელმწიფოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ნომინალურად აღიარა დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების მორალური უპირატესობა ყველა სხვა ალტერნატივასთან მიმართებაში. ბევრის აზრით, ამგვარი აღიარების პრაქტიკული მნიშვნელობა მინიმალურია, რადგან ძალაუფლების მოპოვებისა და შემდეგ კი მისი განუსაზღვრელი ვადით შენარჩუნების სურვილი ადამიანში არ შეცვლილა. რიტორიკის ცვლილება ვერ მოიტანდა არამცთუ „ისტორიის დასასრულს“, არამედ რაიმე ტიპის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციასაც კი; 70-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირმაც მოაწერა ხელი ჰელსინკის დოკუმენტს, რომელიც ინდივიდის თავისუფლებების უზრუნველყოფას ისახავდა

მიზნად, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია გაეგრძელებინა ერთპარტიული მმართველობა პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი თავისფლებების სისტემატიური შეზღუდვის ფონზე.

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ისტორიის განვითარება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მნიშვნელოვნად შეიცვალა. პრაქტიკულად ყველა ავტორიტარული ქვეყანა მოექცა უპრეცედენტო საერთაშორისო წნეხის ქვეშ და იძულებული გახდა გაეტარებინა დემოკრატიული რეფორმები. სულ რამდენიმე წლის განმავლობაში მსოფლიოში ერთეული სახელმწიფოები დარჩნენ, რომლებმაც უცვლელად განაგრძეს შეუზღუდავი ავტორიტარული მმართველობა, სადაც ფორმალურადაც კი აკრზალული იყო პოლიტიკური კონკურენცია. ასეთი ქვეყნების უმრავლესობამ გადაუდებელ საჭიროებად ჩათვალა დემოკრატიული იდეალებისთვის პატივის მიგება და ოფიციალურად საკუთარი მანდატის ლეგიტიმაციის გზად არჩევნების რეგულარულად ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო. დემოკრატიის „მესამე ტალღის“ დაწყებიდან 2001 წლამდე არჩევითი დემოკრატიების რაოდენობა გაორმაგდა და ასეთივე ზომით გაიზარდა ამ რეჟიმების წილი მთელი მსოფლიოს მასშტაბით (Diamond, 2002). მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ გამოიწვია არამარტო დემოკრატიზაციის პროცესში ქვეყნების უმრავლესობის ჩართვა, არამედ ავტორიტარული ქვეყნების ტრანსფორმაციაც. იგივე პერიოდში წმინდა ავტორიტარული ტიპის სახელმწიფოები საერთო რაოდენობის მხოლოდ 14%-ს შეადგენდნენ. სახელმწიფოების დიდი ჯგუფი კი ე.წ. ჰიბრიდული რეჟიმების კატეგორიაში მოექცა და მათმა ხვედრითმა წილმა სხვადასხვა გამოთვლებით მესამედს მიაღწია. შეიძლება ითქვას, რომ „ისტორიის დასასრულმა“ დემოკრატიის გავრცელებასთან ერთად სწორედ ასეთი, ახალი ტიპის და ძველი კატეგორიზაციისთვის უჩვეულო დემოკრატია და ავტორიტარიზმს შორის მდგარი რეჟიმების მომრავლება გამოიწვია. ჰიბრიდული რეჟიმი დემოკრატიულ ფასადს იყენებს თავისი

ლეგიტიმურობის დასამტკიცებლად, როგორც საკუთარი მოქალაქეებისთვის, ასევე საერთაშორისო საზოგადოებისათვის. ასეთ ქვეყანაში გარკვეული რეგულარობით ტარდება არჩევნები, არსებობენ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოება. შესაბამისად, მოქალაქეებს ნომინალურად აქვთ საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლება და ხელისუფლებაში მონაწილეობის მიღების უფლება. პოლიტიკური მონაწილეობის, კონკურენციისა და სამოქალაქო თავისუფლების რეალური შესაძლებლობები კი მკვეთრად შეზღუდულია, რაც ამ ტიპის რეჟიმებს დემოკრატიებისგან ძირეულად განასხვავებს.

ცივი ომის დასრულების შემდეგ ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში დაიწყო გეგმიური ეკონომიკის ნგრევის პროცესი, გაუქმდა კომუნისტური პარტიის მონოპოლისტური სტატუსი, გაჩნდნენ სხვა პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც გაუჩნდათ შესაძლებლობა არჩევნების საშუალებით ხელისუფლების მოსაპოვებლად. მიუხედავად, უკვე არსებული ისტორიული პრეცედენტებისა პოლიტოლოგთა და პოლიტიკური მოღვაწეების დიდმა ნაწილმა გადაწყვიტა, რომ ყველა ამ ქვეყანაში გარკვეული დროის შემდეგ დამყარდებოდა ლიბერალური დემოკრატია. ბევრი მათგანი, ითვალისწინებდა რა „ისტორიის დასასრულის“ მოსალოდნელ შედეგებს, ასკვნიდა, რომ დემოკრატიზაცია და თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება გარდაუვალი პროცესი იყო. ბევრს ნაკლებად მოსალოდნელად მიაჩნდა, რომ ტოტალიტარული იდეოლოგიების მორალური და მატერიალური მარცხის ფონზე შესაძლებელი იქნებოდა სოციალისტური დიქტატურის კაპიტალისტური ავტორიტარიზმის საშუალებით ჩანაცვლება. დემოკრატიზაციის პროცესმა ეს ოპტიმისტური მოლოდინები სამწუხაროდ ვერ გაამართლა. მართალია, აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრისთვის დემოკრატიული კონსოლიდაცია

დასრულდა, მაგრამ იუგოსლავიისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილ სახელმწიფოებში ეს პროცესი შენედა და ზოგ შემთხვევაში, რეგრესიც განიცადა. მიუხედავად ამისა, ყველა ამ ქვეყანაში ფორმალურად შენარჩუნდა დემოკრატიული ინსტიტუტები და არჩევნების რეგულარულობაც, ამიტომაც საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე საერთაშორისო საზოგადოება და დემოკრატიზაციის სფეროსი მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციები მათ გარდამავალი ტიპის ქვეყნებს უწოდებდნენ. ამ ტერმინში ჩანდა ის მოლოდინი, რომ დემოკრატიული პროცესების შენელება და ზოგ შემთხვევაში უკან გადადგმული ნაბიჯები მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო. პირველად ცნობილმა პოლიტოლოგმა თომას კაროთერსმა აღნიშნა, რომ ტრანზიციის ეს პარადიგმა ვერ ასახავდა სინამდვილეს და რომ ამ „გარდამავალი“ ქვეყნების უმრავლესობა სულაც არ აპირებდა დემოკრატიზაციის პროცესის დასრულებას (Carothers, 2002). მოვლენათა ამგვარი განვითარება თანდათან უფრო და უფრო ცხადი გახდა, რამაც დღის წესრიგში ამ ახალი რეალობის თეორიული ახსნის აუცილებლობა გამოიწვია. შედეგად გაჩნდა ახალი კლასიფიკაცია, რომელიც ითვალისწინებს ავტორიტარიზმის თანამედროვე ნაირსახეობებს და იგი მოიცავს გაურკვეველი ტიპისა და ჰიბრიდულ რეჟიმებს, კონკურენტული და ჰეგემონური ავტორიტარული მმართველობის ფორმებს. ლევიცკიმ და ვეიმ (2002) განსაკუთრებული ყურადღება კონკურენტულ ავტორიტარიზმს დაუთმეს და დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ე.წ. ჰიბრიდულ რეჟიმებს შორის ეს ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ამავდროულად, როგორც ჩანს, მმართველობის სწორედ ეს ტიპი აძლევს სასუალებას თანამედროვე დიქტატორს რაც შეიძლება მეტი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ძალაუფლება.

ჩვენი რეგიონისთვის და პირველ რიგში ჩვენი ქვეყნისთვის, რომლის მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობის მიზანს დემოკრატიის პროცესის დასრულება და ევროპული ქვეყნების ოჯახში ღირსეული

გაწევრიანება წარმოადგენს ცენტრალური მნიშვნელობისაა იმ გამოწვევებთან ბრძოლა, რომელიც ხელს უწყობს ამ ტიპის რეჟიმის ინსტიტუციონალიზაციის პროცესს. დღეს უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო შინაარსობრივად 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან 2012 წლამდე მაინც სწორედ ასეთი ტიპის რეჟიმს წარმოადგენდა. პრაქტიკულად ყველა ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცეში, ბალტიისპირეთის სახელმწიფოების გარდა, დიდი დროის განმავლობაში სწორედ ასეთი ტიპის რეჟიმებს წარმოადგენდნენ. მხოლოდ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე დაიწყო პროცესი, როდესაც ამ ქვეყნების ერთი ჯგუფი უფრო მეტი დამაჯერებლობით შეუდგა დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა), ხოლო მეორე კიდევ უფრო ავტორიტარული გახდა (რუსეთი, სომხეთი, ყირგიზეთი). აქვე შეიძლება ითქვას, რომ დიქტატურის სასარგებლო არჩევანი ბელარუსმა, აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა შედარებით ადრე გააკეთეს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მოპოვებული ძალაუფლების შენარჩუნების სურვილი მოცემულობაა, რომლის განხორციელებას ხელს მხოლოდ განსაკუთრებული გარემოება ან კონკრეტული ინსტიტუციები უშლის. წინამდებარე კვლევის ძირითადი ამოცანაც სწორედ დემოკრატიული მმართველობის გამაძლიერებელი ინსტიტუტების იდენტიფიკაცია იყო. დისკუსია საარჩევნო სისტემებისა და აქედან გამომდინარე დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის სახესხვაობებზე დიდი ხანია მიმდინარეობს. შესავალში, გარკვეულ დონეზე, ეს დისკუსია უკვე მიმოვიხილეთ. მიუხედავად ამისა, უპრიანად მიგვაჩნია, რამდენიმე ასპექტს განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ. ამ მიმართებით, გამოვიყენებთ შმიტერისა და კარლის სტატის დემოკრატიის შესახებ (1991) და არენდ ლაიპჰარტის მოსაზრებებს უმრავლესობისა და კონსენსუალურ დემოკრატიებს შორის განსხვავებების თაობაზე (2012).

შმიტერი და კარლი გამოარჩევენ 11 პრინციპს, რაც სხვადასხვა ტიპის დემოკრატიებს ერთმანეთისგან განასხვავებს. მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ კონკრეტულად იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ დემოკრატიზაციის პროცესის წარმატებით დასასრულებლად. პირველი მათგანი *კონსენსუსის* როლია გადაწყვეტილებების მიღებისას. მაჟორიტარულ დემოკრატიებში ეს მახასიათებელი შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი და მმართველი ჯგუფი ხშირად ატარებს პოლიტიკას, რომელიც საზოგადოების ნაწილისთვის შეიძლება მიუღებელი იყოს. პროპორციული სისტემის დროს კი, როდესაც მთავრობა ძირითად შემთხვევაში კოალიციურია, კონსენსუსის როლი უფრო მაღალია. ამგვარ პირობებში, საზოგადოების მრავალფეროვანი ინტერესების არტიკულაცია უფრო ადვილად ხდება და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ ქვეყნებში, სადაც არამართო დემოკრატიის ჩამოყალიბების პროცესი არამედ სახელმწიფოს მშენებლობაც პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს. სახელმწიფოს მშენებლობის პირველ ეტაპზე კი სხვადასხვა სოციალური და კულტურული ჯგუფებისთვის უფრო რთულია საკუთარი ინტერესების დასაცავად ოპტიმალური და მაქსიმალურად ეფექტიანი გზების გამოძებნა. ამის მიზეზი დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრებისა და ბრძოლის გამოცდილების არარსებობაა და ასეთ დროს ისეთი შემზღვეველი საარჩევნო და კონსტიტუციური სისტემის დანერგვა, როგორც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა და საპრეზიდენტო მმართველობა ხელს უშლის პოლიტიკურ და კულტურულ უმცირესობას რეალური გავლენა მოახდინოს პოლიტიკური პროცესზე. ეს გარემოება კი უკვე არსებული ეთნიკური ან რელიგიური დამაბულობის არსებობისას ხელს უწობს სეპარატისტული ტენდენციების გაღვივებას ან პოლიტიკური ბრძოლის არადემოკრატიული მეთოდების გავრცელებას, რაც შესაძლოა სამოქალაქო კონფლიქტსა და შემდეგ კი სამოქალაქო ომშიც კი

გადაიზარდოს (Stepan et al., 2010). უახლესი ისტორიაც ნათლად გვიჩვენებს, რომ ყოფილი სოციალისტური ბლოკისა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული რეჟიმების აბსოლუტური უმრავლესობა, რომელმაც მმართველობის საპრეზიდენტო მოდელი აირჩია ავტორიტარულ მმართველობად ჩამოყალიბდა, სადაც ხშირ შემთხვევაში საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის დამაბულობა სამოქალაქო კონფლიქტის სახეს ღებულობდა. ეს ისტორიული გამოცდილება მიგვანიშნებს, რომ უმცირესობების პოლიტიკური პროცესისგან გაუცხოება დამანგრეველი შეიძლება აღმოჩნდეს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც სახელმწიფოს ახლად ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს. ასეთ დროს უმცირესობებმა შეიძლება გადაწყვიტონ, რომ მათი პოლიტიკური და კულტურული უფლებებისა და ღირებულებების დაცვის ერთადერთი გზა საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაა. მაჟორიტარულ არჩევნებსა და საპრეზიდენტო მმართველობით სისტემას სწორედ ასეთი ტენდენციების ჩამოყალიბება შეუძლია, ვინაიდან ეს ინსტიტუტები უმრავლესობის გავლენას პრაქტიკულად აორმაგებენ გამომდინარე დაკარგული ხმების პრინციპიდან, რომელზეც თავიდან ვისაუბრეთ. მეორე კრიტერიუმი, რომელსაც განვიხილავთ პოლიტიკურ პროცესში მოქალაქეთა *მონაწილეობა*. ეს ინდიკატორი ნაწილობრივ დაკავშირებულია დემოკრატიის კონსენსუალურ ხასიათთან, ვინაიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მაჟორიტარული ტენდენციების დროს მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა შესაძლოა უფრო ნაკლები იყოს. ეს გამომდინარეობს იგივე გარემოებიდან, რაც უმცირესობის ჯგუფებს პოლიტიკური და სოციალური გაუცხოებისკენ უბიძგებს. იმ შემთხვევაში, როცა უმცირესობის ინტერესები ასახვას ვერ ჰპოვებს პოლიტიკურ სარბიელზე უმრავლესობის პრინციპის პრეროგატივის არსებობისას, ამ ჯგუფებს ნაკლები ინტერესები აქვთ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ პროცესში. მართლაც, არენდ ლაიპჰარტის (2012) კვლევა განვითარებული

დემოკრატიების მაგალითზე სწორედ ამ არგუმენტს ადასტურებს. 1971-1980 წწ. საპრეზიდენტო და მაჟორიტარულ სისტემის მქონე ქვეყნებში არჩევნებში მონაწილეობა საშუალოდ ამომრჩეველთა 54.2% მიიღო, მაჟორიტარულ საპარლამენტო სისტემაში ეს მაჩვენებელი 75.3%-ს, ხოლო პროპორციულ საპარლამენტო სისტემაში კი 85.4%-ს შეადგენდა (Lijphart, 1996). აღსანიშნავია, რომ ამ მონაცემებში არ იყო გათვალისწინებული ამომრჩეველთა აქტივობა პროპორციული საარჩევნო სისტემის მქონე იმ საპარლამენტო დემოკრატიებში, სადაც ხმის მიცემა სავალდებულოა. მმართველობის თვალსაზრისით ავტორები განსაკუთრებულად აღნიშნავენ პარლამენტის *საკანონმდებლო პეროგატივას*. საკანონმდებლო შტო ყოველთვის უფრო ნაკლები გავლენით სარგებლობს, ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლება განსაკუთრებით კი ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის დროს. ასეთ შემთხვევაში, პრეზიდენტის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო უფლებები კიდევ უფრო ზღუდავს პარლამენტის შესაძლებლობებს და აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბების პროცესში მყოფ დემოკრატიებში ხელისუფლების არასასურველ დონეზე კონცენტრაციის რისკს. კონკრეტულად თუ ჩვენს მიერ განხილულ რეგიონს ავიღებთ, ეს რისკი განსაკუთრებით დიდია. ეს განპირობებულია არა მხოლოდ დემოკრატიის ინსტიტუციონალიზაციის დაბალი დონით, არამედ საპრეზიდენტო მმართველობის განსაკუთრებული ფორმით, რომელსაც ქერი და შუგარტი საპრეზიდენტო-საპარლამენტო მმართველობას უწოდებენ (Shugart & Carey, 2004). ასეთი მმართველობის დროს, ერთი შეხედვით, საკანონმდებლო ორგანოს მნიშვნელოვანი უფლებები აქვს მთავრობის კონტროლის თვალსაზრისით, მაგრამ ხშირად ამ შესაძლებლობას ვერ იყენებს. მეორეს მხრივ, პრეზიდენტს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ფუნქციები აქვს და ხშირად, შეუძლია ოპოზიციაში მყოფი პარლამენტის დათხოვნაც კი. მსგავსი რამ წარმოუდგენელია წმინდა საპრეზიდენტო მმართველობისას, როგორც

მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებშია წარმოდგენილი, სადაც პრეზიდენტს ასეთი უფლება არ აქვს. *პარტიის მმართველობა* კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რომელსაც ავტორები დემოკრატიების სხვადასხვა ტიპის ურთიერთგანმასხვავებელ ფაქტორად მიიჩნევენ. მათი მოსაზრების თანახმად დემოკრატია არ გამოირცხავს ე.წ. ზეპარტიულ მმართველობას და შეგვიძლია ჩვენს მიერ განხილული საპრეზიდენტო რესპუბლიკების მაგალითზე აღვნიშნოთ, რომ ხშირად ავტორიტარული მიდრეკილების მმართველები სწორედ ასე მართვას ანიჭებდნენ უპირატესობას. ამგვარი მიდგომა ძალაუფლების კონცენტრაციისა და ლეგიტიმაციის კარგ შესაძლებლობას იძლევა, ვინაიდან ლიდერი ერთი შეხედვით ვიწრო პარტიულ ინტერესებზე მაღლა დგას. მეორეს მხრივ, ეს ამცირებს მისი ანგარიშვალდებულების ხარისხს და ამცრობს პოლიტიკური პარტიების როლს. ეს იწვევს სისტემის დეინსტიტუციონალიზაციას და ნაკლებ შესაძლებლობას ტოვებს პოლიტიკური ოპოზიციისთვის რეალური წინააღმდეგობა გაუწიოს ავტორიტარულ ტენდენციებს. კვლავაც შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საპრეზიდენტო მმართველობა ხელს უწყობს მოვლენების ამგვარ განვითარებას და ეს განსაკუთრებით სახიფათოა დემოკრატიზაციის საწყის ეტაპზე. ხელისუფლების შტოებს შორის *ძალთა ბალანსის* მექანიზმის არსებობა დემოკრატიული მმართველობების კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანია და მაგალითად, ვესტმინსტერული საპარლამენტო მოდელის შემთხვევაში მსგავსი ბალანსი არ არსებობს. ეს ბუნებრივია, დემოკრატიისთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ ჩვენი რეგიონის ქვეყნებისთვის ასეთივე ხასიათის დისბალანსი საპრეზიდენტო-საპარლამენტო მოდელის არსებობის შემთხვევაში უფრო წარმოიქმნება. ასეთ შემთხვევაშიც პრეზიდენტს განსაკუთრებული ძალაუფლება გააჩნია, რომელიც ადვილად შეიძლება გადაიზარდოს არადემოკრატიულ მმართველობაში. შმიტერი და კარლი საპრეზიდენტო მმართველობასაც კიდევ ერთ განმასხვავებელ ფაქტორად გამოჰყოფენ,

მაგრამ ამ საკითხს აღარ შევეხებით, ვინაიდან სხვა ასპექტებზე საუბრისას ეს თემა უკვე საკმარისად განვიხილეთ.

არენდ ლაიპჰარტი, თავის მხრივ პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემიდან გამომდინარე უმრავლესობისა და კონსოციალური დემოკრატიის ნაირსახეობებს განიხილავს და მათ ორი ძირეული სფეროს მიხედვით ადარებს (2012). პირველი, პარტიისა და აღმასრულებელი ხელისუფლების როლს ეხება, მეორე კი სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობას. თითოეულ სფეროში 5 კონკრეტული ინდიკატორია, რომლის მიხედვითაც დემოკრატიული ქვეყნები მაჟორიტარული ან კონსოციალური დემოკრატიის ნიშანთვისებებს ატარებენ. შესაბამისად, მისი მოდელის მიხედვით შესაძლებელი ხდება მოცემული დემოკრატიული მმართველობის მაჟორიტარულიდან კონსოციალური დემოკრატამდე დიაპაზონში განთავსება. მაჟორიტარული ტენდენციები მმართველობის თვალსაზრისით, ლაიპჰარტის მიხედვით, შემდეგ გამოხატულებას ჰპოვებს: მთავრობა ერთპარტიულია, აღმასრულებელი დომინანტური შტოა, პოლიტიკური კონკურენცია ორპარტიულია, საარჩევნო სისტემა მაჟორიტარული ანუ დისპროპორციულია, სამოქალაქო საზოგადოება პლურალისტურია (2012). ფედერალიზმის თვალსაზრისით კი: სახელმწიფო უნიტარულია, საკანონმდებლო ხელისუფლება ერთ პალატაშია კონცენტრირებული, კონსტიტუციის ცვლილება უბრალო უმრავლესობით ხდება, სასამართლო ხელისუფლებას მცირედი გავლენა აქვს საკონსტიტუციო საკითხებზე და ცენტრალური ბანკი კონტროლდება ხელისუფლების მიერ. შესაბამისად, კონსოციალური დემოკრატიის დროს საპირისპირო სურათია. მეტი სიცხადისთვის ერთ ასპექტს უფრო დეტალურად შევეხებით. ლაიპჰარტის მიხედვით სამოქალაქო საზოგადოება კონსოციალურ დემოკრატიაში კორპორატიული ხასიათისაა და სხვადასხვა ჯგუფებს შორის დაპირისპირება, როგორც წესი მორიგებით და კომპრომისის საშუალებით ხდება.

წინამდებარე კვლევა განიხილავდა შესაძლებლობას, რომ საარჩევნო სისტემას აქვს რეალური და მნიშვნელოვანი გავლენა ქვეყანაში ეფექტური პოლიტიკური პარტიების რაოდენობის ჩამოყალიბებაზე. ლაიპჰარტის კონსოციალური დემოკრატიის თეორიის მიხედვით კი პარტიების რაოდენობას საარჩევნო სისტემასთან ერთად გადამწყვეტი გავლენა აქვს ქვეყანაში დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის კონკრეტული ფორმის ჩამოყალიბებაზე.

პარტიების რაოდენობის დათვლა ან რომელიმე საარჩევნო სისტემის ავკარგიანობის განხილვა ვიწრო აკადემიური მნიშვნელობის ფარგლებს ცდება. ამ პოლიტიკური მექანიზმებსა და შედეგებს გრძელვადიანი და ყოვლისმომცველი გავლენა აქვს ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ჩამოყალიბებაზე. ეს შედეგები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებსაც დემოკრატიის მშენებლობა სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად უწევთ. საქართველო, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ ჯერ კიდევ ამ ორმაგი გამოწვევისთვის გამკლავებას ცდილობს. ჩვენი ქვეყანა გამონაკლისი არაა; გასული საუკუნის 50-იან წლებში დაწყებული დეკოლონიზაციის პროცესის შედეგად ბევრი ახალი სახელმწიფო შეიქმნა, მათ უდიდეს ნაწილს თანამედროვე ისტორიულ ეპოქაში სახელმწიფოებრიობის გამოცდილება არ გააჩნდათ, უფრო მეტიც, ბევრ მათგანში ეროვნული იდენტობაც ძალზე სუსტად იყო ჩამოყალიბებული. ამ გარემოებების გათვალისწინებით და დღევანდელი გადმოსახედიდან გასაკვირი არ არის, რომ მათ უდიდეს ნაწილში დემოკრატიული მმართველობის დანერგვა ვერ მოხერხდა. გასათვალისწინებელია, ისიც, რომ მოლოდინები იმ პერიოდის აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში გაცილებით ოპტიმისტური იყო. ამგვარი დამოკიდებულება ორი ძირითადი ფაქტორით იყო გამოწვეული. პირველი, ამ ახლად დამოუკიდებელი ქვეყნების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ხშირ შემთხვევაში ლიბერალურ პრინციპებს ეყრდნობოდა, რომელთა

ამოსავალი წერტილი ადამიანებს შორის თანასწორობა და თანაბარი უფლებები იყო. აქედან გამომდინარე, პირველი მთავრობები, რომლებიც ამ სახელმწიფოების სათავეში მოვიდნენ ცდილობდნენ სწორედ დემოკრატიული პრინციპებით ემართათ საკუთარი ქვეყანა. ამ განწყობამ და ტენდენციამ მცირე ხანს გასტანა და ამ ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში არადემოკრატიული მმართველობა ნორმად გადაიქცა. მეორე ფაქტორი, რაც იმ პერიოდის საერთაშორისო საზოგადოებას ოპტიმიზმის საფუძველს აძლევდა მოდერნიზაციის თეორია იყო, რომლის მიხედვით სახელმწიფოთა განვითარების პროცესი ევოლუციური ხასიათის იყო და აუცილებლად თავისუფალი ბაზრისა და დემოკრატიის ჩამოყალიბებით დამთავრდებოდა. დეკოლონიზაციის პროცესიდან 10 წლის შემდეგ უკვე ნათელი გახდა, რომ მოვლენები სავარაუდო სცენარით არ განვითარდა. რეალური სურათი ყველაზე უკეთ, ცნობილმა პოლიტოლოგმა სამუელ ჰანტინგტონმა, ახსნა და დემოკრატიზაციისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების გამოწვევები მოდერნიზაციის ტემპებთან შეუსაბამო სუსტ ინსტიტუტებთან დააკავშირა (2006). მოდერნიზაცია საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებსა და იერარქიას ანგრევს. ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება და სისტემატიზაცია კი საკმაოდ რთული პროცესია. განვითარებულმა ქვეყნები ეს პროცესი თანდათანობით გაიარეს და ახალი ინსტიტუციების შექმნა პარალელურ რეჟიმში ევოლუციურად ჩამოყალიბდა. ახალ ქვეყნებს კი ამ პროცესის გავლამ დაჩქარებულად მოუწიათ და თანამედროვე სახელმწიფოსთვის აუცილებელი მექანიზმების ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა. ამ მიდგომის თანახმად, რომელიც დღესაც მეტად აქტუალურია, დემოკრატიული მმართველობის ჩამოყალიბება საშუალო ფენის ჩამოყალიბებამდე წარმოუდგენლად რთული პროცესია და ხშირად შეუძლებელიც კი.

სწორედ ამგვარი გამოწვევების წინაშე დადგნენ საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი სახელმწიფოები. საქართველო ნათელი მაგალითია თუ რამდენად რთულია ერთდროულად სახელმწიფოსა და დემოკრატიის მშენებლობა. პრობლემის არსი ყველაზე კარგად ლინცმა და სტეპანმა (1996) გაანალიზეს თავიანთ ნაშრომში დემოკრატიული ტრანზიციების შესახებ. ახლად დამოუკიდებელი ქვეყნებისთვის სახელმწიფოებრიობის შექმნის მოდელი ვებერისეული ერი-სახელმწიფო იყო, სადაც სახელმწიფო და ეროვნული იდენტობა თანმხვედრ და ურთიერთგამამძლიერებელ ფაქტორებს წარმოადგენდნენ. ამ იდეალის განხორციელება კი 90-იან წლებში შეუძლებელი აღმოჩნდა. ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოები იშვიათად იყვნენ ეთნიკურად ჰომოგენური და მიუხედავად იმისა, რომ მათ დიდ ნაწილს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეროვნული იდენტობა უკვე გააჩნდა, განსხვავებით დეკოლონიზაციის შედეგად წარმოქმნილი ქვეყნებისა, ეს ფაქტი უფრო შემაფერხებელი აღმოჩნდა ვიდრე ხელისშემწყობი სახელმწიფოსა და დემოკრატიის მშენებლობის გზაზე. ვებერისეული ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბება მე-19 საუკუნის ევროპაში ხდებოდა შეზღუდული დემოკრატიული ღირებულებების გარემოში, სადაც მოქალაქეთა მხოლოდ მცირე ჯგუფს გააჩნდა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება და ერთიანი ენის, კულტურისა და იდენტობის ჩამოსაყილებებლად მიმართული ზომები არ განიხილებოდა, როგორც ძალადობრივი კულტურული ასიმილაციის პოლიტიკა იმ პერიოდის საერთაშორისო საზოგადოების მიერ. ასე მაგალითად, ფრანგული სისტემის უპირობო მიღწევად ითვლებოდა ის ფაქტი, რომ მთელ ქვეყნის ყველა სახელმწიფო სასკოლო დაწესებულებებში განათლების სამინისტროს მიერ სერტიფიცირებული პედაგოგის მიერ მოცემულ საათზე, იდენტური კურიკულუმის მქონე ერთი და იგივე საგანი იკითხებოდა (Stepan et al, 2010). ბუნებრივია, მსგავსი პოლიტიკის გატარება 90-იანი წლების

სულისკვეთების გათვალისწინებით აშკარად არადემოკრატიულ ნაბიჯად ჩაითვალა და ახლად ჩამოყალიბებული ქვეყნები დილემის წინაშე დადგნენ. მათი ეროვნული იდენტობა და ეროვნული სულისკვეთება საბჭოთა მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი იარაღი იყო და დამოუკიდებლობის შემდეგ ამ ღირებულებაზე უარის თქმა პლურალისტური მრავალეროვნული სახელმწიფოს შექმნის სასარგებლოდ მინიმუმ პოლიტიკურად წამგებიანი აღმოჩნდა. მართალია, ტოტალიტარული საბჭოთა მმართველობის საპირისპიროდ ყველა მთავრობა ცდილობდა მაქსიმალურად დაშორებოდა ამ არასასურველ ისტორიულ მემკვიდრეობას და დემოკრატია ამ მიმართებით ერთადერთი სწორი არჩევანი იყო, სამაგიეროდ თანასწორი უფლებების მინიჭება ყველა ეთნიკური უმცირესობისთვის, წინააღმდეგობაში მოდიოდა ერი-სახელმწიფოს იდეასთან, რომელიც ასე დომინანტური იყო ამ საზოგადოების ანტიკომუნისტურ ელიტასა და ინტელიგენციაში. ეს დილემა ძნელად გადასაჭრელი აღმოჩნდა ამ ქვეყნების უმრავლესობისთვის და შედეგად არაერთი ეთნიკური კონფლიქტი წარმოიშვა; სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, რუსეთი, მოლდოვა ბოსნია, სერბია, და ხორვატია ის ქვეყნები აღმოჩნდნენ, რომლებმაც დამოუკიდებლობის პირველივე წლებში საკუთარ თავზე გამოსცადეს ამ ორი იდეის დემოკრატიისა და ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბების შეუთავსებლობა 21-ე საუკუნის მიჯნაზე. ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმაც საკმაოდ ახლოს გაიარეს სარისკო ზღვართან, მაგრამ მათ გეოპოლიტიკური მდებარეობისა და სახელმწიფოებრიობის არსებობის უფრო მეტი გამოცდილების ხარჯზე შეძლეს თავიდან აერიდებინათ ეს გამოწვევა და უკვე 90-იანი წლების ბოლოდან უფრო მეტად ინკლუზიური პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებაც მოახერხეს.

კონკრეტულად საქართველომ სწორედ ამ პერიოდში დაკარგა კონტროლი საკუთარი ტერიტორიის თითქმის ერთ მეხუთედზე და ეს

სიტუაცია დღესაც უცვლელია. დღესაც უცვლელია საქართველოს წინაშე მდგარი ამოცანები თანამედროვე, სრულფასოვანი სახელმწიფოსა და დემოკრატიული მმართველობის ჩამოყალიბების თვალსაზრისითაც. ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია: დრამატულად შემცირდა კორუფცია, გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა, ენერგოუსაფრთხოება, კრიმინოგენური ვითარება და ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა დემოკრატიზაციის მიმართულებითაც, რომელთა შორის ცენტრალური იყო ხელისუფლების არჩევნების გზით მშვიდობიანი გადაცემა 2012 წელს. ამ მაჩვენებლებით საქართველომ საგრძნობლად გადაუსწრო რეგიონის ქვეყნებს და დღეს საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანას შორის განსხვავება ამ მიმართებით გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საქართველოსა და სომხეთს ან საქართველოსა და რუსეთს შორის. ეს ყველაფერი დღეს ქმნის რეალურ შესაძლებლობას, რომ საქართველოში დემოკრატიის კონსოლიდაცია წარმატებით დასრულდეს, მაგრამ ჯერ საბოლოო წარმატებაზე საუბარი ნაადრევია. ტერიტორიული მთლიანობის გარდა, ჯერ კიდევ დაბალია პოლიტიკური კულტურა, ეროვნული უმცირესობების ჩართულობა ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მცირეა, პოლიტიკური პარტიები სუსტია, საშუალო ფენა მცირერიცხოვანია და სახელმწიფო ხალხის მთავარ დამსაქმებლად რჩება¹.

2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მმართველმა პარტიამ „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა. განახლდა დისკუსია ქვეყნის კონსტიტუციის გადახედვის თაობაზე. მნიშვნელოვანია, რომ ისეთი ცვლილებები გატარდეს, რომელიც საქართველოს დემოკრატიულ კონსოლიდაციას მაქსიმალურად ხელს

¹ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული მონაცემები. იხილეთ დანართი

შეუწყობს. დიდია საფრთხე, რომ პოლიტიკური ინსტიტუციონალიზაციის არსებულ პრობებში მმართველი ძალა არსებულ შესაძლებლობას ხელისუფლების მაქსიმალური კონსოლიდაციისთვის გამოიყენებს. ცენტრალური რეფორმა, რომელიც უნდა გატარდეს ვფიქრობთ საარჩევნო სისტემას უნდა შეეხოს. განვითარებულ დემოკრატიებშიც კი მაჟორიტარული სისტემა საკმაოდ დიდ დისპროპორციას ქმნის მოსახლეობის მიერ გამოხატულ ნებასა და საკანონმდებლო ორგანოში განაწილებულ ადგილებს შორის, როგორც ეს უკვე აღინიშნა. ჩვენს მაგალითზე ეს დისბალანსი განსაკუთრებით სწორედ ბოლო არჩევნების დროს გამოჩნდა. მმართველმა პარტიამ პროპორციული წესით ხმების საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები მიიღო, მაგრამ მაჟორიტარული კომპონენტის წყალობით საკანონმდებლო ორგანოში ადგილების 77% დაიკავა. სხვა სიტყვებით, გამარჯვებულმა პარტიამ დაახლოებით 60%-ით უფრო დიდი წარმომადგენლობა მიიღო, ვიდრე ამას პროპორციული სისტემით მოახერხებდა. ქვეყანაში სადაც ოპოზიციის უფლებები მუდმივად რისკის ქვეშ იდგა, და 2012 წლამდე ვერცერთი სახელისუფლებო პარტია, რომელმაც ხელისუფლება დაკარგა სრულ პოლიტიკურ განადგურებას ვერ გადაურჩა მაჟორიტარული დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრება დიდ საფრთხეს შეიცავს.

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ საარჩევნო სისტემას რეალური გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის ტიპის ჩამოყალიბებაზე. პროპორციული საარჩევნო სისტემა მრავალპარტიული და აქედან გამომდინარე, ინკლუზიური ტიპის პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც კომუნისტური დიქტატურის დამხობის შემდეგ გათავისუფლებულმა ქვეყნებმა დემოკრატიული მმართველობის საფუძვლების დანერგვა დაიწყეს ბევრმა მათგანმა შერეული საარჩევნო სისტემა აირჩია. ამის მიზეზი პოლიტიკური პარტიების ზედმეტი

გამრავლების შიში იყო, რაც ეფექტიან მმართველობას ხელს შეუშლიდა. პოლონეთის 1991 წლისა და საქართველოს 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებმა მართლაც 20-მდე პარტია შეიყვანა საკანონმდებლო ორგანოში. დღეს მდგომარეობა სხვაგვარია და მაჟორიტარული სისტემის არსებობა ხელს უშლის მოსახლეობის ინტერესების ადეკვატურ გამოხატვას, საფრთხე უკვე არა პარტიების სიმრავლეში, არამედ მათ სიმცირეშია. კვლევამ გვიჩვენა, რომ პროპორციული სისტემა შერეულ საარჩევნო სისტემასთან შედარებით დაახლოებით 25-30%-ით ზრდის გავლენიანი პარტიების რიცხვს ჩვენს მიერ განხილულ ქვეყნების ჯგუფში.

ალტერნატიული მიდგომების განხილვამ კიდევ რამდენიმე საინტერესო შედეგი მოგვცა. აღმოჩნდა, რომ ჩვენს მიერ განხილულ ქვეყნების მაგალითზე ეკონომიკური განითარების უფრო მაღალი დონე პარტიების მეტ რაოდენობასთანაა დაკავშირებული. უფრო ზუსტად, კორელაციულმა ანალიზმა უჩვენა, რომ რაც უფრო მეტია მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 20%-ით იზრდება პარტიების რაოდენობა. ჩვენი ვარაუდით ეს შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდასთან ერთად იზრდება მისი ეკონომიკური და სოციალური მრავალფეროვნება რაც იწვევს არამარტო სხვადასხვა ინტერესების წარმოშობას არამედ მათი არტიკულაციის შესაძლებლობასაც. ღარიბ ქვეყანაშიც შესაძლოა არსებობდეს პოტენციური შესაძლებლობა მრავალი ინტერესთა ჯგუფის შექმნისა, მაგრამ ეს პოტენციური შესაძლებლობა ვერ გარდაიქმნება რეალობად თუკი არ არსებობს შესაბამისი მატერიალური რესურსი. სწორედ ამ გარემოებაზე აკეთებენ აქცენტს კიტშელტი და სხვ. როდესაც აღმოსავლეთ ევროპის ოთხი ქვეყნის პოლიტიკური სისტემის განვითარებას განიხილავენ (Kitschelt et al, 1999). ისინი პოლიტიკური პარტიის ორგანიზების სამ ძირითად პრინციპს გამოჰყოფენ და აღნიშნავენ, რომ პროგრამული ტიპის თანამედროვე პარტიები მხოლოდ ანგარიშგასაწევი

ურბანული საშუალო ფენის ჩამოყალიბების შემდეგ არის მოსალოდნელი. სხვა შემთხვევაში, პარტიებისთვის უფრო მიზანშეწონილია ქარიზმატული პიროვნების გარშემო გაერთიანება, რომელიც ცდილობს საკუთარი საარჩევნო პლატფორმით გამაერთიანებელი როლი ითამაშოს და აქედან გამომდინარე, უგულვებელჰყოს კონკრეტული ჯგუფის ინტერესთა არტიკულაცია. მეორე ალტერნატივა კი დაბალი ეკონომიკური განვითარების პირობებში კლიენტელისტური ტიპის პარტიის შექმნაა, რომელიც ვიწრო ლოკალურ ინტერესებს ეხმიანება და ამომრჩეველს კერძო სარგებელს თავაზობს. ბუნებრივია, რომ ამგვარი ტიპის პარტიები დემოკრატიულობის უფრო დაბალ ხარისხს აჩვენებენ. საქართველოს უახლესი ისტორია გვიჩვენებს, რომ დღემდე პოლიტიკური პარტიები სწორედ ამ ნიშნით იქმნებოდა და აქედან გამომდინარე, მათი სტაბილურობა საკმაოდ მცირე იყო. საქართველოს პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის ინდექსს თუ გადავხედავთ ეს სურათი საკმაოდ ნათლად ჩანს (Nodia & Scholtbach, 2006). მაჟორიტარული სისტემის არსებობა ხელს უწყობს კლიენტელიზმსა და ქარიზმატულობაზე დაფუძნებული პარტიების დომინანტურ როლს. ამგვარი საარჩევნო სისტემა ასევე უფრო ხელსაყრელია მმართველი პარტიისთვის და მეტ საშუალებას აძლევს მას შეინარჩუნოს ხელისუფლება (Kitschelt et al, 1999). აქედან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარების გავლენაც პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებაზე და მისი ემპირიული შედეგები კიდევ ერთი არგუმენტია საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის პროპორციული საარჩევნო სისტემის უპირატესობის დასამტკიცებლად სტაბილური დემოკრატიის შექმნის პროცესში.

კვლევამ ასევე უჩვენა, რომ პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა ამცირებს პარტიების რაოდენობას, მაგრამ გავლენა უმნიშვნელოა და 10%-ს არ აღემატება. მოსახლეობის სიმჭიდროვე, ეთნოლინგვისტური ფრაქციონალიზაცია და ეკონომიკური უთანასწორობა ასევე ვერ ახდენენ

მნიშვნელოვან გავლენას პარტიების რაოდენობაზე და აქედან გამომდინარე, ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე.

ჩვენს მიერ განხილულ ქვეყნებში ძალზე მცირე იყო დემოკრატიული ქვეყნები, სადაც პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია. თავად ეს ფაქტიც მიგვანიშნებს, რომ ლინცისა და ვალენსუელა არგუმენტი საპრეზიდენტო სისტემის ახალ დემოკრატიებში დანერგვასთან დაკავშირებული რისკების თაობაზე სარწმუნოა (Linz & Valenzuela, 1994). მეორეს მხრივ, ქვეყნებში სადაც პრეზიდენტი პირდაპირი წესით აირჩევა შეინიშნებოდა მცირეოდენი უარყოფითი გავლენა პარტიების რაოდენობაზე. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაბალი პარტიული ინსტიტუციონალიზაციის შემთხვევაში პრეზიდენტი ქარიზმატულ საარჩევნო სტრატეგიას იყენებს და აქედან გამომდინარე, ხშირად პოლიტიკური სისტემისგან განყენებულ, მასზე ზემდგომ როლს ირგებს. ასეთ შემთხვევაში, ლინცი და ვალენსუელა (1994) სწორედაც რომ პარტიების რაოდენობის ზრდას მოელიან, ვინაიდან ასეთი პრეზიდენტი ხშირად სუსტ პარტიებს უჭერს მხარს. ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევებში თითქმის ყველა პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს არ წარმოადგენდა და აქედან გამომდინარე უფრო არბიტრის და სახელმწიფო მეტაურის ფუნქცია ჰქონდა, სწორედ ისე როგორც ეს საქართველოს დღევანდელ კონსტიტუციაშია. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის მაჟორიტარული გავლენის გარკვეული დიფუზია ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას.

პარტიების რაოდენობასა და სიმდიერეზე კიდევ რამდენიმე ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელთა განხილვა ამ კვლევის ფარგლებში სათანადოდ ვერ მოხერხდა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მათი მნიშვნელობა საყურადღებოა. ამ მიმართებით განსაკუთრებით გამოვყოფდით პარტიების დაფინანსების რეგულაციებს და ასევე საარჩევნო კამპანიისას ფინანსური

შეზღუდვების ფორმებსა და ხასიათს. უდაოა, რომ პარტიების შექმნა და მათი კონკურენტუნარიანობა მხოლოდ ფორმალურად თანასწორი უფლებრივი ჩარჩოს შექმნით ვერ იქნება უზრუნველყოფილი. ისევე როგორც დემოკრატიული თავისუფლებების რეალური გამოყენება შეუძლებელია კონკრეტული, თუნდაც მინიმალური მატერიალური შესაძლებლობების გარეშე, ასევე შეუძლებელია მრავალპარტიული დემოკრატიის შექმნა მყარი და დივერსიფიცირებული ეკონომიკური საფუძვლის გარეშე. მართალია, ამ კვლევის ფარგლებში ვერ შევძელით მოგვეპოვებინა ინფორმაცია ჩვენს მიერ განხილულ ყველა ქვეყანაში არსებულ ფინანსურ რეგულაციებთან და პრაქტიკასთან დაკავშირებით, რაც კიდევ უფრო მეტ სიცხადეს მოჰფენდა ჩვენს მიერ მიღებულ შედეგებს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ფაქტორის გათვალისწინების გარეშეც აღმოჩნდა, რომ პროპორციული სისტემა მეტი ეფექტიანი პარტიის არსებობის შესაძლებლობას ქმნის. მეორეს მხრივ, ეკონომიკური განვითარების გავლენა, რომელიც ჩვენს მიერ იქნა განხილულ არაპირდაპირ, მაგრამ დამაჯერებლად მიუთითებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდასთან ერთად პარტიების რიცხვიც მატულობს. უდაოა, რომ მეტი მატერიალური რესურსი პარტიების დაფინანსებისთვისაც უფრო სტაბილურ საფუძველს ქმნის. ამავდროულად უნდა აღვნიშნოთ, რომ მაჟორიტარული სისტემა ზღუდავს პარტიების რაოდენობას არა მარტო ამომრჩევლის გადაწყვეტილების გამო, რომელსაც არ სურს მისი ხმები დაიკარგოს, არამედ თავად პოლიტიკოსებისა და ლიდერების რაციონალური არჩევანის გამო. ეს უკანასკნელი, ასეთი საარჩევნო გარემოს დროს, იშვიათად მიდიან რისკზე შექმნან ახალი პარტია, ვინაიდან ამომრჩეველი მხოლოდ ისეთ პარტიას დაუჭერს მხარს, რომელსაც უმრავლესობის მოპოვების შანსი ექნება. სხვა სიტყვებით პარტია, რომელმაც შეიძლება ხმების 20-25% მიიღოს პროპორციულ სისტემაში საკმაოდ წარმატებული ძალა იქნება, ხოლო მაჟორიტარული სისტემის

შემთხვევაში შესაძლოა საერთოდ საკანონმდებლო ორგანოს მიღმა დარჩეს. ასე რომ პოლიტიკური ლიდერები და მათი პოტენციური დამფინანსებლები ითვალისწინებენ რა ამ გარემოებას მაქორიტარული საარჩევნო სისტემის პირობებში იშვიათად და ნაკლებად აფინანსებენ მცირე ზომის პარტიებს და აქედან გამომდინარე, ორპარტიულობის ეფექტს მიწოდების მხრიდანაც აძლიერებენ.

მიღებული დასკვნების სანდოობას გაზრდიდა პარტიების შიდა სტრუქტურებისა და ორგანიზაციის უფრო დეტალური შესწავლაც. მსგავსი ტიპის კვლევა ძალზე მასშტაბური ხასიათისაა და ჯერ არ ჩატარებულა. ამ მიმართებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური პარტიების დემოკრატიულ ორგანიზაციას. პოლიტიკური პარტიის ძლიერება ფინანსურ დამოუკიდებლობასთან ერთად მასში გაწევრიანებული მხარდამჭერების ჩართულობასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. საქართველოს მაგალითი ცხადყოფს, რომ პოლიტიკური პარტიების წარმატება პირდაპირპროპორციულია მათ მიერ ადმინისტრაციული რესურსის კონტროლთან, როგორც წესი, ოპოზიციურ პარტიებს არ გააჩნიათ ძლიერი რეგიონული ორგანიზაციები და მათი გავლენა სამოქალაქო საზოგადოებაზე უმნიშვნელოა. განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის ურთულეს ამოცანას წარმოადგენს მთავრობაში მყოფი ჯგუფის არჩევნებში დამარცხება.

პროპორციულ სისტემას არაერთი უარყოფითი მხარე გააჩნია, რომელთა განხილვას შესავალში საკმაოდ ვრცელი დრო დაეთმო. ყველა ამ არგუმენტის საპირისპიროდ შეიძლება ითქვას, რომ გარდამავალ ეტაპზე მრავალეროვნულ სახელმწიფოში პროპორციულ სისტემასა და კონსოციალური ტიპის დემოკრატის ალტერნატივა არა აქვს. მრავალპარტიული, სტაბილური პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება

ხანგრძლივი პროცესია, თუმცა, როგორც არაერთმა ნაშრომმა და მათ შორის წინამდებარე კვლევამაც აჩვენა ამ პროცესზე ზემოქმედება საარჩევნო სისტემის სწორი დიზაინით არის შესაძლებელი. საქართველოს ხელისუფლებამ 2010 წელს სწორი ნაბიჯი გადადგა, როდესაც კონსტიტუციური ცვლილების საფუძველზე საპარლამენტო მმართველობას ჩაუყარა საფუძველი. შედეგად უფრო დემოკრატიული და ხალხთან უფრო მეტად ანგარიშვალდებული მთავრობა მივიღეთ. ახლა აუცილებელია ეს პროცესი ლოგიკურად გაგრძელდეს და შერეული საარჩევნო სისტემა პროპორციულით შეიცვალოს. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ეს ცვლილებები კონკრეტულ შედეგებს გამოიღებს და საქართველოში მრავალპარტიული დემოკრატიის ჩამოყალიბების შანსები მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაღდავაძე, ლ. (2012). ერთკაციანი პარტიების პოლიტიკური სისტემა საქართველოში. ბოლო ნახვა 14.11.2016. ინტერნეტ-პორტალი <http://www.ambebi.ge/politika/47928-erthkaciani-partiebis-politikuri-sistema-saqarthveloshi-219-partiaa-daregistrirebuli.html>
2. ბლოკის „ქართული ოცნება -- ბიძინა ივანიშვილი“ საარჩევნო პროგრამა. ბოლო ნახვა 14.11.2016 <http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/ocnebis%20saarchevno%20programa.pdf>
3. რვა ოპოზიციური პარტია ხელისუფლებას საარჩევნო რეფორმაზე მოლაპარაკებების დაწყებას სთავაზობს. www.civil.ge. ბოლო ნახვა 14.11.2016 <http://www.civil.ge/geo/article.php?id=23210>
4. ცესკო. (2010). საქართველო -- არჩევნების ისტორია 1990-2010. ბოლო ნახვა 14.11.2016 <http://www.cesko.ge/files/TEA/archevnebisistoria/geohistory.pdf>
5. ცესკო. (2012). ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო ოლქების მიხედვით. www.cesko.ge. ბოლო ნახვა 14.11.2016 <http://www.cesko.ge/uploads/other/12/12680.pdf>
6. Alesina, A., Devleeschauwer, A., Easterly, W., Kurlat, S., & Wacziarg, R. (2003). Fractionalization. *Journal of Economic Growth*, 8(2), 155-194. Retrieved from <http://www.jstor.org/stable/40215942>
7. Alesina, A., Glaeser, E., & Sacerdote, B. (2001). Why the United States Doesn't Have a European-Style Welfare? *Brookings Papers on Economic Activity* 2 (2001). pp. 25-28.
8. Almond, G. (1956). Comparative political systems. *Journal of Politics* 18, 391-409. Retrieved from JSTOR <http://www.jstor.org/stable/pdf/10.2307/2127255.pdf>
9. Arrow, K. J. (1951). *Social choice and individual values*. Yale University Press
10. Baldwin, K., & Huber, J.D. (2010). Economic versus cultural differences: Forms of ethnic diversity and public goods

- provision. *The American Political Science Review* 104, no. 4: 644-62. <http://www.jstor.org/stable/40982890>
11. Carothers, T. (2002). The end of transition paradigm. *Journal of Democracy*, Vol. 13, (1): pp. 5-21. Retrieved from ProQuest <http://search.proquest.com/docview/195551890?accountid=172684>
 12. Cox, G. (2007). *Making Votes Count*. Cambridge University Press.
 13. Daalder, H. (2001). The rise of parties in Western democracies. In L. Diamond & G. Gunther (Eds.), *Political parties and democracy* (pp. 40-52). Johns Hopkins University Press
 14. Dahl, R. A. (1971). *Polyarchy: Participation and opposition*. New Haven: Yale University Press.
 15. Diamond, L. (2002). Thinking about hybrid regimes. *Journal of Democracy*, 13(2), 21-35. Retrieved from <http://search.proquest.com/docview/195557382?accountid=172684>
 16. Downs, A. (1985). *An economic theory of democracy*. Boston: Addison Wesley Publishing.
 17. Duverger, M. (2012). *The Study of Politics*. Amsterdam: Springer Press.
 18. Easterly, W., & Levine, R. (1997). Africa's Growth Tragedy: Policies and Ethnic Divisions. *The Quarterly Journal of Economics* 112.4: 1203-250. Web. Retrieved from JSTOR <http://www.jstor.org/stable/2951270>
 19. Freedom House. (2016a). *The list of electoral democracies*. Retrieved from <https://freedomhouse.org/sites/default/files/Electoral%20Democracy%20Table%2C%20%27%27Yes-No%27%27%20list%2C%20FIW%201989-2016.xlsx>
 20. Freedom House. (2016b). *Methodology*. Retrieved from <https://freedomhouse.org/report/freedom-world-2012/methodology>
 21. Fukuyama, F. (1989). The end of history? *National Interest* 16, pp. 3-18. <http://www.jstor.org/stable/24027184>

22. Gunther, G., & Diamond, L. (2001). Types and functions of parties. In L. Diamond & G. Gunther (Eds.), *Political parties and democracy* (pp. 1-34). Johns Hopkins University Press
23. Havel, V. (1978). *Power of the Powerless*. 1978. Available at http://s3.amazonaws.com/Random_Public_Files/powerless.pdf
24. Herbut, R., & Baluk, W. (2010). *Transformation of political systems in post-soviet space*. Wroclaw: Wroclaw University Press
25. Huntington, S. P. (1993) The Clash of Civilizations? *Foreign Affairs* 72, no. 3
26. Huntington, S. P. (2006) *Political order in changing societies*. New Haven and London: Yale University Press.
27. Inter-Parliamentary Union. www.ipu.org
28. Kitschelt, H., Mansfeldova, Z., Markowski, R., & Tóka, G. (1999). *Post-Communist party systems: Competition, representation, and inter-party cooperation*. Cambridge University Press.
29. Levitsky, S., & Way, L. A. (2002). The rise of competitive authoritarianism. *Journal of Democracy*, 13(2), 51-65. Retrieved from <http://search.proquest.com/docview/195563731?accountid=172684>
30. Laakso, M., & Taagepera, R. (1979). Effective Number of Political Parties. *Comparative Political Studies*, Vol 12. No. 1. April 1979 3-27
31. Lijphart, A. (1977). *Democracy in plural societies: A comparative exploration*. Yale University Press
32. Lijphart, A. (1996). Constitutional choices for new democracies. In L. Diamond & M. F. Plattner (Eds.), *The global resurgence of democracy* (pp. 162-174). Johns Hopkins University Press
33. Lijphart, A. (2012). *Patterns of Democracy*. New Haven: Yale University Press.

34. Linz, J., & Stepan, A. (1996). *The Problems of Democratic Transition and Consolidation*. Johns Hopkins University Press
35. Linz, J., & Valenzuela, A. (1994). *The Failure of Presidential Democracy*. Johns Hopkins University Press.
36. Lipset, S. M. (1960). *Political Man*. Garden City, NY: Doubleday
37. Michels, R. (1996). *Political Parties*. New York: Free Press.
38. Moore, Jr. B. (1996) *Social Origins of Dictatorship and Democracy*. Boston: Beacon Press.
39. Moser, R. G., & Scheiner, E. (2012). *Electoral systems and political context: How the effects of rules vary across new and established democracies*. Cambridge University Press.
40. Nodia, G., & Scholtbach, A. P. (2006). *The political landscape of Georgia*. Tbilisi, Georgia: Eburon Delft.
41. Norris, P. (2004). *Electoral Engineering*. Cambridge University Press
42. North, D. C. (1981). *Structure and change in economic history*. New York: W.W. Norton & Company.
43. Pedersen, M. N. (1979). The Dynamics of European Party Systems: Changing Patterns of Electoral Volatility. *European Journal of Political Research*, Vol.7: 1–26 available at <http://janda.org/c24/Readings/Pedersen/Pedersen.htm>
44. Powell, Jr. G. B. (2000). *Elections as instruments of democracy: Majoritarian and proportional visions*. Yale University Press
45. Putnam, R. (2003). Tuning in, tuning out: The strange disappearance of social capital in America. In P. O’Neil & R. Rogowski (Eds.), *Essential Readings in Comparative Politics* (pp. 239-265). New York: W.W. Norton and Company
46. Riker, W. H. (1986). *The Art of Political Manipulation*. Yale University Press.
47. Riker, W. H. (2003). Duverger's law revisited. In B. Grofman & A. Lijphart (Eds.), *Electoral laws and their political consequences* (pp. 19-42). New York: Algora Publishing.

48. Sartori, G. (2003). The influence of electoral laws: Faulty laws or faulty method? In B. Grofman & A. Lijphart (Eds.), *Electoral laws and their political consequences* (pp. 43-69). New York: Algora Publishing.
49. Shapiro, M. (1992). *Who guards the guardians?* Athens: University of Georgia Press.
50. Shepsle, K. (2010). *Analyzing Politics*. W.W. Norton and Company.
51. Schmitter, P. C., & Karl, T. L. (1991). What democracy is... and is not. *Journal of Democracy*, Summer: 67-73
52. Shugart, M. S., & Carey, J. M. (2004). *Presidents and assemblies: Constitutional design and electoral dynamics*. Cambridge University Press.
53. Stepan, A., Linz, J., & Yadav, Y. (2010). The rise of "state-nations". *Journal of Democracy*, 21(3), 50-68. Retrieved from <http://search.proquest.com/docview/634968229?accountid=172684>
54. Strom, K. (1990). *Minority government and majority rule*. Cambridge: Cambridge University Press.
55. Taagepera, R. (2007). *Predicting Party Sizes: The Logic of Simple Electoral Systems*. Oxford University Press.
56. UNDP. Human Development Index. Annual Reports. Available at <http://hdr.undp.org/en/data>
57. Venice Commission & OSCE/ODIHR. (2010). Joint opinion on the Election Code of Georgia. Retrieved from [http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=cdl-ad\(2010\)013-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=cdl-ad(2010)013-e)
58. Waltz, K. N. (1979). *Theory of international politics*. Boston: McGraw-Hill